

საქართველოს უზენაესი სასამართლო

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ტ ი ე ბ ი

სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის
პრობლემატურ საკითხებზე

X X X

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან
დაკავშირებით

თბილისი

25 ივლისი, 2007 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	-----	2 - 4
რეკომენდაციები	-----	5 - 52
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა	-----	53 - 95

წინასიტყვაობა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს!

ძვირფასო კოლეგებო,

თქვენთვის ცნობილია, რომ სასამართლო სისტემაში მასშტაბური, ყოვლისმომცველი რეფორმა მიმდინარეობს. სხვასთან ერთად, ამ რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. ცხადია, აღნიშნულის მიღწევას წლები სჭირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მშვიდად უნდა მივყვეთ დროს. პირიქით, სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის დაწყება და მსოფლიოში აპრობირებული ყველა სათანადო მექანიზმის გამოყენება, რათა შედარებით მცირე დროში მივიღოთ შედეგი.

ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებს, ამ მხრივ, ჩვენთან შედარებით უდიდესი უპირატესობა აქვთ: ეს არის რამდენიმე ათეული წლის გამოცდილება და ამ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული და მუდმივად განვითარებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ქვეყნდება სპეციალური კრებულის სახით (ან ვრცელდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით კომპიუტერულ ქსელში) და ყველასათვის, პირველ რიგში კი მოსამართლეთათვის არის ხელმისაწვდომი. ამასთან ერთად, განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნულ სახელმწიფოებში ასევე წლების განმავლობაში დამკვიდრებული ე.წ. „guidelines“ („რეკომენდაციების“, „სახელმძღვანელო პრინციპების“) შექმნის პრაქტიკა (ამ მხრივ განსაკუთრებული ტრადიციით ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა). ეს რეკომენდაციები (სხვადასხვა ქვეყანაში მათ სხვადასხვა სახელწოდება აქვთ) კიდევ უფრო უწყობენ ხელს ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას და, შესაბამისად, მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელების ერთ-ერთ საფუძველს ქმნიან.

მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება კრებულის სახით და ეგზავნება მოსამართლეებს, მაგრამ მხოლოდ გამოქვეყნება ნამდვილად არ არის საკმარისი და ვერ ხსნის პრობლემას. ამის დასტურია ის გარემოება, რომ ძალიან ხშირია გადაწყვეტილებები, რომლებიც მსგავსი გარემოებების მქონე საქმეებზე რადიკალურად განსხვავებულ შედეგს ადგენენ, ე.ი. არსებობს უამრავი ნორმა, რომელთან მიმართებითაც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ და სხვადასხვა პრაქტიკას მისდევენ, რაც, საბოლოო ჯამში, საქმეთა გადაწყვეტაზე აისახება და საქმეთა განხილვის გაჭიანურებას იწვევს. ერთ-ერთი მიზეზი ამისა ისიც არის, რომ საქმეებით უადრესად დატვირთულ მოსამართლეებს მცირეოდენი დროც კი არ რჩებათ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გასაცნობად.

ყოველივე ზემოთქმულიდან და დემოკრატიულ სახელმწიფოთა აღნიშნული გამოცდილებიდან გამომდინარე, 2006 წლის თებერვალში საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას, რაც გულისხმობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ყველა ინსტანციის მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრათა მიზანია სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ანალიზი, სხვადასხვა

ინსტანციის მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება და დისკუსიის შედეგად კონკრეტულ ნორმათა ერთგვაროვანი გაგების ჩამოყალიბება. შეხვედრის შედეგები გაფორმდება წერილობით და რეკომენდაციების სახით დაეგზავნება ყველა მოსამართლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2006 წლის 18 თებერვლიდან დღემდე უზენაეს სასამართლოში რამდენიმე ათეული ასეთი შეხვედრა გაიმართა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მოსამართლეებმა. შეხვედრების შედეგად სამოქალაქო სამართლის ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების რეკომენდაცია ჩამოყალიბდა ათეულობით პრობლემატურ საკითხზე. საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულისაგან განსხვავებით, რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მოკლედ, თითო საკითხი 1-2 გვერდზე და მარტივად, ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემს საკითხის არსს. ცხადია, რომ სამართლის ყველა ნორმასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდება, მაგრამ ამგვარი შეხვედრების შედეგად მიღებულ რეკომენდაციათა გამოყენებით ჩვენ შედარებით უფრო სწრაფად უნდა შევძლოთ კონკრეტულ პრობლემატურ საკითხთა მოგვარება და მათი ერთგვაროვანი გამოყენება.

საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია სამოქალაქო სამართლის ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ასეთი ერთიანი მიდგომის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსამართლეთა მიერ პროცესის უფრო სწრაფად წარმართვის შესაძლებლობა, არამედ ისიც, რომ ადვოკატებისა და მათი კლიენტების უმრავლესობისათვის თავიდანვე განჭვრეტადი იქნება მათი სამართლებრივი პრეტენზიის პერსპექტივა. მათ ასევე ეცოდინებათ, რომ ეს პრაქტიკა თანამიმდევრულად გამოიყენება არა მხოლოდ პირველი ინსტანციის კონკრეტულ სასამართლოში, არამედ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც და საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ თანამიმდევრული პრაქტიკის გათვალისწინებით ცნობს სარჩელებს დასაშვებად ან დაუშვებად. შედეგად, შესაძლებელია სარჩელთა რაოდენობაც კი შემცირდეს, რადგან გონიერი და კეთილსინდისიერი ადვოკატი და მისი კლიენტი ტყუილად არ გაწევნ ხარჯებს სასამართლოში და არ დაკარგავენ დროს, ან თავიდანვე შეეცდებიან მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციებს არ აქვთ სავალდებულო ძალა (ისევე როგორც დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში), მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ერთიანი (გაბატონებული) სამართლებრივი მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ. მოსამართლეები თავად უნდა იყვნენ მოწადინებულნი მიიღონ, შექმნან რეკომენდაციები რაც შეიძლება მეტ ნორმასთან დაკავშირებით, რადგან ეს, პირველ რიგში, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას გამოიწვევს (განსახილველი რთული ნორმების სწრაფად გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით). საყურადღებოა ის გარემოება, რომ სხვა სახელმწიფოთა მოსამართლეები წლების განმავლობაში განუხრელად იყენებენ რეკომენდაციებს (ერთეული გამონაკლისების გარდა) თავიანთ საქმიანობაში და პროცესის წარმართვისას შესაბამისი კრებულები მათი მთავარი სახელმძღვანელოა.

გარდა რეკომენდაციებისა, კრებულში ასევე წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატის, აგრეთვე დიდი პალატის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც

ჩამოყალიბდა განვლილი წლების განმავლობაში და რასაც მუდმივად და თანმიმდევრულად იყენებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები. ეს საკითხები გადმოცემულია მოკლე და მკაფიო განმარტებების სახით, რათა თქვენთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მათგანი. ამ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ აღნიშნულ ერთგვაროვან პრაქტიკას თანმიმდევრულად ამტკიცებს და ავითარებს უზენაესი სასამართლოს ყოველი ახალი გადაწყვეტილება, ამიტომ ქვედა ინსტანციის მოსამართლეთა მიერ მათი გათვალისწინება აუცილებელია ყოველი მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას.

საერთო ჯამში, წინამდებარე კრებულში მოცემულია ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მიღებულ იქნა მოსამართლეთა მიერ 2006 წლის 18 თებერვლიდან 2007 წლის ივლისის ჩათვლით. ამასთან, აღნიშნულ კრებულში თავმოყრილია უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით დადგენილი სამოქალაქო სამართლის ნორმათა განმარტებისა და მასთან დაკავშირებული ასამდე პრაქტიკული საკითხის სამართლებრივი ანალიზი.

პატივისცემით,

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საკითხებზე მოსამართლეთა შეხვედრები გაიმართა 2006 წლის 18 თებერვალს, 25 მარტს, 20 მაისს, 28 ოქტომბერს, 2007 წლის 3 მარტს და 30 ივნისს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

I.

კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებისა და საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმება-არგაუქმების სამართლებრივი პრობლემების შესახებ გამოსაყოფიარი მიმართულება: ა) როდესაც სადავო ხდება თვით საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება და მხარე მის გაუქმებას ითხოვს და ბ) როდესაც მხარე ითხოვს თვით საარბიტრაჟო სასამართლოზე შეთანხმების ბათილად ცნობას. ერთსულონება ჩამოყალიბდა იმ კუთხით, რომ პირველი შემთხვევის დროს არბიტრაჟი შეიძლება მოწვეულ იქნეს პროცესზე და იგი გამოვიდეს, როგორც მოპასუხე ან, როგორც მესამე პირი, რადგანაც მის ინტერესსაც შეეხება ეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე შემთხვევას – აქ არბიტრაჟი არ წარმოადგენს მხარეს, მაგალითად, ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ერთ პუნქტადაა ჩამოყალიბებული საარბიტრაჟო შეთანხმება დავის შემთხვევაში დავის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის გადაცემის თაობაზე. სწორედ ამ შეთანხმების გაუქმებას ითხოვს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, ამიტომ აქ არბიტრაჟი მხარედ არ უნდა გამოვიდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ყურადღებაა გასამახვილებელი თვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ და მხოლოდ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით მითითებული პროცესუალური (საპროცესო) საფუძვლით. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, ანუ მატერიალური საფუძვლით, დაუშვებელია და სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, ასევე „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, უნდა უთხრას მხარეს უარი ამგვარი სარჩელის (განცხადების) მიღებაზე. როდესაც ერთ-ერთი მხარე ასაჩივრებს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორეს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლით, ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია სასამართლომ მას უთხრას უარი სარჩელის (განცხადების) მიღებაზე. თუ მხარეებმა გამოავლინეს თავიანთი ნება და ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს პუნქტი, რომლის მიხედვითაც მათ შორის დავას გადაწყვეტს კერძო არბიტრაჟი და მხარეებს შორის მართლაც წარმოიშვა დავა გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროცესუალური კუთხით სწორად არის გამოტანილი, საერთო სასამართლო მის სისწორეზე ვერ იმსჯელებს. ხოლო როდესაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება არსებითად გამოტანილია „კერძო არბიტრაჟის

შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევით და მხარე მიუთითებს მასზე – ამ საფუძველით სასამართლო უფლებამოსილია, რომ მიიღოს სარჩელი (განცხადება) და განიხილოს იგი.

საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნის დროს სარჩელი ნებისმიერ შემთხვევაში დასაშვებია, ხოლო საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობისას სარჩელი შეიძლება განიხილოს საერთო სასამართლომ თუკი, რა თქმა უნდა, მხარეთა შორის დავა არსებითად გადაწყვეტილი არ არის. საარბიტრაჟო შეთანხმების უცვლელად დატოვების შემთხვევაში კი მხარეთა შორის არსებული დავა უნდა განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლომ. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება, მაგრამ მხარეები ითხოვენ დავის საერთო სასამართლოს მიერ გადაწყვეტას, დავა შესაძლოა განიხილოს საერთო სასამართლომ.

აქ კიდევ ერთი **საკითხია გამოსაყოფი**. თუკი დავა გადაწყვეტილია არბიტრაჟის მიერ, საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობა ავტომატურად არ იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თუ ასეთი მოთხოვნა მხარეს სარჩელით არ დაუყენებია.

თუ საარბიტრაჟო შეთანხმება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების (მაგალითად იპოთეკის) შემადგენელი ნაწილია და მოსარჩელე ითხოვს როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების, ასევე მთლიანად ხელშეკრულების ბათილად ცნობას, სასამართლო უფლებამოსილია, რომ მიიღოს სარჩელი წარმოებაში მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილში. მოთხოვნა ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში (ვიდრე საარბიტრაჟო შეთანხმება ძალაშია), არ შეიძლება გახდეს სასამართლოს მსჯელობის საგანი ანუ ასეთი სახის სარჩელი დაუშვებელია.

თუ, მაგალითად, მხარის მიერ დაყენებული რამდენიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთი საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადია, მაშინ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილი იქნება, რომ არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში, ან შეწყვიტოს საქმის წარმოება თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის “ვ” პუნქტისა.

II.

საპროცესო თანამონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანი და რთული ინსტიტუტია. ამ მხრივ თანმხლები პირების პრობლემა ისევ ძალიან აქტუალურია სამოქალაქო პროცესში. მოსარჩელემ მოპასუხედ უნდა მიუთითოს კონკრეტული პირები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ვინდიკაციური სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე მოპასუხედ უთითებს ერთ კონკრეტულ პირს და მასთან თანმხლებ პირებს. **შეთანხმდნენ შემდეგზე:** სასამართლომ ასეთ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაზე მითითებით უნდა დაადგინოს ხარვეზი და მოსთხოვოს სარჩელის აღმძვრელ პირს მოპასუხეთა ზუსტი ვინაობის დადგენა. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სარჩელი ამ ნაწილში (თანმხლები პირების ნაწილში) დარჩება განუხილველი. საქმის განხილვაში პირის მონაწილეობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა

საერთაშორისო ევროპული კონვენციის მე-6 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფართოდან გამოსახლების შესახებ სამოქალაქო დავის განხილვისას სასამართლო შეზღუდულია სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმა-დებულებებით. ზოგიერთი საკითხი, რომელიც წარმოიშობა მესაკუთრის უფლების შელახვასთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებისა და წესების საფუძველზე.

III.

საკმაოდ ხშირად საზოგადოების პარტნიორები ან აქციონერები მოითხოვენ თავიანთი წილის პროპორციულად საზოგადოების ქონებიდან **ქონების ნატურით გამოყოფას**. საქართველოს **უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით** არ შეიძლება საზოგადოებიდან გასულ პარტნიორს თავისი წილის თუნდაც პროპორციულად მიეცეს ქონება ნატურით. საზოგადოების ქონება და საწესდებო კაპიტალში პარტნიორის წილი სხვადასხვა სამართლებრივი ბუნების მქონე ელემენტებია, თუნდაც ისინი ერთიანი ეკონომიკური აღმნიშვნელის ქვეშ მოიაზრებოდნენ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილია სწარმოს ნატურით გაყოფის წესი, კერძოდ, კანონის 14.6-ე მუხლით საწარმო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე სწარმოო ერთეულია, შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა – სუბიექტებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. საწარმოს ნატურით გაყოფის თაობაზე უნდა არსებობდეს პარტნიორთა (საერთო) კრების გადაწყვეტილება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კანონი უშვებს საწარმოს გაყოფას მხოლოდ საწარმოს შიგნით არსებული საწარმოო ერთეულების მიმართ, ე.ი ისეთი წარმონაქმნების მიმართ, რომელნიც ორგანიზაციულად ცალკე გამოყოფის შემთხვევაში გააგრძელებენ დამოუკიდებლად საქმიანობას. საწარმოს გაყოფა პარტნიორთა ან აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას წარმოადგენს. პარტნიორს არა აქვს საწარმოს ქონებიდან მისი წილის ნატურით გამოყოფის სამართლებრივი საფუძველი. ქონების ნატურით გაყოფა დასაშვებია მხოლოდ პარტნიორთა შეთანხმებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქციონერის (წილის მფლობელის) მიერ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი (განხორციელებული) შენატანი, ანუ ქონება (ფულადი თუ არაფულადი ქონების სახით), კანონის თანახმად ხდება საზოგადოების საკუთრება და მისი უბრალოდ უკან დაბრუნება შეუძლებელია. სწორედ ამან გამოიწვია გაუგებრობა და კამათი. სამართლებრივად დაუშვებელია პარტნიორმა, მაგალითად, სხვა პარტნიორებთან აზრთა სხვადასხვაობისა და საქმიანობის შეუთავსებლობის გამო, მონიდრომოს საზოგადოებიდან გასვლა და პარალელურად იმ ქონების მისთვის გადაცემა (თუნდაც საწესდებო კაპიტალში მისი წილის პროპორციულად), რომელზედაც საკუთრების უფლება საზოგადოებას ეკუთვნის. შიდა შეთანხმებით რასაკვირველია შესაძლებელია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 14.6-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდეს

საწარმოს რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის ერთ-ერთი ნაირსახეობა კი საწარმოს ნატურით გაყოფაა. ამ უკანასკნელს კი, რა თქმა უნდა, იცნობს და უშვებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. (ამის თაობაზე შეგიძლიათ იხილოთ მაგ. უზენაესი სასამართლოს განჩინებები №ას 117815-03; №3კ/409-03).

IV.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლით განისაზღვრა სარჩელის უზრუნველყოფის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და ბათილად ცნობის თაობაზე შეტანილ განცხადებაზე გადასახდელი **სახელმწიფო ბაჟის ოდენობა**. აღნიშნულით არ იცვლება ამ განცხადებებთან დაკავშირებით შეტანილ ამავე მუხლით გათვალისწინებულ კერძო საჩივარზე (დავის საგნის ღირებულების) 1,5% და სააპელაციო საჩივარზე 3% გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

V.

განხილულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი და მასში 2005 წლის 9 დეკემბერს შეტანილი ცვლილება. წინამდებარე მუხლი აწესრიგებს **უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლის** საკითხს. ამ მუხლიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია პრობლემა, თუ აღნიშნულ პროცესში ვინ უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე სათანადო მოპასუხედ. მანამდე მოქმედი რედაქციით უმკვიდრო ქონება გადადიოდა ხაზინაზე (და ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენლად და, შესაბამისად, მოპასუხედ გამოდიოდა ფინანსთა სამინისტრო). განხორციელებული ცვლილებით ეს ნორმა შეიცვალა და განისაზღვრა, რომ „თუკი არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის **სახელმწიფოზე**“.

სახელმწიფო მეტად ფართო ცნებაა. ხშირად ამგვარი ტიპის პროცესში მოსარჩელე მხარე მოპასუხედ უთითებს ნოტარიუსს და სხვა პირებს, რომელნიც არასათანადო მოპასუხეებს წარმოადგენენ. ამიტომ, დგება სათანადო მოპასუხის განსაზღვრის (პროცესში ჩაბმის, ჩანაცვლების) საკითხი. ამ პრობლემასთან მიმართებაში საჭიროა განესაზღვროთ, თუ რა იგულისხმება უმკვიდრო ქონებაში და, აქედან გამომდინარე, უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლაში, ანუ რა იურიდიული ფაქტები განაპირობებენ იმას, რომ დადგინდეს, ჯერ ერთი, არის თუ არა ქონება უმკვიდრო და, მეორე, გადავიდა თუ არა უმკვიდრო ქონება სახელმწიფოზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი განმარტავს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას მიიჩნევა ქონება უმკვიდროდ. ამას განსაზღვრავს ის იურიდიული მნიშვნელობის შემადგენლობა, რომელიც მოცემულია წინამდებარე მუხლში, კერძოდ: 1. როდესაც არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან; 2. არც ერთმა მემკვიდრემ სამკვიდრო არ

მიიღო; 3. ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება ანუ ეს იურიდიული მნიშვნელობის შემადგენლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქონება ცნობილ იქნეს უმკვიდროდ, ხოლო ამის შემდეგ კი ეს უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. უძრავი ქონების გადასვლის საკითხს ზოგადად არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი. ასე რომ, უმკვიდრო ქონება საერთო დადგენილი წესით გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის საკითხი დაკავშირებულია იმ ორგანოს უფლებამოსილებასთან, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის სახელმწიფოს სახელით. კერძოდ, სახელმწიფოს უფლებამოსილებები, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს იმ ორგანომ, რომლის კომპეტენციაშიც შედის სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა.

განსახილველი ნორმით უმკვიდრო ქონების მიღების ვალდებულება გააჩნია სახელმწიფოს და არა თვითმმართველობას. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული დამოუკიდებელი იურიდიული პირია და მისი ქონების შექმნის წესს, წყაროებს და კატეგორიებს, აგრეთვე, თვითმმართველი ერთეულისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის წესს განისაზღვრავს კანონი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი და „ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი.)

ამრიგად, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მოპასუხედ უნდა იქნეს ჩაბმული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი), რადგან მის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა.

ქონება, რომელიც სახელმწიფოზე გადავიდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1444-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა) შედის სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესის სფეროში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროს რეალურად ფლობენ სხვა მემკვიდრეები, ხოლო პირი ითხოვს გაშვებული ვადის აღდგენას, პროცესში მოპასუხედ მოწვეულ უნდა იქნან ეს პირები (პირები, რომელთაც სამკვიდრო ფაქტობრივად მიიღეს) და არა სახელმწიფო. მხედველობაში მისაღებია, თუ რომელი პირის უფლებასა და კანონით დაცულ ინტერესს ეხება სასამართლოს მიერ გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში შეიძლება ასეთ დავებში მოპასუხედ ჩართული იქნეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადგილობრივ-ტერიტორიული ორგანოები.

თუკი არსებობს მხოლოდ ორი მემკვიდრე, რომელთაგან ორივემ გაუშვა სამკვიდროს ვადა და მხოლოდ ერთი ითხოვს ამ ვადის აღდგენას, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით ასეთ პროცესში სახელმწიფო ჩაებმება პროცესში მოპასუხედ.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოსამართლეებმა დასვეს შეკითხვა ასევე სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით, კერძოდ როგორ უნდა მოხდეს ამ შემთხვევებში ბაჟის გადახდა და რა მოცულობით.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეები წარმოადგენენ ქონებრივ-სამართლებრივ დავებს, ე.ი. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ასეთ დავებში დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე (საბაზრო ღირებულება).

VI.

აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვისათვის აუცილებელია ყველა იმ წინაპირობის არსებობა, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით არის დადგენილი. სხვა წინაპირობებთან ერთად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი გულისხმობს იურიდიული ინტერესების არსებობას სასამართლო გადაწყვეტილებით ასეთ აღიარებასთან მიმართებაში. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი. აღნიშნული ნორმის მიხედვით იურიდიული ინტერესის არსებობა არსებითად უკავშირდება სარჩელის აღძვრის შესაძლებლობასა და დასაშვებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის აუცილებელია არსებობდეს მხარეთა შორის დავა უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე; მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში, ასეთი დავა უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ამ გადაწყვეტილებას გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის; აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე. აღიარებითი სარჩელი აღიძვრება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. ამ გარემოებაზე კანონში უშუალოდ არ არის მითითებული, მაგრამ გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ. ყოველთვის, როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ იქნება ამ უკანასკნელით სამართლებრივად დაინტერესებული, რადგან მას შესაძლებლობა აქვს სარჩელის სხვა ფორმით უკეთესად მიაღწიოს მიზანს.

თუ სასამართლოში აღძრული აღიარებითი სარჩელიდან არ ჩანს მოსარჩელის ინტერესი, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე, 178-ე, 185-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და თუ მოსარჩელის მიერ არ იქნება მითითებული მისი ინტერესი აღიარებითი სარჩელის მიმართ სასამართლო სარჩელს მოსარჩელეს დაუბრუნებს 185-ე მუხლის საფუძველზე.

VII.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება აუცილებლად უნდა პასუხობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლების მოთხოვნებს. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნებს, არამედ გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ ასეთი განცხადების წარდგენის მომენტიდან არ იქნება გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია, მიუთითოს მხარეს ხარვეზზე, გამოიტანოს შესაბამისი განჩინება და მოსთხოვოს მას ამ ხარვეზის გამოსწორება. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული.

თუ სარჩელის აღძვრამდე პირი ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, მით უფრო, ასეთ განცხადებას მან უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ხარვეზის გამოყენების შემთხვევაში იმავე კოდექსის 190-ე მუხლით დადგენილი ვადა არ დაირღვევა, რადგანაც მოსამართლის მიერ მხარისათვის ხარვეზის დადგენა ჯერ არ ნიშნავს განცხადების სრულყოფილ განხილვას. ვადა უნდა აითვალოს იმ დროიდან, როდესაც ხარვეზი გამოსწორებული იქნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ. **შეთანხმდნენ:** ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე საგანზე იმავე საფუძველით დაუშვებელია. ამ ნორმის თანახმად, თუ სასამართლომ უკვე იმსჯელა უზრუნველყოფის განცხადებაზე, არ დააკმაყოფილა იგი და მხარე ხელახლა შემოიტანს სასამართლოში იდენტური სახის განცხადებას, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს დაუშვებლობის მოტივით.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, მაგრამ მხარე არასრულყოფილად მიუთითებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველებზე, მაშინ სასამართლო მიიღებს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მისცემს განცხადების ავტორს ვადას ხარვეზის შესავსებად.

VIII.

განხილულ იქნა პროცესში ერთ-ერთ მხარედ ფილიალების მონაწილეობის **საკითხი**. მოსამართლეთა ნაწილი თვლიდა, რომ საწარმოს ფილიალის მიერ დადებულ გარიგებებზე (ძირითადად შრომის ხელშეკრულებებზე) სათანადო მოპასუხება სწორედ საზოგადოების ფილიალი თანახმად 79-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, თუმცა რაიონული სასამართლოები ამ სახის დავებს მაინც ძირითადი საწარმოს ადგილსამყოფელის მისამართით აგზავნიან.

საქართველოს **უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით** საბოლოოდ ჩამოყალიბდა, რომ ყველა იმ საკითხზე, რომელზედაც მხარე ედავება საწარმოს ფილიალს, პროცესში მოპასუხედ ჩაბმული უნდა იყოს

ძირითადი საწარმო და არა მისი ფილიალი. ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს, იგი ძირითადი საწარმოს (იურიდიული პირის) წარმომადგენლობაა, მას არ გააჩნია განცალკევებული ქონება და კრედიტორთა წინაშეც იგი დამოუკიდებლად საკუთარი ქონებით პასუხს არ აგებს. ამიტომ მიხნეულია, რომ ძირითადმა საწარმომ მის ფილიალზე უნდა გასცეს საპროცესო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. თუკი ფილიალს მის წესდებაში (ან მისი შემქნის რაიმე სხვა სახის დოკუმენტში) აღნიშნული აქვს, რომ იგი გახლავთ ძირითადი საწარმოს წარმომადგენელი არა მხოლოდ მესამე პირებთან, კონტრაქტებთან გარიგებების დადებაში, არამედ იგი ასევე ძირითადი საწარმოს საპროცესო წარმომადგენელიც გახლავთ – მაშინ დამატებით ფილიალზე ძირითადი საწარმოსაგან წარმომადგენლობის დამადასტურებელი უფლებამოსილების მიღება საჭირო აღარ არის.

IX.

საკითხი შეეხო სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლს, კერძოდ, რა სამოქალაქო საპროცესო სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული, სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო? აღნიშნული ნორმის მიხედვით, სასამართლოში შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვისას ყველა შემთხვევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ანუ სასამართლოში ეს ორგანო უნდა გამოვიდეს რაიმე სახის სუბიექტად. მატერიალურმა სამართალმა განსაზღვრა, რომ ყველა შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ამ ტიპის საქმეებში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე თავად განსაზღვრავს თუ ვინ ჩააბას მხარედ პროცესში და მესამე პირებიც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე სწორედ მისი ინიციატივით იქნებიან ჩართულნი საქმეში, პრობლემაც ნათელია – ამ შემთხვევაში მატერიალური ნორმა განსაზღვრავს ამგვარ პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სავალდებულო მონაწილეობას, ხოლო, თუ რა სუბიექტად უნდა იქნეს იგი ჩაბმული ამ საქმეში, არსადაა განსაზღვრული, მათ შორის ამას არც საპროცესო კოდექსი არეგულირებს. გამოითქვა მოსაზრება, ხომ არ უნდა მონაწილეობდნენ ეს ორგანოები აღნიშნულ პროცესში როგორც სპეციალისტები.

საბოლოოდ აზრი შეჯერდა იმაზე, რომ ამ საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უნდა გამოვიდნენ მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ამ ორგანოების კანონიერ ინტერესს აღნიშნულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები ნამდვილად ეხება. თუნდაც ის ფაქტი, რომ შვილად აყვანის საკითხში ეს ორგანოები ერთ-ერთ გადაამწყვეტ როლს ასრულებენ, გასცემენ თანხმობას შვილად აყვანასთან დაკავშირებით, დასკვნებს და ა.შ. შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საკითხებშიც ეს ურთიერთობა უეჭველად შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა სამართლებრივ ინტერესს. პრობლემა არ იქმნება

ისეთ შემთხვევებში, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებას და ბათილად ცნობას თავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ითხოვს და, მაშასადამე, გამოდის მოსარჩელედ ან მხარემ თავად მოითხოვა ასეთი ორგანოს ჩართვა პროცესში მოპასუხედ. თუკი დავა აქტს შეეხება, შესაძლებელია, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, დაისვას საკითხი სათანადო მოპასუხის შესახებ ან ამავე კოდექსის 84-ე მუხლით განისაზღვროს სათანადო მოსარჩელის საკითხი. ასე რომ, სსსკ-ის 203-ე მუხლის საფუძველზე, მოსამზადებელ სხდომაზე შეიძლება ასეთი საკითხების გარკვევა, მაგრამ, თუკი არ გვაქვს ამგვარი შემთხვევები და მაინც სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა საქმეში საპროცესო სუბიექტად, მაშინ რა ხერხს უნდა მიმართოს სასამართლომ? სასარჩელო მოთხოვნამ თავად უნდა მიახვედროს სასამართლო თუ რომელ სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული ამა თუ იმ საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ანუ სასარჩელო მოთხოვნამ თავად უნდა დაანახოს სასამართლოს თუ ბათილობის რა საფუძველს ეხება დავა და თუ ვისთან აქვს საქმე. როგორც ზევით აღინიშნა, შესაძლებელია ეს ორგანო წარმოდგეს მოპასუხის, მოსარჩელის, თანამონაწილის (თანამოსარჩელის ან თანამოპასუხის) რანგში და ა.შ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ნამდვილად არის წინააღმდეგობა სამოქალაქო კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსს შორის, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანამხად, მესამე პირად პროცესში ამა თუ იმ სუბიექტის ჩართვა არ ხდება სასამართლოს ინიციატივის საფუძველზე, ეს თავად მხარის პრეროგატივაა. მაგრამ, რადგანაც ასეთ იმპერატიულ დანაწესს ადგენს სამოქალაქო მატერიალური კოდექსი, სასამართლო უნდა გამოვიდეს სწორედ მატერიალური სამართლიდან და ამის საფუძველზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. საბოლოოდ შეჯერდა აზრი, რომ ასეთ საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სასამართლოს მიერ ჩაერთვება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, გამომდინარე იქიდან, თუ რა სახის სასარჩელო მოთხოვნაა დაყენებული სასამართლოში. ამ შემთხვევაში გვყავს სსსკ-ის 89-ე მუხლის საფუძველზე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა), მაგრამ არ არსებობს ინიციატივა მხარისა ამ პირის სასამართლოში მოწვევის თაობაზე, ამიტომ, ასეთი ინიციატივის განხორციელების უფლებამოსილება მატერიალური სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე სასამართლომ უნდა იტვირთოს. ამასთან ერთად, შეიძლება განიმარტოს სსსკ-ის 203-ე მუხლი, სადაც განსაზღვრულია, თუ რისი მოქმედების განხორციელება შეუძლია მოსამართლეს საქმის განხილვისათვის, მათ შორის პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების საკითხი და, შესაბამისად, საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის მოტივით, დაეყრდნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმას.

X.

საკითხი შეეხო მრავალბინიან სახლებში საზიარო უფლების გაუქმებას. ამ საკითხიდან გამომდინარე, საჭიროა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან საზიარო უფლების ინსტიტუტი, რომელიც სამოქალაქო კოდექსშია მოცემული და ის ინსტიტუტი, რომელიც ასევე არეგულირებს მრავალბინიან სახლებში მობინადრეთა ურთიერთობებს. ფაქტობრივად საზიარო უფლებები არ ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშობა მრავალბინიან სახლებში მობინადრეთა შორის (აქ ვიყენებთ სპეციალურ ნორმებს და ამის დანაწესი სამოქალაქო კოდექსში არსებობს). რა თქმა უნდა, სამოქალაქო კოდექსში არსებობს ზოგადი ნორმები, რომლებიც საერთოა ამ ორი ინსტიტუტისათვის, მაგრამ ისეთი ურთიერთობები, როგორცაა წილის გამოყოფა, ამ წილის განკარგვის სამართლებრივი საფუძვლები – ისინი ცალკე გვაქვს მოცემული სწორედ ამ ინსტიტუტით.

ძირითადად პრობლემა წარმოშვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში ე.წ. იტალიურ ეზოებთან დაკავშირებულმა დავებმა, კერძოდ, მაგალითად, როდესაც ამ „იტალიურ“ სახლებში ხდება საერთო საკუთრების ფართის გაყოფა, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ეს მრავალბინიან სახლად და ა.შ. ძალიან ხშირია დავები, როდესაც მხარეები ითხოვენ საერთო სარგებლობაში არსებული ფართის გაყოფას და ამ შემთხვევაში სრულიად სამართლიანად ისმება კითხვა: არსებობს თუ არა ამ ფართის გაყოფის სამართლებრივი საფუძველი? **ყურადღება უნდა გამახვილდეს** იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ კი ზემოთ ხსენებული ინსტიტუტი (ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში) არ ითვალისწინებს ნატურით გამოყოფას ანუ ერთ-ერთი მესაკუთრის მიერ საერთო საკუთრებიდან ფართის (ქონების) ნატურით გამოყოფის შესაძლებლობას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. თუმცა სამოქალაქო კოდექსის 212-ე მუხლი არეგულირებს საერთო საკუთრებაში წილის განსაზღვრის საკითხს, ანუ საერთო საკუთრებაში წილის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალური ფართის პროპორციულად. აქ მხედველობაშია მისაღები მხარის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართი და მთელ სახლში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ყველა ბინის საერთო ფართობი (მათ შორის „იტალიური“ ტიპის სახლებში). ასე რომ, კოდექსის წინამდებარე მუხლი უშვებს მხოლოდ წილის გამოყოფას, მაგრამ რამდენადაა ასევე შესაძლებელი ამ მუხლზე დაყრდნობით ქონების ნატურით გამოყოფა? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ინდივიდუალური საკუთრების საგნის დეფინიცია, რომლის თანახმად ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართია (ამავე კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემული ინდივიდუალური საკუთრების ცნების გარდა) ასევე მისი მხოლოდ ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც შეიძლება მოსცილდეს, გადაკეთდეს, დაემატოს, მაგრამ არსებობს დათქმა, რომ ეს არ უნდა მოხდეს საერთო საკუთრების ხელშეშლის სანაცვლოდ ანუ უგულებელყოფილი არ უნდა იყოს ის უმთავრესი პრინციპი, რომლითაც დაცულია საერთო საკუთრება ამგვარ ურთიერთობაში. სამოქალაქო კოდექსის 211-ე მუხლი არ აკონკრეტებს, თუ უშუალოდ რომელ ფართზე მიდის მასში საუბარი. ამ ნორმის თანახმად, დაუშვებელია საერთო სარგებლობის ფართის შემცირება. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ნორმის თანახმად, იგულისხმება იმ ფართის მოცილება, გადაკეთება,

დამატება, რომელიც წარმოადგენს 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის შემადგენელ ნაწილს. არნიშნულის გათვალისწინებით, დაუშვებელია მრავალბინიან სახლებში საერთო საკუთრების რეჟიმის ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ საკუთრებაში.

საბოლოოდ შეთანხმება იქნა მიღწეული, რომ საერთო საკუთრებაში არსებული ფართის შემცირება ინდივიდუალური საკუთრების ხარჯზე არ შეიძლება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ისეთი ფართების რეკონსტრუქცია, მიერთება, შეერთება, რომლის ტრანსფორმაციის გზითაც არ დაირღვევა საერთო საკუთრების რეჟიმი და ამით არ შეიღახება სხვა დანარჩენი მესაკუთრეების კანონით დაცული უფლებები და ინტერესები. სწორედ ამას გულისხმობს ნაციონალური კანონმდებლობის საზიარო უფლების ინსტიტუტი და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა სხვა დანარჩენი მესაკუთრის თანხმობა იქნება გაცემული.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლოა, ისეთი ფართის მიერთება, რეკონსტრუქცია, თუკი ამის შედეგად არ შეიღახება საერთო საკუთრებაში არსებული ფართი, ანუ არ შეიღახება ამ საერთო საკუთრების ფართის დანიშნულება. ამის შეფასება კი სასამართლოს შეუძლია სპეციალისტის დასკვნის ან/და სხვა მექანიზმების საფუძველზე, რის შემდეგაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას.

აღიარებითი სარჩელის საფუძველზე იდეალური წილი შეიძლება განისაზღვროს, მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს არა ის მიზანი, რომ შემდგომში გამოიყოს (ნატურით) ეს იდეალური წილი საერთო საკუთრებიდან, არამედ უნდა გააჩნდეს სხვა მიზანი, მაგალითად, ამ ფართით სარგებლობა მრავალბინიან სახლებში საერთო საკუთრების ინსტიტუტისათვის დადგენილი წესებით, გადასახადების განსაზღვრა და ა.შ. როდესაც შენდება მრავალბინიანი სახლი, პროექტით განსაზღვრულია ასახველი კიბის უჯრედი, ლიფტი, სხვა საერთო საკუთრება, რომლის გამოცალკავება და ნატურით გამოყოფა შეუძლებელია და ამას არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს.

XI.

სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველის, ასევე რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის ან არდანიშვნის შესახებ განჩინების გასაჩივრების საპროცესო-სამართლებრივ საფუძველებისა და ამ განჩინებებზე მხარისათვის კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობის მინიჭების კრიტერიუმების განსაზღვრის საკითხი მეტად აქტუალურია.

ასეთი განჩინებების გასაჩივრების შესახებ მითითებულია „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში და აღნიშნულია, რომ თუკი ეს კანონი არ არეგულირებს ამ საკითხს, მაშინ გამოყენებული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს, რომელნიც კერძო საჩივარს შეეხებიან,

განსაზღვრავენ, თუ გასაჩივრების შესახებ პირდაპირ არის მითითებული, მაშინ იგი კერძო საჩივრით გასაჩივრდება, ხოლო თუკი მითითებული საპროცესო კანონმდებლობით არ არის – გასაჩივრება არ შეიძლება. ჩამოყალიბდა აზრი იმის თაობაზე, რომ საპროცესო კოდექსის ამ ნორმებს (გასაჩივრებასთან დაკავშირებით) სასამართლო ვერ გამოიყენებს, რადგან „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონში ფაქტობრივად მითითებული არ არის შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაზეც კი. ხოლო ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ გაკოტრების საქმეებზე გასაჩივრება არ დაიშვება და ისინი პირველ ინსტანციაში სრულდება. ამასთანავე, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, თუკი ის არ ეწინააღმდეგება თავად გაკოტრების მიზანს. შეჯერდა აზრი, რომ შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, მათ შორის გაკოტრების მმართველის, რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებები (განჩინებები) ეს გახლავთ საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მათ შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ გაკოტრების პროცესზე, ასეთ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ კრედიტორთა კანონით დაცულ ინტერესებს და ამიტომ ასეთი სახის გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა მხარეებს უნდა მიეცეთ. აღნიშნული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს, რომლის მიხედვითაც მიჩნეულია, რომ ასეთი სახის განჩინებები მეტად მნიშვნელოვან განჩინებათა რიცხვს განეკუთვნება და ისინი უნდა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ **დასკვნამდე უზენაესი სასამართლო მივიდა შემდეგი მოსაზრებების გამოც:** სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აღნიშნულია, რომ თუკი მითითებული არ არის გასაჩივრების შესაძლებლობაზე, მაშინ გასაჩივრება არ შეიძლება. მაგრამ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის ზოგიერთი ნორმა მიუთითებს გასაჩივრების შესაძლებლობაზე, ზოგიერთი ნორმა კი კრძალავს, ხოლო ზოგიერთი განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობაზე ან გასაჩივრების აკრძალვაზე კი საერთოდ არ არის მითითებული, რაც ნიშნავს, რომ გაკოტრების სპეციალური კანონით დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპებისაგან განსხვავებული დანაწესი. ამდენად, დადგინდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორც გახლავთ გაკოტრების მმართველის, რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნა არდანიშვნის შესახებ სასამართლოს განჩინებები უნდა გასაჩივრდეს დადგენილი წესის მიხედვით. გაკოტრების საქმის წარმოება ბევრადაა დამოკიდებული თავად გაკოტრების მმართველის პიროვნებაზე, მის გამოცდილებაზე და სხვა კრიტერიუმებზე და ამის გამო ეს სასამართლო კონტროლს უთუოდ უნდა დაექვემდებაროს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დადგინდეს შემდეგი პრინციპი: თუ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონით დადგენილი არ არის, რომ ეს გადაწყვეტილებები არ საჩივრდება, მაშინ სასამართლო უნდა გამოვიდეს იმ პრინციპიდან, რომ თუკი ამა თუ იმ გადაწყვეტილებას შეუძლია ზიანი მოუტანოს მხარეს ან თუკი ეს გადაწყვეტილება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თავად ამ კანონის პრინციპებს, მიზნებს და, მიუხედავად იმისა, რომ კანონის არასრულყოფილების გამო, მასში არაფერია ასეთი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობების თაობაზე ნათქვამი,

სასამართლომ უნდა მიანიჭოს მხარეებს უფლება მათი (გადაწყვეტილებების) გასაჩივრებისა.

რაც შეეხება კერძო საჩივარს, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ კერძო საჩივარი სამ ეტაპს გაივლის, ვინაიდან შეიძლება სააპელაციო სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ხოლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, კერძო საჩივარი მხოლოდ ორ ეტაპს გადის, ამიტომ, აზრი შეჯერდა შემდეგ ზე: რადგანაც გაკოტრების საქმეთა წარმოების მიზნებისათვის გაკოტრების კანონი სპეციალურ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს და მასში აღნიშნულია ზემოთ მითითებული საკითხი (კერძო საჩივრათან დაკავშირებით), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმების გამოყენება, რომლებიც კერძო საჩივარს ეხება, ამ შემთხვევაში არ შეიძლება. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს დადგენილება საჩივრდება, თუკი არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით დადგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ამ კანონის მიხედვით, შეიძლება თავად განსაზღვროს გასაჩივრების ან არგასაჩივრების უფლების მინიჭების საკითხი ანუ, თუ კერძო საჩივარში იქნება წარმოდგენილი საკასაციო საფუძვლები, იგი სამივე ინსტანციას გაივლის.

XII.

ეს საკითხი წარმოიშვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და იგი შემდეგნაირად დაისვა: პირველ ინსტანციაში მოსარჩელემ დავა მოიგო. ეს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. აპელაციაში პირველ ინსტანციის სასამართლოში მოპასუხედ მყოფი პირი გვევლინება უკვე აპელანტად. ხოლო მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო ინსტანციაში უარს ამბობს სარჩელზე. როგორ წყვეტს სასამართლო ამ საკითხს და რას აღნიშნავს მის გადაწყვეტილებაში?

აზრი შემდეგზე შეჯერდა: ამ შემთხვევაში დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია უარი განაცხადოს სარჩელზე ანუ მას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე აქვს უფლება, რომ ისარგებლოს დისპოზიციურობის პრინციპით და უარი თქვას სარჩელზე. სსსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი წესები, ხოლო 272-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით საქმის წარმოების შეწყვეტა ხდება იმ საფუძვლით, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ანუ მოსარჩელეს, თუნდაც იგი მოგებულ მხარის პოზიციიდან გამომდინარე, დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად არ ერთმევა უფლება განაცხადოს უარი სარჩელზე. აზრი შეჯერდა ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილის

ჩამოყალიბებასთან მიმართებაშიც, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება: დაკმაყოფილდეს მოსარჩელის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე მის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უქმდება და წყდება საქმის წარმოება. ამ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, 272-ე მუხლის “გ” პუნქტით და 372-ე მუხლით.

XIII.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელემ მოიგო დავა. აპელაციის წესით გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ (პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე მხარემ) მოინდომა **დავის საგნის გადიდება**, მაგალითად, პირველ ინსტანციაში იგი ითხოვდა 5000 ლარს, ხოლო აპელაციაში იგი მოთხოვნას ზრდის და ითხოვს 7000 ლარს. აქვს თუ არა მოსარჩელეს ამის უფლება?

აზრი შეჯერდა იმაზე, რომ მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოში ასეთი საპროცესო უფლება არ გააჩნია. როდესაც მოსარჩელეს შეაქვს სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში, მან სწორედ აქ უნდა განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება და მისი გაზრდა სააპელაციო სასამართლოში, თუ მას არ აქვს შეტანილი სააპელაციო საჩივარი, დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

XIV.

საკითხი შეეხო ასევე გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჩემორთმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებულ დავებზე სარჩელის ხანდაზმულობის პრობლემის გადაწყვეტას (ე.წ. რესტიტუცია).

ასეთი კატეგორიის რამდენიმე **დავა განიხილა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ**. მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ასეთ მოთხოვნებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო ეთქვათ უარი. ასეთ დავებში მოსარჩელები აპელირებდნენ, რომ მათ თავის დროზე არ ჰქონდათ გასაჩივრების შესაძლებლობა, ასეთ წესს კანონიც არ ითვალისწინებდა, ამიტომაც მათი სასარჩელო მოთხოვნა არ არის ხანდაზმული და იგი სასამართლოში წარადგინეს მას შემდეგ, რაც ამის შესაძლებლობა რეალურად მიეცათ. სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ეს პოზიცია არ იყო სწორი, სარჩელის აღძვრის კანონიერი საფუძველი მათ ჰქონდათ საბჭოთა პერიოდში მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე და 90-იან წლებშიც, მაგრამ მათ სარჩელი არ აღუძრავთ. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით განისაზღვრა, რომ ასეთი სარჩელები ხანდაზმულია და ვერ დაკმაყოფილდება. თუკი ასეთი ჩამორთმეული ქონება უნდა დაუბრუნდეს ყოფილ მესაკუთრეს, საჭიროა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური ნება, ამის

თაობაზე უნდა იქნეს მიღებული სპეციალური კანონი და სწორედ მასში უნდა აისახოს ასეთი პირებისათვის კომპენსაციისა თუ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების საკითხი, როგორც ეს სხვა ქვეყნებში განხორციელდა. საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა საფუძველს, რომ სასამართლომ ასეთი სარჩელები დააკმაყოფილოს.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ სასამართლომ უარი უნდა უთხრას საერთოდ ასეთი სარჩელების მიღებაზე მოსარჩელეს, უარყოფილ იქნა. უფლების სასამართლო წესით დაცვა მხარის კონსტიტუციური უფლებაა. გამომდინარე აქედან, სასამართლომ უნდა მიიღოს წარმოებაში ასეთი სარჩელი (საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა გათვალისწინებით), ხოლო დაკმაყოფილებაზე, ზემოაღნიშნული მიზეზით, უნდა ეთქვას უარი, ანუ ეს უნდა მოხდეს საქმის არსებითი განხილვის შედეგად. (ამ საკითხთან დაკავშირებით მაგალითისთვის შეგიძლიათ იხ. სუსგ №ას-721-973-04).

XV.

საკითხი შეეხო ექსპერტიზასთან დაკავშირებულ პრობლემას. კერძოდ, ხშირად ექსპერტიზის ჩატარებას ხელი ეშლება იმის გამო, რომ მხარეთა მიერ არ ხდება ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება (გადახდა). შესაბამისად, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა მიერ ხარჯების გადახდას და ექსპერტიზის დროულ ჩატარებას. ამიტომ სასურველია გადაწყდეს, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს მექანიზმი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ხშირ შემთხვევაში სასამართლო აგზავნის საქმეს ექსპერტიზის ბიუროში, ხოლო ექსპერტიზის ბიურო იმის გამო, რომ ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯი არ არის ანაზღაურებული, ექსპერტიზის ჩატარებაზე უარს ამბობს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს მოსაზრებით, ექსპერტიზის ხარჯები აუცილებლად უნდა იქნეს გაღებული სახელწიფოს მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იქნება მისი ჩატარება. სწორედ ამაში მდგომარეობს პრობლემა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აუცილებლად საჭიროებს მოგვარებას, ანუ საკითხი შემდეგნაირად ისმის: როგორ და ვის მიერ უნდა იქნეს გაღებული ამგვარი ხარჯები და როგორ მოხდება წინასწარ ამ ხარჯების ანაზღაურება ექსპერტიზის ბიუროსათვის, შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმება ექსპერტიზის ბიუროსათვის, რათა მოხდეს სათანადო ექსპერტიზის ჩატარება.

ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინებაში იწერება, რომ ექსპერტიზის ხარჯები მხარეებს გადახდეთ წინასწარ. მაგრამ პრაქტიკაში მხარეების მიერ ამ ხარჯების გაღება წინასწარ არ ხდება, რაც ზემოთ მოყვანილ პრობლემას ქმნის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებობს ნორმა, რომლის მიხედვითაც, ეს ხარჯები წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი, კერძოდ, საუბარია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის დანაწესზე. აქ ნათქვამია, რომ სასამართლო ხარჯები (ექსპერტიზის ჩატარების ხარჯიც, კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო ხარჯებში მოიაზრება) წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს

თანაბარწილად. უხერხულობას ბადებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოცემულობა, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო...“ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპიდან თუ ამოვალთ, სასამართლო ხარჯების გადახდა ხდება მხარეთა მიერ. ამიტომ სასამართლო ასეთ ხარჯებს, ექსპერტიზის საკუთარი ინიციატივით დანიშვნის დროსაც კი, რასაკვირველია, თვითონ ვერ გაიღებს და ეს ხარჯი მხარეებს ეკისრებათ.

შეხვედრაზე გამოითქვა ასევე შემდეგი აზრი: როდესაც ექსპერტიზის ჩატარებას მხარე შუამდგომლობს, შესაბამისად, თეორიულად და პრაქტიკულადაც ივარაუდება, რომ ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. თუ ექსპერტიზის დანიშვნას ორივე მხარე მოითხოვს, მაშინ მხარეების მიერ იქნება გადახდილი თანხა. უმრავლეს შემთხვევაში ამ თანხას ორივე მხარე წინასწარ გაიღებს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნა აუცილებელია სასამართლოსთვის, მაშინაც კი, როდესაც ამას მხარეები არ მოითხოვენ. ამიტომ სასამართლო საკუთარი ინიციატივით ნიშნავს მას, ხოლო ხარჯების გაღებას კი მხარეებს აკისრებს თანაბარწილად. ასეთ შემთხვევებში კი მხარეები არ იხდიან ექსპერტიზის საფასურს, რაც ექსპერტიზის ბიუროდან მის ჩატარებაზე უარის თქმის საფუძველია.

სასამართლოს ინიციატივისა და მისი აქტიური როლის ფარგლები კანონით ზუსტად არის განსაზღვრული (მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2-4, 103, 203 და ა.შ. მუხ.), რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართალწარმოებას სრული შეჯიბრებითობის პრინციპით. მტკიცების საგნის გამოსარკვევად სასამართლოს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა. სწორედ ამ ინიციატივის ფარგლებში, თუ საჭიროა, დაშვებულია ექსპერტიზის დანიშვნა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი). ეს იმგავარად უნდა განიმარტოს, რომ ასეთი ინიციატივა არ არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს და იგი მიმართულია არა მტკიცების საგნის განსაზღვრისაკენ (მხარეები თავად წყვეტენ რა ფაქტებზე დააფუძნონ თავიანთი მოთხოვნა), არამედ ხელს უწყობს მხარეთა მიერ მითითებული და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სრულად და ზუსტად გამორკვევას. შესაბამისად, სასამართლოს ინიციატივა და აქტიურობა მხარეთა ინტერესებიდან მომდინარეობს და, ბუნებრივია, ამ ინიციატივის ფარგლებში არსებული სასამართლოს ხარჯების გადახდაც მხარეებს უნდა დაეკისროთ. ასე რომ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მთლიანად არის აგებული დისპოზიციურობის პრინციპზე, ანუ ამ შემთხვევაში მხარეები თვითონ ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივ მოსაზრებებს და ა.შ. ამიტომ ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, სასამართლო განჩინებაში (ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე) მითითებული და განმარტებული იყოს მხარეებისათვის, რომ ექსპერტიზის ჩატარება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ მხარეთა ინტერესს შეესაბამება და ამიტომ ექსპერტიზის ხარჯების წინასწარი გადახდაც მხარეს (მხარეებს) ეკისრება.

იმ შემთხვევაში, როდესაც **ექსპერტიზის ჩატარებას მხარე** (მხარეები) მოითხოვს, სასამართლო გამოიტანს შესაბამის განჩინებას (ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე), სადაც ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებთან ერთად განისაზღვრება, რომ ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა

ხარჯი წინასწარ იქნება ანაზღაურებული მხარის (მხარეთა) მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტიზა ვერ ჩატარდება, რაც საბოლოო ჯამში თვით გადაწყვეტილებაზე იქონიებს გავლენას. ამიტომ, რასაკვირველია, მხარე (მხარეები) ყოველმხრივ იქნება დაინტერესებული, ექსპერტიზის დროულ ჩატარებაზე და პრაქტიკულად პრობლემა გადაწყდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი წინასწარ შეაქვს მხარეს (მხარეებს). როდესაც ექსპერტიზის დანიშვნა თვით სასამართლოს ინიციატივით ხდება, ამ შემთხვევაში სასამართლო ასევე გამოიტანს განჩინებას (ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე), სადაც მიუთითებს არა მხოლოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც ექსპერტიზა უნდა გასცეს პასუხი, არამედ ასევე განუმარტავს მხარეებს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობისა და მათ მიერ ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ გადახდის თაობაზე. საქმე, რომელზედაც ინიშნება ექსპერტიზა რჩება საქმის განმხილველ სასამართლოში. მას შემდეგ, რაც მხარეები (მხარე) წარადგენენ გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სასამართლო საქმეს გადაუგზავნის საქსპერტო დაწესებულებას ექსპერტიზის ჩასატარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტიზა არ ჩატარდება და, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ ამან შეიძლება გარკვეული შედეგი იქონიოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. შესაძლებელია ასევე, რომ მხარეებს განჩინებით მიეთითოთ გარკვეული (სასამართლოს მიერ დაწესებული) ვადა, რომლის განმავლობაშიც ისინი ვალდებული იქნებიან წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი საბუთი და მხოლოდ მისი წარდგენის შემდეგ გადაიგზავნოს საქმე ექსპერტიზის ბიუროში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს ინკვიზიციურობა პირდაპირპროპორციულია მხარეთა ინტერესებთან, ანუ სასამართლოს მოქმედება თანხვედრაშია მხარეთა ინტერესთან, რათა საბოლოო ჯამში დამტკიცდეს სარჩელის საფუძვლიანობა ან მისი უსაფუძვლობა.

დასკვნის სახით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია**: სასამართლო განჩინებით განსაზღვრავს კითხვებს (ექსპერტიზისთვის დასასმელ კითხვებს), განსაზღვრავს თუ ვინ უნდა გადაიხადოს თანხა: მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში – შუამდგომლობის ავტორმა, ხოლო სასამართლოს ინიციატივის დროს – მხარეებმა თანაბრად და მიუთითოს, რომ საქმე ექსპერტიზის ბიუროში გადაიგზავნება მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება სათანადო ხელშეკრულება და ხელშეკრულებით განსაზღვრული ექსპერტიზის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი საბუთი. განჩინების მიღებისას მხარეებს განემარტებათ, რომ თუ რომელიმე მხარე (ხარჯების მხარეებს შორის განაწილების შემთხვევაში) არ გადაიხდის თანხას, ექსპერტიზა არ ჩატარდება. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მასზე გადადის. ანალოგიური განმარტება მიეცემა შუამდგომლობის ავტორს, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნა ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით ხდება.

XVI.

მოვალის გარდაცვალების შემდეგ ხშირ შემთხვევაში მისი მემკვიდრეები განზრახ არ იღებენ სამკვიდროს (ძირითადად, (თუმცა არა ყოველთვის) უძრავ ქონებას, რომელიც დატვირთულია იპოთეკით) სამკვიდრო მოწმობის მიღების გზით, რათა არ მოხდეს ამ ქონებაზე აღსრულების მიქცევა, მაშინ, როდესაც

მემკვიდრეებს ეს ქონება ფაქტიური ფლობით მიღებული აქვთ, რის გამოც კრედიტორს უჭირს თავისი უფლების დაცვა. II. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტებს შორის ურთიერთობისას. ხშირ შემთხვევაში მესაკუთრე გარდაცვლილია და მისი მემკვიდრეები სამკვიდროს არ იღებენ, ან მესაკუთრეს მემკვიდრე არ ჰყავს და მაშინ კანონით მესაკუთრისთვის მინიჭებული უფლება სავარაუდოდ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს? ანუ მოსარგებლის მიერ ასეთ შემთხვევაში სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ? ამდენად, ვინ უნდა იყოს მოპასუხე ა) თუ მემკვიდრეები არ იღებენ სამკვიდროს და ბ) თუ მემკვიდრე უცნობია ან არ არსებობს.

აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ორი შემთხვევა: 1. სანამ კრედიტორი სარჩელს აღძრავს მოვალე მანამდე გარდაიცვალა და 2. მოვალე გარდაიცვალა საქმის განხილვის პერიოდში და, შესაბამისად, საკითხი დგას იმის თაობაზე, თუ როგორ ჩავრთავთ მოვალეს ამ პროცესში. პირველი შემთხვევის დროს, ანუ როდესაც მოვალე უკვე გარდაცვლილია და კრედიტორი სარჩელს აღძრავს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, სარჩელი აღძრას მემკვიდრეების მიმართ. მათ შესაძლოა მემკვიდრეობა სანოტარო წესით მიღებული არ აქვთ, მაგრამ სამკვიდროს ფაქტობრივად დაეუფლნენ. ასეთ შემთხვევაში საქმეში მოპასუხედ მოწვეული იქნება ყველა მემკვიდრე (ვისაც კრედიტორი ჩართავს), ხოლო თუ მოწვეულმა მოპასუხეებმა განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ მემკვიდრეობაზე, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, დაისმება საკითხი სათანადო მოპასუხის ჩართვასთან დაკავშირებით და საქმეში მოპასუხედ სახელმწიფო ჩაებმება. რეალურად, როდესაც მემკვიდრეები აღმოჩნდებიან თავიანთი ქონების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე, იმთავითვე ცხადია, რომ არც ერთი მათგანი (თანამოპასუხეების შემთხვევაში) არ დაეთანხმება მოპასუხის შეცვლას და პროცესზე ცხადი გახდება, რომ მემკვიდრეები (მოპასუხეები) დასახელებული პირები არიან. ხოლო თუკი ისინი განაცხადებენ, რომ არ არიან მემკვიდრეები, მაშინ საქმეში ჩაებმება სახელმწიფო. თუ უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩაიწერება, რომ აღსრულება მოხდეს იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით. როდესაც მოვალე გარდაიცვალა საქმის განხილვის პერიოდში, მაშინ საქმე შეჩერდება უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო განახლების დროს განჩინებით დადგინდება, რომ ის პირი, რომელიც დაეუფლა ქონებას, არის მემკვიდრე და, შესაბამისად, იგი იქნება ჩაბმული საქმეში. იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე უცნობია, მაშინ ამოქმედდება სათანადო მექანიზმი და უკვე საქმეში უფლებამონაცვლედ სახელმწიფო ჩაებმება.

XVII.

საკითხი შეეხო შრომის კოდექსის 48-ე მუხლს. კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლით განსაზღვრულია დავის მოგვარება შემათანხმებელი პროცედურით, რომლის დროსაც ერთი მხარე უგზავნის მეორე მხარეს შეტყობინებას დავის წარმოშობის საფუძვლებისა და მოთხოვნების შესახებ. მეორე მხარე ვალდებულია განიხილოს წერილობითი

შეტყობინება და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს. აქ წარმოიჭრება შემდეგი საკითხები: ა) არ არის განსაზღვრული დავის წარმოშობიდან რა ვადაში უნდა მიმართოს მუშაკმა წერილობითი შეტყობინებით ადმინისტრაციას. მაგალითად, მუშაკი დააქვეითეს 2006 წლის 1 აგვისტოს, მან კი შეტყობინებით მიმართა ადმინისტრაციას 2006 წლის 1 ოქტომბერს; ბ) არაა განსაზღვრული სავალდებულოა თუ არა ასეთი პროცედურის გავლა დავის სასამართლოში წარმოართვისათვის. ზოგადად, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია თუ არა შემათანხმებელი პროცედური ამოწურვა სასამართლოსთვის მისამართად; გ) შესათანხმებლად განსაზღვრული 14 კალენდარული დღე უნდა აითვალოს თუ არა წერილობითი პასუხის მიღებიდან? დ) 14 დღის გასვლის შემდეგ რა ვადაშია შესაძლებელი სასამართლოსთვის ან არბიტრაჟისათვის მიმართვა?

საქართველოს ახალი შრომის კოდექსი ამოქმედდა 2006 წლის აგვისტოდან. ამ კოდექსის 48-ე მუხლმა დაადგინა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილი დავის განხილვისა და გადაწყვეტის ახალი წესი, კერძოდ, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით. იმავე მუხლის მეორე ნაწილით კი განსაზღვრულია ასეთი პროცედურის დაწყების წესი, კერძოდ, შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები. მესამე ნაწილი კი ეხება მეორე მხარის ვალდებულებას წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

თუ შრომითი ურთიერთობის მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას სადავო საკითხის თაობაზე, იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, წარმომადგენლები ან მხარეები იღებენ წერილობით გადაწყვეტილებას, რომელიც ხდება არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი. მაგრამ თუ ასეთი შემათანხმებელი პროცედურით შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს.

აზრი შეჯერდა იმის თაობაზე, რომ დასაქმებულს შემათანხმებელი პროცედურის გარეშეც აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს. რადგან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირაა მითითებული, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. ამდენად, დასაქმებულს შემათანხმებელი პროცედურის დაცვის გარეშეც შეუძლია შრომითი დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს, მას ეს უფლება არ შეიძლება შეეზღუდოს; მაგრამ კონკრეტული შრომითი დავის განხილვისას სასამართლოს დასაქმებულის მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას შეუძლია გამოარკვიოს ის

გარემოება, რატომ არ გამოიყენა დასაქმებულმა შრომის კოდექსის 48-ე მუხლით მინიჭებული უფლება; აღნიშნული გარემოების გამორკვევის შედეგად გაკეთებული დასკვნები კი სასამართლოს შეუძლია საფუძვლად დაუდოს მოცემულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

აზრი შეჯერდა ასევე იმაზე, რომ მუშაკმა, შემათანხმებელი პროცედურის მეშვეობით დავის გადაწყვეტის თაობაზე, წერილობითი შეტყობინებით, ადმინისტრაციას შეუძლია მიმართოს, ასეთი დავის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს.

ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბდა აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ შესათანხმებლად განსაზღვრული 14 კალენდარული დღე უნდა აითვალოს წერილობითი პასუხის მიღებიდან და შემათანხმებელი პროცედურის ხანგრძლივობა სულ განისაზღვრება 24 დღით.

წინამდებარე საკითხის დ) პუნქტთან მიმართებით **აზრი შეჯერდა** იმაზე, რომ სასამართლოსათვის ან არბიტრაჟისათვის მიმართვის ვადის ათვლა დავის წარმოშობის მომენტიდან იწყება და აქ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

XVIII.

საკითხი შეეხო სახელმწიფო ბაჟის გადახდის პრობლემას. კერძოდ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით სახელმწიფო ბაჟისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. აშკარაა, რომ ბაჟი არ გადაიხდევინება ანაზღაურების ამა თუ იმ ფორმის მიღების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებზე. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე, რომელიც ითხოვს მხოლოდ სამუშაოზე აღდგენას უნდა გათავისუფლდეს თუ არა სახელმწიფოს ბაჟის გადახდისაგან?

აღსანიშნავია, რომ შრომის კანონთა კოდექსში იყო ნორმა, რომლის საფუძველზეც, შრომითსამართლებრივ დავებზე მოსარჩელე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამჟამად ეს ნორმა გაუქმებულია. ამიტომ რჩება მხოლოდ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი. წინამდებარე მუხლით ფიზიკური პირი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება მხოლოდ შრომით სამართლებრივ დავებში ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენისას. ასე რომ, მხოლოდ ამ შემთხვევებში თავისუფლდებიან ფიზიკური პირები ბაჟის გადახდისაგან. სხვა შემთხვევებში, როდესაც მხარე ითხოვს, მაგალითად, სამუშაოზე აღდგენას და სხვ. პირი ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდება. ხოლო თუკი რამდენიმე მოთხოვნაა დაყენებული (შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე), მაშინ სახელმწიფო ბაჟს ფიზიკურ პირს სასამართლო არ გადაახდევინებს მხოლოდ ხელფასის ანაზღაურების ნაწილში.

საბოლოოდ **აზრი შეჯერდა** იმის თაობაზე, რომ ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ფიზიკური პირები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდებიან.

XIX.

პრობლემა შემდეგ საკითხს შეეხო: მოსარჩელემ (დედამ) მოპასუხეს (შვილს) აჩუქა უძრავი ქონება, რომელსაც ამჟამად მთელი რიგი კრედიტორების მიმართ დავალიანება გააჩნია. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული აღსრულების მიქცევა შვილის უძრავ ქონებაზე, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელსაც სავარაუდოდ მოპასუხე ცნობს. როდესაც ცხადია ასეთი შედეგის დადგომის ალბათობა, როგორ შეუძლია სასამართლოს რაიმე ფორმით ჩააბას კრედიტორი დავაში, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა, იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირებს სასამართლოს საკუთარი ინიციატივით საქმეში ვერ ჩააბამს.

საქართველოს კონსტიტუცია თანახმად, ყველა პირს აქვს უფლება თავისი დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ეს პირის კონსტრუქციური უფლებაა და მისი შეზღუდვა არ შეიძლება. როდესაც პირს სასამართლოში შეაქვს გარკვეული შინაარსის სარჩელი, ივარაუდება, რომ პირის ეს სარჩელი მართლზომიერია. რასაკვირველია, მეორე საკითხია, რამდენად საფუძვლიანია იგი და რამდენად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რათა იგი სასამართლოს მიერ გაზიარებულ და დაკმაყოფილებულ იქნეს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო პირს ასეთ უფლებას ვერანაირად ვერ შეუზღუდავს. მართალია, შეიძლება ზემოთ დასმულ კონკრეტულ შემთხვევაში, მართლაც ამ სარჩელის უკან იდგეს გარკვეული არაკეთილსინდისიერი განზრახვა პირებისა, რათა მათ დაიცვან ქონება შესაძლო რეალიზაციისაგან. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი სარჩელები უსაფუძვლო იქნება და არ დაკმაყოფილდება. ამიტომ საბოლოო ჯამში ასეთი ღონისძიება არაკეთილსინდისიერი მხარეების მხრიდან კრედიტორების სასარგებლოდ ქონების რეალიზაციის მხოლოდ დროებით ბარიერს შექმნის. სხვაგვარად არის ვითარება, როდესაც მოპასუხე ცნობს სარჩელს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სრული საფუძველია. ამ შემთხვევაში კრედიტორები, შესაძლოა მართლაც უთანასწორო მდგომარეობაში ჩავარდნენ. მაგრამ ამის თავიდან აცილება, ასეთი შემთხვევების დროს, არაფრით შეიძლება. როდესაც ესა თუ მხარე ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შედის მეორე მხარესთან, მან იმთავითვე უნდა გაათავისოს ის შესაძლო ეკონომიკური რისკი, რაც სავარაუდოდ შეიძლება მოყვეს ვალდებულების შეუსრულებლობას. ამიტომ რეალურ ცხოვრებაში ამ რისკის თავიდან აცილება ფაქტიურად შეუძლებელია.

საბოლოოდ **აზრი შეჯერდა** და დადგინდა, რომ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში სასამართლომ ჩვეულებრივ უნდა მიიღოს წარმოებაში ასეთი ტიპის სარჩელი და განიხილოს იგი საერთო წესის მიხედვით. სხვა შესაძლებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

XX.

საკითხი შეეხო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **41-ე მუხლის მიხედვით, დავის საგნის ფასის განსაზღვრას**. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავის

საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა. ამ მუხლის გამოყენება ხდება გამოსახლების შესახებ მიმდინარე დავებისას სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან საკუთრების ხელყოფა მოიცავს გამოსახლებასაც. თუმცა არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გამოსახლების შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვროს უძრავი ქონების ღირებულებით. ამიტომ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი განსაზღვრავს დავის საგნის ფასს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუკი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (ასეთი შეიძლება იყოს საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვ. ანუ ის მოცემულობა, რაც დასმულ პრობლემას ეხება) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა, მაშინ დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით. გამოსახლებაც საკუთრების ხელყოფის სამართლებრივი შინაარსის მატარებელი მოვლენაა, ამიტომ გამოსახლების მოთხოვნისას მხარის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც სწორედ 4000 ლარით უნდა განისაზღვროს. გამომდინარე აქედან, ის ალტერნატიული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გამოსახლების შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვროს უძრავი ქონების ღირებულებით, არასწორია. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ზემოთ შეჯერებული პოზიცია, უნდა გაანალიზდეს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიც, კერძოდ, ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩელის შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვრება ამ ნივთის საბაზრო ღირებულებით. ასე რომ, აქ უფრო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნები იგულისხმება: მაგალითად პირმა მიაწოდოს ეს ნივთი სხვას, გადასცეს პირს გარკვეული ნივთი და ა.შ. მაგრამ, როდესაც უკვე ნივთზე უფლებრივი მდგომარეობა გარკვეულია, ამ ნივთის მესაკუთრეც ცნობილია და მას უბრალოდ ხელი ეშლება თავისი საკუთრებით სარგებლობასა და განკარგვაში, ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება, რომ დავის საგნის ფასი სწორედ 4000 ლარით განისაზღვროს. ამ მხრივ პრაქტიკაც უფრო გაადვილდება და ყოველგვარი უხერხულობა მოიხსნება.

XXI.

სასამართლო რეფორმის შედეგად საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორცილებული ცვლილებებითა და დამატებებით შემოტანილ იქნა **მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი**. მაგისტრატი მოსამართლის მიერ დავების განხილვის წესები, რასაკვირველია, მოცემულია საპროცესო კანონმდებლობაში. ასევე მოწესრიგებულია მათი განსჯადობის საკითხები. ზოგიერთი განმარტებით, იმდენად, რამდენადაც მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი რეალურად არ ამოქმედებულა (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გარდა), ამიტომ მაგისტრატის განსჯად საქმეებს მოსამართლე ვერ განიხილავს დაჩქარებული წესით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 217¹ მუხლი განსაზღვრავს, რომ მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად განსჯადი) სამოქალაქო საქმეები განიხილება დაჩქარებული წესით. მიუხედავად იმისა, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გარდა, მაგისტრატი მოსამართლე, საქართველოს მასშტაბით, რეალურად ჯერ კიდევ არსად არ არის დანიშნული, სასამართლომ (მოსამართლემ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საქმეები უნდა განიხილოს დაჩქარებული წესით. სწორედ ამას უზრუნველყოფს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217¹ მუხლი, რომელიც ძალაშია შესული და უკვე ამოქმედებულია (ამოქმედდა 2006 წლის 13 ივლისს).

XXII.

საკითხი შეეხო **სსსკ-ის 199¹ მუხლს**. კერძოდ, დაისვა შეკითხვა: როდესაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სსსკ-ის 199¹ მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების რა ვადა უნდა მიეცეს მხარეს? მოსამართლეთა ნაწილი თვლიდა, რომ ეს ვადა 5 დღეს შეადგენს, ანუ ეს ვადა არის 5 დღე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე საჩივრის შეტანის ვადის მიხედვით, ნაწილი კი თვლიდა, რომ ეს არის 12 ან 14 დღე – გადაწყვეტილების/ განჩინების გასაჩივრების ვადა. ხომ არ არის შესაძლებელი გადაწყვეტილება/განჩინების ის ნაწილი, რომლითაც უზრუნველყოფა გაუქმდა 5 დღის ვადაში გასაჩივრდეს, ხოლო სხვა ნაწილი კი შესაბამის ვადაში?

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულია ის სამი შემთხვევა, როდესაც სასამართლო აუქმებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მიიღება გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები (ინსტანციების შესაბამისად 14 დღე ან ერთი თვე); მეორე შემთხვევა გულისხმობს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებას. სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მიიღება განჩინება, რომელიც, თავისთავად, გასაჩივრდება განჩინების გასაჩივრების იმ ფორმით, რასაც კონკრეტულად ითვალისწინებს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება; და ბოლოს, საქმე ეხება საქმის წარმოების შეწყვეტას. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა. ასე რომ, ამ დროსაც გამოიყენება 12 დღე. მაშასადამე, 5 დღიანი გასაჩივრების ვადა ამ დროს არ გამოიყენება.

აზრი შეჯერდა შემდეგზე: როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქმება უარი და უქმდება ყადაღა - ეს საჩივრდება გადაწყვეტილების გასაჩივრების წესით იმდენად, რამდენადაც ის არის გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი და მათი ერთმანეთისაგან განცალკევება არ შეიძლება. შესაბამისად, ის ნაწილიც ისევე საჩივრდება, როგორც მთლიანად გადაწყვეტილება. თუ შეწყვეტას აქვს ადგილი, ამ შემთხვევაშიც გასაჩივრდება კერძო საჩივრით, ასევე ამ განჩინების გასაჩივრების წესის შესაბამისად.

XXIII.

საკითხი შეეხო კვლავ ალიარებით სარჩელთან დაკავშირებულ პრობლემას. როგორც ცნობილია, ალიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების აუცილებელის კრიტერიუმია იურიდიული ინტერესი. სწორედ ასეთ იურიდიულ ინტერესს უკავშირდება წინამდებარე რეკომენდაციის მეორე კითხვაც. თუ მოსარჩელეს მოჰყავს ისეთი იურიდიული ინტერესი, რომელიც იმთავითვე ცხადია, რომ მას არავითარ შედეგს არ მოუტანს, შეიძლება თუ არა მას უარი ეთქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. თუ სავალდებულოა მაინცდამაინც საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მას არსებითად ეთქვას უარი დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მისი იურიდიული ინტერესით მისთვის სასურველი შედეგი არ დადგება? შესაძლოა მოყვანილ იქნეს კონკრეტული მაგალითიც: 70-მდე ფიზიკურმა პირმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მათ მიერ თვითნებურად დაკავებული ფართის მფლობელებად და მოსარგებლებად ცნობა. ამასთან, იურიდიულ ინტერესად მათ მოიყვანეს შენობის შემდგომი პრივატიზება. მოპასუხეებად მათ სარჩელში მიუთითეს მთელი რიგი ადმინისტრაციული ორგანოები, თბილისის მერია, ეკონომიკის სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და სხვ. სარჩელის გაცნობისთანავე ნათელია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი მათი იურიდიული ინტერესი ვერ იქნება მიღწეული, ანუ მფლობელად და მოსარგებლედ ცნობას რაიმე გავლენის მოხდენა ფართის პრივატიზებაზე არ შეუძლია.

წინამდებარე პრობლემა დაყენებულ იქნა წინა შეხვედრებზე და ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე არსებობს კონკრეტული რეკომენდაცია.¹ მართალია, მას შემდეგ ცვლილება შევიდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც გარკვეულწილად შეეხო აღნიშნულ საკითხს, მაგრამ ამ ცვლილებამ უფრო გაამყარა ის მოსარჩევა, რომელიც რეკომენდაციის სახით არსებობდა წინამდებარე საკითხთან მიმართებით. კერძოდ: სსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით, ალიარებითი სარჩელი შესაძლოა აღძრულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელეს ასეთი ალიარების მიმართ აქვს იურიდიული ინტერესი. ამ შემთხვევაში იურიდიულ ინტერესზე საუბარი არის სწორედ ასეთი ფორმის, ასეთი განხილვის, ამგვარი ალიარების მიმართ. გამომდინარე აქედან ჩამოყალიბდა შემდეგი სახის რეკომენდაცია: თუ სასამართლოში აღძრული ალიარებითი სარჩელიდან არ ჩანს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, მაშინ სასამართლო სსკ-ის 178, 180-ე, 185-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის დადგენის თაობაზე. თავისთავად ცხადია, თუ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა ჩამოყალიბებული და მითითებული მისი იურიდიული ინტერესი, შესაბამისად, მას სსკ-ის 185-ე მუხლის საფუძველზე დაუბრუნდება სარჩელი უკან. სწორედ ეს იყო ის რეკომენდაცია, რომელიც შემუშავებული იყო. ვინაიდან სსკ-ის 178-ე მუხლში არ იყო განსაზღვრული იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო მიეთითებინა მისი იურიდიული ინტერესი ასეთი ალიარების მიმართ, შესაბამისად, ამ მუხლში შევიდა ცვლილება, რომელშიც იმპერატიულად განისაზღვრა, რომ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი. ხოლო, თავის მხრივ, სსკ-ის 180-ე მუხლი ამბობს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს ასეთი ტიპის სარჩელი აღძრული, თუკი მას ასეთი ალიარების მიმართ აქვს იურიდიული ინტერესი. ამიტომ უზენაესი სასამართლოც (მონაწილეთა აბსოლუტურ

¹ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები, თბ. 2006, VI საკითხი.

უმრავლესობასთან ერთად) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ სარჩელში არ ჩანს ასეთი იურიდიული ინტერესი ამგვარი აღიარების მიმართ, მაშინ ასეთი სარჩელი წარმოებაში არ მიიღება. ამასთან დაკავშირებით შესაძლოა მოყვანილ იქნეს კონკრეტული კაზუსიც: მაგალითად, მხარეებს შორის არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველმა მყიდველს არ გადასცა ნასყიდობის საგანი. გამომდინარე აქედან, მყიდველმა აღძრა სარჩელი და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა. თუმცა მისი იურიდიული ინტერესი გამყიდველისაგან ნასყიდობის საგნის მიღებას ეხება. ვთქვათ, სასამართლომ მიიღო ასეთი სარჩელი წარმოებაში, განიხილა იგი, დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და ცნო ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად. მაგრამ, თავისთავად ცხადია, არანაირი იურიდიული ინტერესი ასეთი აღიარების მიმართ არსად არ ჩანს, ვინაიდან მოსარჩელეს ასეთი იურიდიული ინტერესი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ნასყიდობის საგნის მისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით. სხვა მოთხოვნა მის მიერ, ფაქტიურად, დაყენებული არც არის. სწორედ ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია, სსკ-ის 178, 180-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე ეთქვას უარი.

საბოლოოდ **აზრი შეჯერდა** იმაზე, რომ სასამართლო, იმ შემთხვევაში, თუკი სარჩელში დაფიქსირებული (ჩამოყალიბებული) არ იქნება მხარის (მოსარჩელის) იურიდიული ინტერესი, სსკ-ის 178-ე მუხლის საფუძველზე მიუთითებს ხარვეზზე, რომლის გამოსწორების ან გამოუსწორებლობის შემდეგ, განჩინებით განისაზღვრება ასეთი სარჩელის წარმოებაში მიღების თუ მის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

XXIV.

საკითხი შეეხო სასამართლოში გაწეული **ხარჯების ანაზღაურებას**. კერძოდ: მხარეთა შორის დასრულდა დავა, რის შემდეგაც მოპასუხე მხარე ითხოვს მის მიერ სასამართლოში გაწეული ხარჯების (ადვოკატისა და აუდიტორის ჰონორარი და ა.შ.), როგორც მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებას მეორე მხარეზე ახალი ცალკე აღძრული სარჩელის მეშვეობით. კითხვა შემდეგში მდგომარეობს: შესაძლებელია თუ არა სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნის) საფუძველი იყოს საპროცესო სამართლებრივი ნორმა, ან შეიძლება თუ არა ასეთი ხარჯების მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების მატერიალურ სამართლებრივი ნორმებით?

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო ხარჯები სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან შედგება (მუხლი 37). საქმის დასრულებისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია სასამართლო ხარჯები საკუთარი ინიციატივითაც კი შეაჯამოს და გაანაწილოს მხარეთა შორის. ხოლო, რაც შეეხება სასამართლოსგარეშე ხარჯებს, თუკი ასეთი მოთხოვნა არ არსებობს სასამართლო, თავისთავად ცხადია, ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არც სასამართლო ხარჯებზე „ზრუნავს“, გადის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის დრო და, შესაბამისად, პრაქტიკაშიც ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამ ხარჯებს მხარე ცალკე აღძრული სარჩელით ითხოვდა. ამის სამართლებრივ საფუძველს

იძლევა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კანონით გათვალისწინებული შემთხვევების დროსაც ამიტომ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, ერთმა მხარემ მეორე წაგებულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ხარჯების გადახდა (ანაზღაურება). სწორედ ამ საპროცესოსამართლებრივი საფუძვლისა და, რა თქმა უნდა, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასების შემდეგ, გადაწყდება ხარჯების ანაზღაურების (როგორც მიყენებული ზიანის) საკითხი. აუცილებელია, რომ ამ დროს სასამართლომ გაითვალისწინოს ის რეალური და გონივრული ზიანი, რაც, შესაბამისად, ზიანში უნდა ივარაუდებოდეს, იმდენად, რამდენადაც პრაქტიკაში ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ადვოკატისათვის ასანაზღაურებელ თანხად (ზიანად) მხარე აშკარად შეუსაბამო, მაღალ ჰონორარს ასახელებს.

თუ არ არის გასული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა, მაშინ შესაძლებელია მხარემ განცხადებით (და არა სარჩელით) მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება (ისიც მხოლოდ სასამართლო ხარჯების). რაც შეეხება სასამართლოსგარეშე ხარჯებს, აქ აუცილებელია, რომ მის შესახებ თავად პროცესზე, ანუ საქმის მსვლელობისას წარმართულიყო მსჯელობა.

რაც შეეხება **მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას** – იგი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსით და ზიანის მიყენების ხანდაზმულობისათვის დადგენილ ვადას, სამ წელს შეადგენს. როდესაც მხარე მოითხოვს (თუნდაც შესაგებლით) ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებას, ბუნებრივია, სასამართლოს ამის შესახებ უნდა ჰქონდეს გარკვეული მსჯელობის საფუძველი. ამიტომ სასამართლო, ასეთ შემთხვევაში, ვერ განმარტავს, რომ აუცილებელია ამ დროს ცალკე სარჩელის დაყენება (ეს არც შეგებებული სარჩელის მიზნებში შედის). ამიტომ, სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო იმსჯელებს ამ ხარჯებზე, როდესაც დასრულდება პროცესი და ამის თაობაზე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუმცა აუცილებელია, რომ სასამართლოს გააჩნდეს რაღაც საფუძველი. მაგალითად, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება (და ასეთ მტკიცებულებად, ძირითადად, წერილობითი მტკიცებულება, წერილობითი დოკუმენტი მიიჩნევა), რომელიც ადასტურებს ადვოკატისათვის თანხის გადახდას და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მსჯელობა წარმართა ევროსასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ), სადაც ასევე იყო საუბარი ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე და ევროსასამართლომ ასეთ გონივრულ თანხად 5000 ევრო ჩათვალა, რა თქმა უნდა, იმ დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც ამ გონივრულობას ადასტურებდნენ. სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს ხარჯების დაკისრება შეიძლება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული. ამიტომ თუ არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები) სასამართლოს ამაზე ვერ იმსჯელებს და, შესაბამისად, სასამართლოს ვერ მოვთხოვთ მიიღოს ამის შესახებ გადაწყვეტილება.

საინტერესო იყო კითხვა, თუ როგორც უნდა ანაზღაურებულიყო მოპასუხის (წარმომადგენლის) ხარჯები შესაგებლით. ამასთან დაკავშირებით **საბოლოოდ შეჯერდა აზრი** შემდეგზე: როგორც ითქვა, სსკ-ის 53-ე მუხლი ანაწილებს სასამართლო ხარჯებს, თუმცა წინამდებარე მუხლში არის გამონაკლისი, რომელიც წარმომადგენელს ეხება, ანუ ნაწილდება ასევე მხარის (მოპასუხის) წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯები. ასე რომ, ამის თაობაზე (ანაზღაურების თაობაზე) შესაძლებელია მითითებული (მოთხოვნილი) იქნეს

ასევე შესაგებელში. ამ შემთხვევაში მხარეს სარჩელის წარდგენას ვერ მოვთხოვთ.

შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებში სარჩელი შეიძლება მიღებულ იქნეს წარმოებაში, როგორც საპროცესოსამართლებრივი ნორმების, ისე მატერიალურსამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

XXV.

საკითხი შეეხო **არასათანადო მოპასუხის ინსტიტუტს**. კერძოდ: საქმეში მოპასუხედ მონაწილეობს რამდენიმე პირი. ერთ-ერთი მათგანი აშკარად არასათანადო მოპასუხეა, რადგან საქმის შედეგი მის უფლებებზე ვერ იმოქმედებს. სხვები კი სათანადო მოპასუხეები არიან (მაგალითად, სესხის ხელშეკრულების ბათილობის დავებში მოპასუხედ გარიგების მხარესთან ერთად ნოტარიუსის აღნიშვნა), ასეთ შემთხვევაში პრაქტიკაში დამკვიდრდა ასეთი მოპასუხის „ამორიცხვის“ პრეცედენტი. რამდენად მართებული პროცესუალური ფორმაა ასეთი (მოპასუხის „ამორიცხვის“) განჩინების გამოტანა, რაც, ძირითადად, ადგილზე თათბირით ხორციელდება? პრაქტიკაში გამოყენებადი მეორე ვარიანტი არის ასეთი პირის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. რომელი უფრო სწორი ფორმა იქნებოდა ასეთ შემთხვევაში?

ასეთ შემთხვევაში სწორია, რომ არასათანადო მოპასუხეს ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო იმდენად, რამდენადაც ასეთი მოპასუხის ამორიცხვის ინსტიტუტს, ანუ „ამორიცხვის“ ნორმას საერთოდ არ იცნობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. როდესაც საუბარია სსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად არასათანადო მოპასუხეზე, სასამართლომ, ამ ნორმის საფუძველზე უკვე იცის, რომ საქმეში ერთ-ერთი მოპასუხე მიეკუთვნება არასათანადო მოპასუხეს და, აქედან გამომდინარე, ისმის საკითხი არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით ჩანაცვლების თაობაზე. ძირითადად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცნობილია, რომ პირი არასათანადო მოპასუხეა და გარკვეულია, თუ ვინ არის სათანადო მოპასუხე. ამიტომ პირის (მოსარჩელის) იმ უფლების სწრაფად და ეფექტურად რეალიზაციისათვის, რომელსაც, პრინციპში, იცავს სარჩელის წარდგენისას საპროცესო კანონმდებლობა, მოქმედებს არასათანადო მოპასუხის სათანადოთი ჩანაცვლების ინსტიტუტი (მუხლი 85). მაგრამ ხშირად პრაქტიკაში თავს იჩენს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ჩართულია მოპასუხედ საქმეში, იგი, ეჭვგარეშე, არასათანადო მოპასუხეა, თუმცა ცნობილი არ არის (და არც კანონით და არც საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება დადგინდეს), თუ ვინ უნდა იყოს სათანადო მოპასუხე. ამიტომ თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმეში მონაწილეობს არასათანადო მოპასუხე, მაგრამ ვერ დადგინდება თუ ვინ უნდა იყოს სათანადო მოპასუხე, ხოლო მხარე (მოსარჩელე) არ უუამდგომლობს სარჩელში მითითებული მოპასუხის მიმართ მოთხოვნაზე უარის თქმას, მაშინ სასამართლომ უნდა განიხილოს მის მიმართ სასარჩელო მოთხოვნა და უნდა უთხრას უარი მის დაკმაყოფილებაზე (რასაკვირველია, არასათანადო მოპასუხის ნაწილში). ასე რომ, ამორიცხვა, საქართველოს კანონმდებლობით, არც არსებობს და არც არის გათვალისწინებული. ამიტომ ყველა შემთხვევაში

ასეთ არასათანადო მოპასუხეს სასამართლო საკუთარი ინიციატივით საქმიდან ვერ „ამორიცხავს“.

XXVI.

საკითხი შეეხო მხარეთა **მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრას**. კერძოდ: სსკ-ის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სსკ-ის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ მხარეებმა მორიგების დროს თავად გაითვალისწინეს სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესი, სასამართლო ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად. ხშირად მთავარ (ან მოსამზადებელ) სხდომაზე წარმოდგენილი მორიგების ატი არ შეიცავს ბაჟის თაობაზე მხარეთა რაიმე შეთანხმებას. მხოლოდ ამის გამო მორიგების დამტკიცებაზე უარის თქმა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში გადასაწყვეტია ბაჟის (განახევრებულის მთავარი სხდომის დროს და სრული ოდენობის კი – მოსამზადებელი სხდომის დროს) დაკისრების საკითხი. ლოგიკური იქნებოდა, მოსარჩელის მიერ გადახდილ ბაჟს თუ გადაიხდიდა მოპასუხე, მაგრამ განსხვავებით სსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესისაგან, მას პროცესი არ წაუგია – იგი მხოლოდ მორიგდა. საინტერესოა სახელმწიფო ბაჟის საკითხი მაშინაც, როდესაც მოსარჩელე გათავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან და მხარეები მორიგდნენ (მაგალითად, შრომითი ან ინტელექტუალური საკუთრების თაობაზე წარმოშობილი დავისას). აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: მორიგების შემთხვევებში, როცა მხარეებს თავად არ გადაუწყვეტიათ სახელმწიფო ბაჟის საკითხი, როგორ უნდა გადაწყდეს ბაჟის დაკისრების პრობლემა?

წინამდებარე საკითხს აწესრიგებს სსკ-ის 49-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი, ასევე 54-ე მუხლი, მაგრამ, როგორც წესი, როდესაც მხარეები სასამართლოს წარუდგენენ მორიგების შეთანხმებას, ამ შეთანხმებაში ბაჟის საკითხის შესახებ მითითებული საერთოდ არ არის ხოლმე. ამ საფუძველით სასამართლო მორიგებაზე, რა თქმა უნდა, უარს ვერ განუცხადებს მხარეებს, მაგრამ სანამ სასამართლო სათათბიროში გავა და განუმარტავს მხარეებს მორიგების პირობებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მიზანშეწონილია იქვე ყურადღება გამახვილდეს სახელმწიფო ბაჟის და მისი მხარეებზე განაწილების საკითხზე. თუ მხარეები, ბაჟის განსაზღვრის რაიმე განსხვავებულ წესზე არ შეთანხმებულან და თუ მოსარჩელე ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია, მაშინ სასამართლოს მხარეთა მთავარ სხდომაზე მორიგებისას შეუძლია გადაწყვიტოს მოპასუხისათვის ბაჟის დაკისრების საკითხი და მას დააკისროს შესაბამისი ინსტანციისათვის განკუთვნილი თანხის 1/4.

სსკ-ის 49-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ე.ი. თუ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით მხარეებს მორიგება არ გაუფორმებიათ (ანუ მორიგების შეთანხმებაში ეს საკითხი არ გაუთვალისწინებიათ), მაშინ საკითხი გადაწყდება კანონის შესაბამისად: სახელმწიფო ბაჟი განახევრდება და გადანაწილდება მხარეებს შორის. თუ არსებობს რაიმე შეთანხმება მხარეებს შორის – საკითხი, ბუნებრივია, გადაწყდება შეთანხმების მიხედვით.

საბოლოო აზრის შეჯერებისათვის შესაძლებელია მოყვანილ იქნეს კონკრეტული კაზუსი: მაგალითად, გადასახდელია 1000 ლარი (სახ. ბაჟის ოდენობა) და, მორიგების შემთხვევაში, ეს თანხა უნდა განაწილდეს თანაბრად – 500 ლარი მოსარჩელეზე, ხოლო დარჩენილი 500 კი მოპასუხეზე. მაგრამ ერთი მხარე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამიტომ თუ იგი განთავისუფლებულია ასეთი ბაჟის გადახდისაგან, მაშინ, ბუნებრივია, მას აღარ დაეკისრება მისი გადახდა. ხოლო როდესაც ბაჟის ოდენობა (მორიგების დროს) ნახევრდება, მაშინ 500 ლარიდან მხარის მიერ გადაიხდება მხოლოდ ნახევარი – 250 ლარი. თუკი მოსარჩელის მიერ თავიდანვე იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სრულად, ხოლო მხარეები მორიგდნენ, მაშინ დარჩენილი ნახევრის გადახდა დაეკისრება მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

XXVII.

საკითხი შეეხო შესაბამისი მოწმობების განახლებამდე **პენსიის გაცემას**. კერძოდ: 2006 წ. 18 მაისს ცვლილება შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წ. 17 დეკემბრის ბრძანებულებაში (№1058 - „საქა. ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“), რომლის მე-2 მუხლით ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 2006 წ. 1 აგვისტოდან შეუწყდათ შესაბამისი პენსიის გაცემა მოწმობების განახლებამდე. პენსია შეუწყდათ ასევე მათთან გათანაბრებულ პირებს: ომში დაღუპული მეომრების ქვრივებს, რომელთაც წლების წინ პენსია დაენიშნათ საკრებულოს ცნობების საფუძველზე. ამჟამად ვეტერანთა დეპარტამენტი მათთვის ახალი მოწმობების გაცემისთვის ითხოვს ფაქტობრივი ქორწინების დამადასტურებელი სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენას. ნიშანდობლივია, რომ ამ კატეგორიის ვეტერანები ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში შევიდნენ 1944 წ. 8 ივლისამდე, ე.ი. სანამ სამართლებრივად მოწესრიგდებოდა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობები. ამ ქორწინებას აღიარებდა 1997 წ. ივნისამდე მოქმედი საქ. სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსიც. ამიტომ სასამართლო დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განცხადებას იხილავდა მას სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით. ხოლო ბოლოდროინდელი ცვლილებით (13 ივლისის) ამ საკითხის განხილვა უდავო წარმოების წესით აღარ შეიძლება. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში სასამართლო?

ძირითადად, განსახილველი პრობლემის ქვაკუთხედია იმ საკითხის გარკვევა, თუ როგორი წესით უნდა იქნეს განხილული ასეთი ტიპის განცხადებები: უდავო წესით თუ სასარჩელო წარმოების გზით. განმცხადებლის მიზანი არის პენსიის მიღება, თუმცა მას პრობლემა ექმნება იქიდან გამომდინარე, რომ ვეტერანთა დეპარტამენტი არ გასცემს ვეტერანის მოწმობას, რაც შესაბამისად გამორიცხავს ასეთი პირისათვის (ან მასთან გათანაბრებული პირისათვის) პენსიის მიღებას.

გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი ძალადაკარგულია, სასამართლო უდავო წარმოების გზით ამ საკითხს ვერ განიხილავს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ნებისმიერ პირს აქვს უფლება იდავოს მისი დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვისათვის სასამართლოში. ჩვენს

კონკრეტულ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული პირის იურიდიული ინტერესი და, შესაბამისად, მისი მიზანი არის პენსიის მიღება, რაც ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ვეტერანთა დეპარტამენტი უარს აცხადებს მის გაცემაზე იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა (ან რომ ისინი ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდნენ). ამიტომ ასეთ დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, რჩება მხოლოდ ერთი გზა: პირმა სარჩელი შეიტანოს სასამართლოში და იდავოს სწორედ სასარჩელო წარმოების გზით. მოპასუხედ კი მითითებული იქნება ის ორგანო, რომელიც უარს ამბობს მოწმობის გაცემაზე (მოწმობის გაცემა ხომ ძირითადი საფუძველი პენსიის მიღებისა), ანუ ვეტერანთა დეპარტამენტი. მოკლედ რომ ითქვას, პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს მისი უფლების აღიარებისა შესაბამისი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. ამიტომ, ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველი იქნება ის, რომ ეს პირი იმყოფებოდა ფაქტობრივ ქორწინებაში და, მოთხოვნა - დეპარტამენტმა გასცეს სათანადო მოწმობა, რომელიც, თავის მხრივ, გახდება პენსიის დანიშვნის (განახლების) საფუძველი.

XXVIII.

მორიგება

1.1. მორიგების დამტკიცება საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის ეტაპზე;

1.2. მორიგების დამტკიცება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ეტაპზე;

1.3. მორიგების დამტკიცება საადსრულებო წარმოების დაწყების შემდეგ;

1.4. მორიგების დამტკიცების შედეგები;

1.5. მორიგების დამტკიცების განსჯადობის საკითხი;

1.6. მორიგების დამტკიცება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის სასამართლო წესით განხილვის ეტაპზე;

1.7. მორიგების დამტკიცება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის ეტაპზე;

1.8. დასკვნა.

1.1. პირველი საკითხი, რომელიც მოსამართლეებმა შეხვედრაზე განიხილეს, უკავშირდება სამოქალაქო დავებზე მხარეთა მორიგებას. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან, კერძოდ, დისპოზიციურობიდან გამომდინარე, მოსამართლეებმა ცალსახად მიიჩნიეს, რომ მორიგების დამტკიცება შესაძლებელი უნდა იყოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში მხარეთა ნებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სასამართლო სამართალწარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. აღნიშნული მორიგება უკვე მხარეთა მიერ გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნული საკითხი

გარკვეულ პრობლემებთანაც არის დაკავშირებული, კერძოდ, **თუ მხარეები მორიგდნენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ეტაპზე, შესაძლებელია თუ არა საჩივრის განხილვის გარეშე ასეთი მორიგების დამტკიცება, ამის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა ან, თუ მხარეები მორიგდნენ კერძო საჩივრის შეტანის ეტაპზე, შესაძლებელია თუ არა საჩივრის განხილვის გარეშე მორიგების დამტკიცება.** აღნიშნული კითხვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მორიგების დამტკიცების დროს მოსამართლე არ ეცნობა საქმის არსებით მხარეს და შემოფარგლულია მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელებით, რაც უკანონო მორიგების დამტკიცების შესაძლებლობას წარმოშობს. ამდენად, მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ მხარეთა ინტერესებისა და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვის, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მორიგების დამტკიცება შესაძლებელი უნდა იყოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის საჩივრებისა და კერძო საჩივრების განხილვის დროსაც. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევებში მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მორიგების დამტკიცება. რაც შეეხება უკანონო მორიგების დამტკიცების თავიდან ასაცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს, სასამართლო საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის დროს მორიგების დამტკიცების შემთხვევაში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედებით, უნდა გასცდეს საჩივრისა და კერძო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს, უნდა შეისწავლოს საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაამტკიცოს მორიგება.

12. მორიგებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, იგივე წესით მტკიცდება თუ არა მორიგება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დროსაც, როგორც სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებს, ანუ მხარეებს სამართალწარმოების მოცემულ ეტაპზეც აქვთ უფლება, განკარგონ თავიანთი მატერიალურსამართლებრივი უფლებები, რასაც თავისი პროცესუალურსამართლებრივი შედეგი მოჰყვება.

13. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დაწყებისას მხარეთა მორიგების შემთხვევაში შეიძლება წამოიჭრას ერთი პრობლემა, კერძოდ, სამართალწარმოების მოცემულ ეტაპზე სააღსრულებო ფურცელი შეიძლება უკვე ამოწერილი იყოს და, შესაბამისად, აღსრულებაც დაწყებული. შეხვედრაზე განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მორიგების დამტკიცების განსხვავებული პროცედურა არსებობს, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით არის გაწერილი, კერძოდ, კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგებისას სასამართლო აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში გადაუგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში მხარეები მორიგდნენ და სააღსრულებო წარმოება დაწყებული არ არის, მაშინ მორიგება ჩვეულებრივი წესის შესაბამისად დამტკიცდება, კერძოდ, შეწყდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება, გაუქმდება საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება და დამტკიცდება მორიგება. აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, **ახლად**

ადმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოებისას მორიგების დამტკიცება იწვევს მხოლოდ წარმოების აღნიშნულ ეტაპზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების გაუქმებას თუ აღნიშნული წარმოების დაწყებამდე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებასაც. აღნიშნული საკითხი ერთმნიშვნელოვნად იქნა გადაჭრილი მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ, ვინაიდან მხარეები ახალ პირობებზე რიგდებიან, ამიტომ მოცემულ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ იქნა საწინააღმდეგო პოზიციაც, რომელიც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ეტაპზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას გამორიცხავდა. აღნიშნული პოზიციის თანახმად, ახალი მორიგებით მხარეები საკუთარი სურვილით იკვეცავენ გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, რიგდებიან ახალ პირობებზე, რაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას არ იწვევს. აღნიშნული მოსახრება უარყოფილ იქნა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში იარსებებდა ორი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ორი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან ამოწერილი (შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოც) სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული საკითხის გადაჭრის ამოსავალ წერტილს კი ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი წარმოადგენს: **სასამართლო სამართალწარმოების შედეგად აღსასრულებელი უნდა იყოს მხოლოდ ერთი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.** ამის ნათელი დადასტურებაა საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მორიგების დროს საკასაციო პალატა, მიუხედავად შესაბამისი პროცესუალური ნორმის არარსებობისა, აუქმებს მოცემულ საქმეზე საკასაციო სამართალწარმოების დაწყებამდე მიღებულ ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, რათა აღსასრულებლად მისაქცევი არ გახდეს სასამართლოს ერთზე მეტი გადაწყვეტილება.

14. მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა მორიგება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე არის შესაძლებელი, ერთმანეთისაგან განსხვავდება მორიგების დამტკიცების შედეგები იმის მიხედვით, მიქცეულია თუ არა აღსასრულებლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. თუ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ამოწერილია სააღსრულებო ფურცელი და საქმე აღსასრულებლად არის მიქცეული, მაშინ აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო, მართალია, მხარეთა მორიგებას ამტკიცებს, მაგრამ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას არ აუქმებს, აღნიშნული პროცედურის მარეგულირებელი ნორმები ნათლად არის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში გაწერილი, რაც სააღსრულებო სამართალწარმოების თავისებურებით არის განპირობებული.

15. შეხვედრაზე განხილულ იქნა ასევე მორიგების დამტკიცების განსჯადობის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი შეჯერდა, რომ მორიგებას ამტკიცებს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება აღნიშნული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე, ანუ მორიგების დამტკიცების დროს ანალოგიის წესით გამოიყენება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვის განსჯადობის წესები (სსსკ-ის 424-ე მუხლი), მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა

გადაწყვეტილება და სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნული გადაწყვეტილება დატოვეს უცვლელად, განსჯადობის ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად, მორიგების დამტკიცების საკითხს იხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო, მაგრამ იგი არ აუქმებს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების განჩინებებს, ვინაიდან მორიგების დამტკიცების დროს გაუქმებას ექვემდებარება მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომას იწვევს, ანუ რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

1.6. რაც შეეხება მორიგების დამტკიცებას საარბიტრაჟო სასამართლოთა გადაწყვეტილებების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით მოქმედებს იგივე წესები, კერძოდ, თუ სასარჩელო წესით იხილება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, მტკიცდება მორიგება და უქმდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

1.7. შესვედრაზე განხილულ იქნა მორიგებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა მორიგების დამტკიცება უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის ეტაპზე, მაშინ, როდესაც სარჩელი ჯერ კიდევ არ არის აღძრული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოსთვის სამართალწარმოების აღნიშნულ ეტაპზე ცნობილი არ არის სარჩელის საგანი და საფუძველი, ამიტომ მორიგების დამტკიცებაც მოცემულ ეტაპზე დაუშვებელია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობის გამო.

1.8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯერდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მორიგების დამტკიცება შესაძლებელია სასამართლო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მორიგების დამტკიცების დროს მოსამართლე უნდა იცნობდეს საქმის არსებით მხარეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მორიგების დამტკიცება. მორიგების დამტკიცების შედეგად წყდება საქმის წარმოება და უქმდება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (გამონაკლისს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების შემდეგ მორიგების დამტკიცება, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე წყვეტს მორიგების დამტკიცების საკითხს, თუმცა არ აუქმებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას), აღსასრულებელი რჩება მხოლოდ ერთი განჩინება, რომლითაც მორიგება დამტკიცდა. მორიგების დამტკიცების შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დაუშვებელია. იგივე წესი მოქმედებს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის განხილვის დროს მხარეთა მორიგების დამტკიცების შემთხვევაშიც, მტკიცდება მორიგება და უქმდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე კი მორიგების დამტკიცება დაუშვებელია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობის გამო.

XXIX.

სარჩელის უზრუნველყოფა

- 1.1. სარჩელის უზრუნველყოფის აღსრულების შეჩერების შესახებ განჩინების საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობა;
- 1.2. სარჩელის უზრუნველყოფის არსი და მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- 1.3. უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა;
- 1.4. სარჩელის უზრუნველყოფისა და სარჩელის საგნის თანხვედრის განსაკუთრებული შემთხვევები;
- 1.5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ინდივიდუალურობა, არაფორმალურობა და სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა;
- 1.6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში;
- 1.7. ელექტროენერგიაზე დარიცხული თანხის ჩამოწერა და, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა;
- 1.8. დასკვნა.

1.1. შემდეგი საკითხი უკავშირდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, კერძოდ, საკითხი შეხვედრაზე შემდეგნაირად იქნა დასმული: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილით დასაშვებია, რომ საჩივრის განხილვამდე შეჩერდეს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება ან გაუქმდეს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის 20- დღიან პერიოდში უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების შემთხვევაში დასაშვებია თუ არა ამ განჩინების (აღსრულების შეჩერების) საჩივრით გასაჩივრება ანუ ასეთი განჩინების გამოტანისთანავე უნდა გაიცეს თუ არა სააღსრულებო ფურცელი სარჩელის უზრუნველყოფის ანალოგიურად. აღნიშნული საკითხის განხილვა ეხება მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპს, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში კანონმდებელი იცავს მეორე მხარის, ამ შემთხვევაში მოპასუხის ინტერესებს და აძლევს აღნიშნული ღონისძიების გამოყენების გასაჩივრების შესაძლებლობას. საჩივრის ავტორმა შეიძლება სარწმუნოდ დაადასტუროს აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შედეგად გამოუსწორებელი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს მოსამართლის მიერ თავისივე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეჩერების თაობაზე განჩინების გამოტანას. მოსამართლე აღნიშნულ მექანიზმს გამოუსწორებელი ზიანის დადგომის თავიდან ასაცილებლად იყენებს, ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის აღსრულების შესახებ განჩინების დროებით შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების საჩივრით გასაჩივრება დაუშვებელია.

12. თუ სასამართლო პრაქტიკა დაუშვებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების დროებით შეჩერების გასაჩივრების შესაძლებლობას, მაშინ თვით სარჩელის უზრუნველყოფის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ინსტიტუტს დაეკარგება აზრი, მით უმეტეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრებას არ ითვალისწინებს. აქვე ყურადღება გასამახვილებელია ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ,

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უშუალოდ მატერიალურსამართლებრივი უფლების დაცვისაკენ არის მიმართული, ამიტომ სასამართლო პირველ რიგში მატერიალურსამართლებრივ სივრცეში ამოწმებს უფლების უზრუნველყოფის საკითხს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მატერიალურსამართლებრივი უფლების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება. **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს მართლმსაჯულების ეფექტურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს**, კერძოდ კი, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება გამოაქვს, ამიტომ, თუ სასამართლო პრაქტიკა უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებითი შეჩერების გასაჩივრებას დაუშვებს, ამით უგულვებელყოფს სარჩელის უზრუნველყოფის უმთავრეს პრინციპს, კერძოდ, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის პრინციპს.

13. უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე მიღებულ განჩინებაზე დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული შეჩერება აზრს დაკარგავს.

14. შეხვედრაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, კერძოდ, **შესაძლებელია თუ არა, რომ სარჩელის საგანი და სარჩელის უზრუნველყოფის საგანი ერთმანეთს ემთხვეოდეს და შესაძლებელია თუ არა ასეთი უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილება, მაგალითად:** ა) პირი სარჩელით ითხოვს აეკრძალოს მეორე პირს კონტრაფაქციული პროდუქციის გამოშვება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფით კი ითხოვს იმავეს, ოღონდ სარჩელის განხილვის დასრულებამდე ან ბ) პირი სარჩელით ითხოვს აუცილებელი გზით სარეგებლობის ხელშეშლის აკრძალვას, უზრუნველყოფით კი ითხოვს იმავეს სარჩელის განხილვის დასრულებამდე. ასეთი უზრუნველყოფის დაკმაყოფილების შემთხვევაში ფაქტობრივად ვიღებთ შედეგს, როცა სარჩელი დროებით, მაგრამ კმაყოფილდება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით. სარჩელის უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი სავსებით შესაძლებელია ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე, ვინაიდან მათ აბსოლუტურად სხვადასხვა სამართლებრივი წინაპირობები გააჩნიათ, რასაც მხარე სარჩელის უზრუნველყოფით ითხოვს, იმას ვერ მოითხოვს სარჩელით, ვინაიდან ერთი ემსახურება მეორის განხორციელებას. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნების თანხვედრა შესაძლებელია. სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს და ეს არამც და არამც არ გულისხმობს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული მსჯელობის ნათელი მაგალითია მშენებლობის აკრძალვა, როდესაც მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენს

მხარის როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, ისე სასარჩელო მოთხოვნის საგანს. თუ არ დაკმაყოფილდება მხარის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიებად მშენებლობის აკრძალვის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაშინ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელებდა, ვინაიდან აღნიშნული შენობის დემონტაჟი სერიოზულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

15. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში და კერძოდ კი იმ წინადადებაში, სადაც წერია, რომ, „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება გამოაქვს“. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი უაღვიანო საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით, ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული.

16. რაც შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას აღიარებითი სარჩელის არსებობის შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აღიარებითი სარჩელის გამოყენების დროს ისევე შესაძლებელია, როგორც მიკუთვნებითი სარჩელის არსებობის შემთხვევაში. აღიარებითი სარჩელის დროს სამართალურთიერთობის აქტიური ცენტრი გადატანილია უფლებაზე, მხარე ითხოვს თავისი უფლების დაცვას, რათა მომავალში არ დაირღვეს ის. იმ აღიარებითი გადაწყვეტილებით, რომლითაც მხარე იძენს გარკვეული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, ამდენად, მას აქვს პატივსადები მიზეზი, რომ სასამართლოს თავისი სამომავლო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოსთხოვოს.

17. რაც შეეხება ელექტროენერგიაზე დარიცხული თანხის ჩამოწრასა და, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას, ამ შემთხვევაშიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით არ არსებობს წინასწარი ცალსახა მიდგომა მისი გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. საკითხის ამგვარი ფორმალური გადაწყვეტა სრულ

წინააღმდეგობაში მოვიდოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების არსთან, ამიტომ, მოცემულ შემთხვევაშიც, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოდ დაადასტურებს მხარე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ელექტროენერჯის აღდგენის იურიდიულ ინტერესს. ასევე, აღნიშნული ღონისძიების გამოუყენებლობით მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების ფაქტს და შედგომში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან საერთოდ აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებას. ამასთან, აღნიშნული საკითხისადმი ფორმალური მიდგომის გამოსარიცხად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე თვით სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეთა მოსაზრება შეჯერდა იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის აღსრულების შესახებ განჩინების დროებით შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების საჩივრით გასაჩივრება დაუშვებელია. უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე მიღებულ განჩინებაზე დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი. სასარჩელო მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის საგანი შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისადმი ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. მიკუთვნებითი სარჩელის მსგავსად შესაძლებელია ასევე აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა. რაც შეეხება ელექტროენერჯიაზე დარიცხული თანხის ჩამოწერასა და, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენას, ამ შემთხვევაშიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით არ არსებობს წინასწარი ცალსახა მიდგომა და მისი გამოყენების ან არგამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოდ დაადასტურებს მხარე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ელექტროენერჯის აღდგენის იურიდიულ ინტერესს და აღნიშნული ღონისძიების გამოუყენებლობით მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საშიშროებას.

XXX.

ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება

1.1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი უფლების დაცვის განსჯადობა;

1.2. ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში;

1.1. შეხვედრაზე განხილულ იქნა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი უფლების დაცვის განსჯადობას** ეხება. შეკითხვა შეხვედრაზე შემდეგნაირად დაისვა: **პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს დაყადაღებული ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების თაობაზე აღძრული განცხადება (სარჩელი) განხილულ უნდა იქნეს სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული წესით.** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი შეჯერდა იმაზე, რომ პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს დაყადაღებული ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება სისხლის სამართლის წესით უნდა განხორციელდეს შემდეგ გარემოებათა გამო: 1) სისხლის სამართლის წესით დაყადაღებული ქონება განსჯადობის იმავე წესით უნდა იქნეს განთავისუფლებული ყადაღისაგან; 2) დაუშვებელია სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოების დროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ხელმძღვანელობა, თუ ამის შესახებ თვით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი; 3) ის გარემოება, რომ პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს დაყადაღებული ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების წესს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავისთავად მეტყველებს აღნიშნული საპროცესო სამართალწარმოების განსჯადობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წამოიჭრა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, **თუ რა საპროცესო ღონისძიება უნდა განახორციელოს მოქალაქემ, რომელიც სისხლის სამართლის საქმესთან არანაირი ფორმით არ იყო დაკავშირებული, მაგრამ შეცდომის საფუძველზე მოხდა მისი ქონების დაყადაღება**, ამგვარი შეცდომის თვალნათელი მაგალითია მოსამართლის დაუდევრობა, რომელმაც უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისას არ იხელმძღვანელა საჯარო რეესტრის ამონაწერით და, ფაქტობრივად, მესამე პირის უძრავ ქონებას დაადო ყადაღა. მოცემულ შემთხვევაში ისმის კითხვა: **უნდა ჰქონდეს თუ არა აღნიშნულ პირს საკუთარი ქონებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება და სამოქალაქო საპროცესო წესით ყადაღისაგან საკუთარი ქონების გათავისუფლების მოთხოვნის შესაძლებლობა.** აღნიშნულ კითხვაზე პასუხს იძლევა თვით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულს უფლებას აძლევს ყადაღის დადების შესახებ ბრძანება გაასაჩივროს ყადაღის ბრძანების გაცემიდან ან უშუალოდ ბრძანების აღსრულებიდან 72 საათში. ამდენად, აღნიშნული მუხლით დაცულია იმ მესამე პირის უფლება, რომელმაც თავისი ქონების დაყადაღების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემა საერთოდ შეიძლება ვერ გაიგოს, კანონმდებელი ამ გარემოებასაც ითვალისწინებს და ყადაღის გასაჩივრების შესაძლებლობას მხარეს არა მხოლოდ ბრძანების გამოცემიდან, არამედ აღნიშნული ბრძანების აღსრულებიდან 72 საათში ანიჭებს.

12. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2007 წლის 22 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 615-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი: „გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობები, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას, კერძოდ: დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი“. ამდენად, სსსკ-ის 615-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის გარეშე გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის უფლება აქვს უშუალოდ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

XXXI.

კომლი

1.1. საკოლმეურნეო კომლი;

1.2. საკომლო მეურნეობა;

1.1. შეხვედრაზე მოსამართლეებმა მიმოიხილეს ასევე **სასოფლო სამეურნეო კომლთან დაკავშირებული საკითხები**, კერძოდ, შეხვედრაზე განიმარტა შემდეგი: 1993 წლამდე საქართველოში არსებობდა საკოლმეურნეო კომლი. საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობას კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრებად გვევლინებოდნენ. თუ ოჯახში კოლმეურნეობის არც ერთი წევრი არ რჩებოდა, საკოლმეურნეო კომლი ისპობოდა და მუშა-მოსამსახურის ოჯახი იქმნებოდა, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილს მუშა-მოსამსახურის მეურნეობა იკავებდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრებს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდა. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად კი, კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდა. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.09.92 წლის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საეთო რეჟიმი.

12. რაც შეეხება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკომლო მეურნეობას, აღნიშნული სრულიად ახალი ინსტიტუტია და არსებითად განსხვავდება 1993 წლამდე არსებული საკომლმეურნეო კომლისაგან, შესაბამისად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკომლო მეურნეობა არ უნდა იქნეს განხილული საკომლმეურნეო კომლის სამართალმემკვიდრედ. აღნიშნული კანონის შესაბამისად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს დარეგისტრირებული.

XXXII.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართის განმარტება

მორიგი საკითხი, რომელიც შეხვედრაზე იქნა განხილული, უკავშირდება **საცხოვრებელი ფართის განმარტებას.** „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელ სადგომად განისაზღვრება ის ფართი, რომელზედაც თავდაპირველად არსებობდა გარიგება მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ან გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული აქტით. შეხვედრაზე შეჯერდა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც სახეზეა რეგისტრაციით და კომუნალური გადასახადების გადახდით წარმოშობილი ურთიერთობა და მოსარგებლე მიუთითებს, რომ მის მიერ საცხოვრებლად ფაქტობრივად დაკავებულ ფართთან ერთად ფლობს ასევე უშუალოდ ამ ფართისგან მოშორებით ეზოს სიღრმეში არსებულ სათავსოს (იყენებს საკუჭნაოდ, აბანოდ და ა.შ.), აღნიშნული მიჩნეულ უნდა იქნას საცხოვრებელი სადგომის ფართში. მოცემულ ფართზე დათმობის გარიგების არსებობა კი უნდა დადასტურდეს უშუალოდ აღნიშნული ფართის მოხმარების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებებით.

XXXIII.

სასამართლო უწყება

- 1.1. საიდენტიფიკაციო ფორმულარი და კანცელარიის მუშაკის უფლებამოსილებები აღნიშნული ფორმულარის შევსებასთან დაკავშირებით;
- 1.2. მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილე პირთა სასამართლოში დაბარება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- 1.3. ტექნიკური საშუალებით შეტყობინების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები;
- 1.4. ტექნიკური საშუალებით შეტყობინების განხორციელება;
- 1.5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებისათვის (უბნის ინსპექტორებისათვის) სასამართლო დავალება აღდრესატიისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების თაობაზე;
- 1.6. სასამართლო შეტყობინების დროული განხორციელებისა და საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით სასამართლო მოხელეთა ურთიერთთანამშრომლობა;
- 1.7. სასამართლო უწყების ჩაბარების თავისებურებანი მოპასუხის ადგილსამყოფლის დაუდგენლობის შემთხვევაში;
- 1.8. სასამართლო შეტყობინების განხორციელების ტექნიკური უზრუნველყოფა, სასამართლო შეტყობინებათა კომპიუტერული აღრიცხვა და კონტროლი.

1.1. საკითხი შეეხო სასამართლო უწყებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. კერძოდ, ტექნიკური საშუალებებით მხარეთა დაბარების გააქტიურებას, ასეთ შემთხვევებში, უწყების ჩაბარების დადასტურებას და ა.შ. ამ მხრივ დიდია პროცესის მონაწილე პირთა საიდენტიფიკაციო ფორმულარის (შემდგომში - ფორმულარი) შევსების მნიშვნელობა, რომლის სრულყოფილად შევსების შემთხვევაში გაადვილდება პროცესის მონაწილე პირთა სასამართლოში დაბარება, ამასთან, სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის მიზეზით ნაკლებად მოხდება პროცესების გადადება და დაჩქარდება საქმის განხილვა. აქედან გამომდინარე, **აზრი შემდეგზე შეჯერდა:**

ა) სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანისას, აგრეთვე შესაგებლის წარმოდგენისას, სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ მკაცრად უნდა გააკონტროლოს მოსარჩელის, მოპასუხის, აგრეთვე მათი წარმომადგენლების (თუ მხარე საქმეში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით) მიერ ფორმულარის სრულყოფილად შევსება, განსაკუთრებით საკონტაქტო მონაცემების მითითება (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი). თუ ფორმულარი სრულყოფილად არ იქნება შევსებული კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ უნდა მისცეს მითითება მისი შევსების თაობაზე და მხარეს ან მის წარმომადგენელს განუმარტოს, რომ ფორმულარში არსებული მონაცემები დაეხმარება სასამართლოს მასთან დაკავშირებას და მისი უფლებების სწრაფ დაცვას. საკუთარი საკონტაქტო მონაცემების არქონის გამო ფორმულარში ასეთი მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ მხარეს უნდა მოსთხოვოს იმ პირის საკონტაქტო მონაცემების მითითება, ვისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირება.

ბ) ფორმულარში განზრახ არასწორი მონაცემების მითითების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადავიდეს შესაბამისად მხარეზე.

12. ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ სასამართლოების მიერ მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა სასამართლოში დაბარება ძირითადად ხორციელდება სასამართლო უწყების მეშვეობით და ნაკლებად ხდება სასამართლო შეტყობინების ისეთი ალტერნატიული საშუალებების გამოყენება როგორცაა: ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა (შემდგომში - ტექნიკური საშუალებები). ასევე, ხშირია სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის მიზეზით საქმის განხილვის გაჭიანურების შემთხვევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **აზრი შეჯერდა შემდეგზე:**

ა) სასამართლოების მიერ აქტიურად განხორციელდება მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილე პირთა სასამართლოში დაბარება ტექნიკური საშუალებებით.

ბ) სასამართლოები შეტყობინების განხორციელებისას აქტიურად გამოიყენებენ, როგორც ფორმულარში მითითებულ ინფორმაციას, ასევე საკონტაქტო მონაცემების მოპოვების მიზნით, მიმართავენ ინფორმაციის სხვა წყაროებს (სატელეფონო ცნობარი, პირადი კონტაქტები და სხვა).

გ) სასამართლო უწყების გაგზავნა ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, ძირითადად, განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელი გახდება ტექნიკური საშუალებებით შეტყობინება.

13. ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნიკური საშუალებებით შეტყობინება განახორციელოს მოსამართლის თანაშემწემ, სასამართლოს სხდომის მდივანმა ან სასამართლოს უფლებამოსილმა მოხელემ (შემდგომში - სასამართლოს მოხელე). შესაბამისად, მათ დაეკისროთ პასუხისმგებლობა ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ აქტში (შემდგომში - აქტი) არასწორი მონაცემების შეტანისათვის.

14. ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ ტექნიკური საშუალებებით შეტყობინებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოში დასაბარებელი პირისათვის ინფორმაციის ამომწურავად და გასაგებად მიწოდებას, ასევე ტექნიკური საშუალებებით გაგზავნილი უწყების ჩაბარების დადასტურებას. ამ მიზნით, **აზრი შეჯერდა შემდეგზე:**

ა) სასამართლოს მოხელემ სასამართლოში დასაბარებელ პირთან (შემდგომში - ადრესატი) ტელეფონით დაკავშირებისას პირველ რიგში უნდა დაადგინოს იმ პირის ვინაობა (მხოლოდ სახელი და გვარი) ვისაც დაუკავშირდა. მისი მხრიდან დასტურის მიღების შემდგომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მას სასამართლო უწყების შინაარსი, კერძოდ: იმ სასამართლოს სახელწოდება და ზუსტი მისამართი, სადაც ადრესატი უნდა გამოცხადდეს; საქმის დასახელება მოკლედ და დავის საგანი; გამოცხადების დრო (რიცხვი, თვე, წელი) და ადგილი (სასამართლო სხდომის დარბაზის ნომერი); რა სტატუსით არის ადრესატი სასამართლოში დაბარებული; არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, კერძოდ დაჯარიმების შესაძლებლობა; გამოუცხადებლობის შედეგები, კერძოდ მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა; სასამართლოს საკონტაქტო მონაცემები; ასევე განუმარტოს უფლება მასთან არსებული მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ და ვალდებულება, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

ბ) თუ სასამართლოს მოხელე დაუკავშირდება ადრესატთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს, სამუშაო ადგილის შესაბამის პირს, ადრესატის წარმომადგენელს ან ფორმულარში მითითებულ სხვა პირს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მას სასამართლო უწყების შინაარსი და განუმარტოს სასამართლო უწყების შინაარსის ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის ვალდებულება.

გ) თუ სატელეფონო კავშირი შედგება და პირის იდენტიფიცირება განხორციელდება, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

დ) იმ შემთხვევაში თუ სატელეფონო კავშირი გაწყდება სასამართლოს მოხელისა და ადრესატისაგან ან სხვა პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სასამართლოს მოხელემ კიდევ უნდა სცადოს ადრესატთან დაკავშირება, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნება მიმართოს სხვა საშუალებას. სატელეფონო კავშირის გაწყვეტამდე გადაცემული ინფორმაცია ჩაითვლება გადაცემულად და მისი გამეორება სავალდებულო აღარ იქნება.

ე) იმ შემთხვევაში თუ ადრესატი ან სხვა პირი მისი იდენტიფიცირების შემდეგ შეგნებულად გაწყვეტს სატელეფონო კავშირს ან აშკარა იქნება, რომ იგი თავს აარიდებს ინფორმაციის მიღებას, სასამართლოს მოხელე სათანადო აღნიშვნას გააკეთებს აქტში, რა დროსაც მიიჩნევა, რომ ადრესატი უარს აცხადებს სასამართლო უწყების მიღებაზე და სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

ვ) ფაქსით სასამართლო უწყების გაგზავნისას, ფაქსის აპარატით მიღებული დასტურის შემდეგ სასამართლოს მოხელე უნდა დაელოდოს ადრესატის მიერ უწყების მიღების დადასტურებას. თუ ადრესატი დაადასტურებს სასამართლო უწყების მიღებას, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ადრესატის დასტური ფაქსის გაგზავნიდან 24 საათის განმავლობაში არ იქნება მიღებული, სასამართლოს მოხელემ ყველა საშუალებას უნდა მიმართოს, რათა ტელეფონით დაუკავშირდეს ადრესატს და აცნობოს მხოლოდ მისთვის სასამართლო უწყების ფაქსით გაგზავნის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლო უწყების შინაარსის დამატებით ცნობება სავალდებულო აღარ იქნება. თუ სატელეფონო კავშირი შედგება და პირის იდენტიფიცირება განხორციელდება, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ფაქსით სასამართლო უწყების გაგზავნა შეუძლებელი იქნება, სასამართლოს მოხელემ უნდა მიმართოს სხვა საშუალებას.

ზ) ელექტრონული ფოსტით სასამართლო შეტყობინებისას სასამართლოს მოხელემ:

ა.ა. ადრესატს უნდა აცნობოს სასამართლო უწყების შინაარსი, კერძოდ: იმ სასამართლოს სახელწოდება და ზუსტი მისამართი, სადაც ადრესატი უნდა გამოცხადდეს; საქმის დასახელება მოკლედ და დავის საგანი; გამოცხადების დრო (რიცხვი, თვე, წელი) და ადგილი (სასამართლო სხდომის დარბაზის ნომერი); რა სტატუსით არის ადრესატი სასამართლოში დაბარებული; არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, კერძოდ დაჯარიმების შესაძლებლობა; გამოუცხადებლობის შედეგები, კერძოდ მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა; სასამართლოს საკონტაქტო მონაცემები; ასევე განუმარტოს უფლება მასთან არსებული

მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ და ვალდებულება, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები;

აბ. ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნისას ადრესატს დამატებით უნდა განუმარტოს ვალდებულება, მის მიერ ელექტრონული დოკუმენტის გახსნისთანავე იმავე მისამართზე დასტურის გამოგზავნის შესახებ.

თ) თუ ელექტრონული დოკუმენტი გაიგზავნება, სასამართლოს მოხელე უნდა დაელოდოს ადრესატის დასტურს ელექტრონული დოკუმენტის მიღების შესახებ. თუ ადრესატი დაადასტურებს სასამართლო უწყების მიღებას, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ადრესატის დასტური ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნიდან 24 საათის განმავლობაში არ იქნება მიღებული, სასამართლოს მოხელემ ყველა საშუალებას უნდა მიმართოს, რათა ტელეფონით დაუკავშირდეს ადრესატს და აცნობოს მხოლოდ მისთვის სასამართლო უწყების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლო უწყების შინაარსის დამატებით ცნობება სავალდებულო არ არის. თუ სატელეფონო კავშირი შედგება და პირის იდენტიფიცირება განხორციელდება, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ელექტრონული ფოსტით სასამართლო უწყების გაგზავნა შეუძლებელი იქნება სასამართლოს მოხელემ უნდა მიმართოს სხვა საშუალებას.

ი) ელექტრონული ფოსტის გამოყენებისას, სასამართლო უწყება შეიძლება დასკანერდეს, თუ სასამართლოში იქნება ამის ტექნიკური შესაძლებლობა.

ყურადღება გამახვილდა ასევე იმ გარემოებაზე, რომ ელექტრონული ფოსტა შეიძლება უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მხარისათვის საქმის მასალების გადასაგზავნად, თუკი ასეთი მასალები სასამართლოში წარდგენილი იქნება ელექტრონულ ფორმატში და მხარე თანახმობას განაცხადებს მისთვის ელექტრონული დოკუმენტების გაგზავნის თაობაზე.

15. შეხვედრაზე ერთ-ერთ ქვესაკითხად განხილულ იქნა უწყების ჩაუბარებლობის მიზეზები და ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო უწყების ჩაბარებას ხშირად აფერხებს ის გარემოებები, რომ სასამართლოში დასაბარებელი პირი ცხოვრობს მიუდგომელ რაიონში ან მისი მოძებნა ვერ ხერხდება. თუმცა აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ნორმები. ამიტომ აზრი შემდეგზე შეჯერდა:

ა) თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ ვერ ეცნობებათ ვერანაირი საშუალებით, სასამართლოებმა აქტიურად დაავალონ ადრესატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს).

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა უბნის ინსპექტორის მიერ სათანადო აღნიშვნით სასამართლო უწყების მეორე ეგზემპლარის სასამართლოში წარმოდგენისთანავე სასამართლო უწყება ჩაითვლება ჩაბარებულად.

16. სასამართლო შეტყობინების დროული განხორციელებისა და საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება და ერთმანეთისთვის სამართლებრივი თუ ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, **ამ მიზნით:**

ა) სასამართლოს აპარატის მოხელეები გაცვლიან ერთმანეთის საკონტაქტო მონაცემებს (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული მისამართი).

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ცხოვრობს საქმის მწარმოებელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიისაგან მოშორებით და აღნიშნული მიზეზით სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდება:

ა.ა. მოსამართლის თანაშემწე ან სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილი მოხელე (თხოვნის გამგზავნი სასამართლო) დახმარებისათვის აქტიურად მიმართავს იმ სასამართლოს (თხოვნის მიმღები სასამართლო) შესაბამის მოხელეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ცხოვრობს სასამართლოში დასაბარებელი პირი;

ა.ბ. თხოვნა განხორციელდება თხოვნის მიმღები სასამართლოსათვის სათანადო წესით შევსებული სასამართლო უწყების ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნით;

ა.გ. თხოვნის მიმღები სასამართლოს შესაბამის მოხელე აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს, რომელშიც აღინიშნება: თხოვნის გამგზავნი სასამართლოს დასახელება; სასამართლო უწყების გამომგზავნი მოხელის ვინაობა; თხოვნის მიღების თარიღი; თხოვნის შესრულების თარიღი; სასამართლო უწყების ჩაბარების დასტურის თხოვნის გამგზავნი სასამართლოსათვის გაგზავნის თარიღი;

ა.დ. თხოვნის მიმღები სასამართლო შესაბამის მოხელე სასამართლო უწყებას მიღებისთანავე დაუსვამს სასამართლოს ბეჭედს და უზრუნველყოფს მისი კურიერის მეშვეობით ადრესატისათვის ჩაბარებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და აღნიშნული რეკომენდაციებით დადგენილი წესით;

ა.ე. თხოვნის განხორციელებისთანავე, თხოვნის მიმღები სასამართლო შესაბამისი მოხელე დაუყოვნებლივ დაუკავშირდება თხოვნის გამგზავნი სასამართლოს და გაუგზავნის სასამართლო უწყების ჩაბარების დასტურს. დასტურის მიღებისთანავე თხოვნის გამგზავნი სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე.

17. ყურადღება მიექცა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ სასამართლო უწყების ჩაბარებას მნიშვნელოვნად აფერხებს მოპასუხის ადგილსამყოფელის დაუდგენლობა. მათ აღნიშნეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა სასამართლომ თავიდან აიცილოს საქმის განხილვის გაჭიანურება, კერძოდ, სასამართლო უწყება ჩააბაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა გამოიტანოს განჩინება პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ 78-ე მუხლის დანაწესი მოსამართლეს არ აკისრებს ვალდებულებას და მას აძლევს სრულ დისკრეციას მიმართოს ან ერთ ან მეორე საშუალებას, ან ორივეს ერთად. ამასთან დაკავშირებით **ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:**

ა) მხარეთა ინტერესების დაცვისა და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლოებმა პირველ რიგში სასამართლო უწყება ჩააბარონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რა დროსაც

სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადაცემისთანავე.

ბ) სასამართლოებმა პუბლიკაცია გამოიყენონ უკიდურეს შემთხვევაში, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება პუბლიკაციიდან ერთი თვის ვადაში.

გ) სასამართლოებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლო განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განხორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ საჯარო შეტყობინება ხელს შეუწყობს მოპასუხეთა სასამართლოში გამოცხადებას, დაუყოვნებლივ იქნეს გამოტანილი შესაბამისი განჩინება.

1.8. სასამართლო შეტყობინების ეფექტურად და დროულად განხორციელება უფრო მეტად დამოკიდებულია სასამართლოს აპარატის გამართულ და ორგანიზებულ მუშაობაზე, ვიდრე ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, **აზრი შეჯერდა შემდეგზე:**

ა) მხარეებს, ასევე პროცესის სხვა მონაწილეებს სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობოთ სხდომის დანიშნვიდან 3 დღის ვადაში.

ბ) სასამართლოებში განხორციელდეს სასამართლო შეტყობინების კომპიუტერული აღრიცხვა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსამართლის თანაშემწეების, სასამართლოს სხდომის მდივნების, სასამართლოს კურიერებისა და სასამართლოს აპარატის საამისოდ უფლებამოსილი მოხელეებისათვის.

გ) სასამართლოს სხდომის მდივნებმა პასუხისმგებლობით აღრიცხონ სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის კონკრეტული მიზეზები, თუ ეს გახდა სხდომის გადადების საფუძველი.

დ) მოსამართლის თანაშემწეებმა პროცესის გამართვამდე გონივრულ ვადაში მაგრამ არა უგვიანეს 10 დღისა შეამოწმონ სასამართლო უწყების ჩაბარების მდგომარეობა და ჩაუბარებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა ზომას სასამართლო უწყების ჩასაბარებლად, რათა არ მოხდეს პროცესის გადადება.

ე) სასამართლოს აპარატის საამისოდ უფლებამოსილი მოხელის მიერ მკაცრად გაკონტროლდეს სასამართლოს კურიერების მუშაობის რეჟიმი, კერძოდ: სასამართლოში გამოცხადება; სასამართლო უწყების ჩაბარება; სასამართლო უწყებაზე სათანადო აღნიშვნების სრულყოფილად შევსება.

ვ) სასამართლოებმა სასამართლო უწყების ჩაბარების ყოველკვარტალური ანალიზი პერიოდულად მიაწოდონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ზ) სხდომის მდივნებმა საქმეებში დაუყოვნებლივ ჩადონ სასამართლო უწყების ჩაბარების დასტური.

თ) სასამართლოს თავმჯდომარემ პირად კონტროლზე აიყვანოს სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის მიზეზით საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტები, რაც აუცილებლად გახდეს კონკრეტული პირის მიმართ შესაბამისი ზომების გამოყენების მსჯელობის საგანი.

XXXIV.

საკითხი შეეხო **სასამართლოში წესრიგის დაცვას**. აზრი შეჯერდა ზოგადი ხასიათის რეკომენდაციაზე, სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (სსსსკ-ის 208-ე მუხ., სსსკ-ის 212-ე მუხ.).

1. სხდომის დარბაზში ადგილიდან წამოძახილი, მობილური ტელეფონის ზარი ან საქმის განხილვისას მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა, დაბალ ხმაზე საუბარი ან სამართალწარმოების მონაწილესთან გადალაპარაკება, სიცილი, მოწონების ან დაწუნების შეძახილი, ან სხვა იმგვარი ქცევა, რაც იწვევს სამართალწარმოების სხვა მონაწილის ყურადღების მიქცევასა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლას – **გაფრთხილება ან დაჯარიმება 50 ლარის ოდენობით**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – **დაჯარიმება 100 ლარის ოდენობით ან/და გაძევება**.

2. სხდომის დარბაზში ხმამაღალი საუბარი (მათ შორის მობილური კომუნიკაციის საშუალებით), ხშირი გადაადგილება, მოსამართლის ნებართვის გარეშე პროცესის მონაწილესთან საუბარში ჩართვა ან მხარისათვის საკუთარი პოზიციის გამოხატვაში ხელის შეშლის მცდელობა, ადგილიდან რეპლიკის გაკეთება, თუ იგი არ უკავშირდება პროცესის მონაწილის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას, სასამართლოში ხმის გამაძლიერებელი საშუალებებით გაკეთებული განცხადება ან სხვა ქმედება, რაც ხელს უშლის სასამართლოს (მოსამართლეს) პროცესის წარმართვაში ან მიზნად ისახავს სასამართლო პროცესის ჩაშლას ან სასამართლო განხილვის გადადებას – **დაჯარიმება 100-დან 200 ლარამდე ოდენობით ან, განსაკუთრებით სპეციფიურ შემთხვევაში, გაფრთხილება (იგულისხმება თუ ამას აკეთებს დაზარალებული ან სხვა მნიშვნელოვანი შემთხვევა)**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – **დაჯარიმება 150-დან 300 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება**.

3. სხდომის დარბაზში ან სასამართლოში სამართალწარმოების მონაწილეთა (გარდა მოსამართლისა), სასამართლო მანდატურის, სასამართლოს აპარატის სხვა მოსამსახურეთა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური დაცვის სამსახურის ბადრაგირების დანაყოფის უფლებამოსილ პირთა უპატივცემულობა, მათ მიმართ ირონიული და დამცინავი ეპითეტების გამოყენება, ან სხვა უპატივცემულობის გამომხატველი გამონათქვამები – **დაჯარიმება 250-დან 350 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – **დაჯარიმება 300-დან 400 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება**. იგივე ქმედება ჩადენილი უცენზურო სიტყვების გამოყენებით, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ჩადენილი წესრიგის დარღვევისათვის გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან – **დაჯარიმება 400-დან 500 ლარამდე ოდენობით ან დაპატიმრება 10 დღე-ღამემდე ვადით**.

4. სასამართლოს (მოსამართლის) უპატივცემულობა, აგრეთვე ირონიული და დამცინავი ეპითეტების გამოყენება ან სხვა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გაკეთება – **დაჯარიმება 300-დან 400 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება ან დაპატიმრება 15 დღე-ღამემდე ვადით**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, აგრეთვე სასამართლოსათვის მატერიალური ზიანის მიყენება – **დაჯარიმება 350-დან 500 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება ან**

დაპატიმრება 20 დღე-ღამემდე ვადით. სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ უხამსი ირონიული და დამცინავი ეპითეტების გამოყენება ან სხვა აშკარად შეურაცხყოფელი გამონათქვამების გაკეთება (მათ შორის უცენზურო სიტყვების გამოყენება) – **დაჯარიმება 400-დან 500 ლარამდე ოდენობით ან/და გაძევება ან დაპატიმრება 20-დან 30 დღე-ღამემდე ვადით.** სასამართლოს უპატივცემულობა, რაც მიზნად ისახავს სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციას – **დაპატიმრება 30 დღე-ღამემდე ვადით.**

შენიშვნა:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც წესრიგის დამრღვევი პირი არასამართლებრივი მეთოდებით აპროტესტებს მოსამართლის გადაწყვეტილებას, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას მის მიერ გამოყენებული ზომების გამკაცრების შესახებ იმის მიხედვით, თუ რა ფორმით ხდება ამ გადაწყვეტილების გაპროტესტება.
2. იგივე წესები გამოიყენება, როდესაც წესრიგის დარღვევას ადგილი აქვს სასამართლოში ან სასამართლოს სხდომის დარბაზში გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მანდატური (მანდატურები), რომელიც უფრო ახლოს იმყოფება წესრიგის დამრღვევთან, თავადვე აღკვეთს დარღვევას, ადგენს ოქმს, სადაც დეტალურად მიუთითებს, თუ რაში გამოიხატა წესრიგის დარღვევა. სასამართლოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად დარღვევის ხასიათის ადექვატურად.
3. თუ წესრიგის დამრღვევი პირი ნებაყოფლობით არ ადასრულებს თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებას სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ან თუ სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი კვლავაც აგრძელებს წესრიგის დარღვევას, ან არ ასრულებს მანდატურის კანონიერ მითითებებს, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან სასამართლოდან, ამასთან მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დაპატიმრება.
4. სასამართლოსათვის მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში (შუშების ჩამტვრევა, ინვენტარის დაზიანება, სასამართლოში გამოკრული საჯარო ინფორმაციის განადგურება და სხვ.), გამოიყენება არანაკლება 20 დღიანი დაპატიმრების ღონისძიება. ამასთან, ზიანის მიყენებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. თუ სასამართლო სხდომის დარბაზში, სასამართლოს შენობაში დამრღვევმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მოსამართლეს, პროკურორს, დამცველს ან პროცესის სხვა მონაწილეს, სასამართლოს მანდატურის მიერ უნდა მოხდეს ამ პირთა დაკავება და პოლიციისათვის გადაცემა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების მიზნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით

* * *

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა

სსკ მუხლი 172

1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

მაგალითი 1

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-სა და გ-ს მიმართ და მოითხოვა მათი ბინიდან გამოსახლება იმ საფუძველით, რომ დ-ს გარდაცვალების შემდეგ მასზე გაიცა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. ბ-მ და გ-მ უარი განაცხადეს ბინის გამონთავისუფლებაზე იმ საფუძველით, რომ მათ ქირავნობის ხელშეკრულება დადეს ე-სთან და საცხოვრებელ სახლს ფლობდნენ კანონიერად. საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დამტკიცებულად მიიჩნია ის გარემოებები, რომ ბ-ს და გ-ს ბინის ფლობის უფლება მიღებული ჰქონდა ე-სგან დ-ს გარდაცვალების შემდეგ და ე-ს დ-სგან არ ჰქონდა მიღებული სადავო ბინის განკარგვის უფლება. საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა-ს ჰქონდა სადავო ბინის საკუთრების უფლება, ხოლო ბ და გ იყვნენ ნივთის მფლობელები, თუმცა მათ არ გააჩნდათ ნივთის ფლობის უფლება. პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 172-ე მუხლის პირველის ნაწილით და ბ-ს და გ-ს დააკისრა ნივთის გამონთავისუფლების მოვალეობა.

მაგალითი 2

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა იმ საფუძველით, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა მის საკუთრებას, რაც დასტურდებოდა გ-სთან დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, ხოლო ბ აღნიშნულ ქონებას ფლობდა უკანონოდ. ბ-მ სარჩელი არ ცნო, ვინაიდან იგი სადავო ქონებას ფლობდა დ-სთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა ა, ვინაიდან მისი საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დასტურდებოდა საჯარო რეესტრის მონაცემებით, ხოლო ბ კი ფლობდა ქონებას, მაგრამ არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება, ვინაიდან მან ქირავნობის ხელშეკრულება დადო დ-სთან, რომელიც არ წარმოადგენდა აღნიშნული ქონების მესაკუთრეს. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 170-ე, 172-ე, 183-ე და 312-ე მუხლებით და ბ-ს დააკისრა სადავო ფართის გამონთავისუფლების მოვალეობა.

მაგალითი 3

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა იმ საფუძველით, რომ მან საცხოვრებელი ბინა ჩუქების ხელშეკრულებით მიიღო გ-სგან, ხოლო ბ უკანონოდ ფლობდა აღნიშნულ ბინას. მიუხედავად იმისა, რომ ჩუქების ხელშეკრულება რეგისტრირებული არ იყო საჯარო რეესტრში, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა ა-ს საკუთრების უფლება სადავო ბინაზე მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვინაიდან თვით ბ-ც აღიარებდა, რომ მას არ გააჩნდა საკუთრების უფლება სადავო ბინაზე და შესახლებული იყო უნებართვოდ, თუმცა ა-ს სასარგებლოდ არ ათავისუფლებდა ბინას, ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ა-ს გ-სგან საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, რეგისტრირებული არ იყო საჯარო რეესტრში. საქმის საკასაციო ინსტანციით განხილვის დროს ჩუქების ხელშეკრულება უკვე რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. ამდენად ა წარმოადგენდა სადავო ფართის მესაკუთრეს, ხოლო ბ უკანონოდ ფლობდა სადავო ბინას. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა 172-ე მუხლის პირველი ნაწილით და ბ-ს დააკისრა ბინის გამონთავისუფლების მოვალეობა.

მაგალითი 4

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა შემდეგი საფუძველებიდან გამომდინარე: ა-მ ზეპირი გარიგების შედეგად ავტომანქანა გადასცა გ-ს, იმ პირობით, რომ გ ავტომანქანას გადაიფორმებდა მხოლოდ ღირებულების გადახდის შემდეგ. გ-მ ისარგებლა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით და ნოტარიუსთან შეთანხმების გზით ავტომანქანა დააგირავა ბ-სთან 8000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად და მიიმაღლა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ნიშნავს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, მაგრამ, ის ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრების გადასვლას მყიდველზე. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემქნენ ნივთი. ამრიგად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: ნამდვილი უფლება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება მყიდველისა მოითხოვოს ნივთის გადაცემა) და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა (ამ შემთხვევაში ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე). სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემქნეზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემქნეზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. შემქნეზე გადაცემული ნივთი საფასურის სრულად გადახდამდე გამსხვისებლის საკუთრებაა.

მიუხედავად ა-სა და ბ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა, ა დარჩა ავტომანქანის მესაკუთრედ და საკუთრების უფლება ავტომანქანაზე ბ-სთვის არ გადაუცია. ამიტომ როგორც მესაკუთრეს, მას შეუძლია, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან ავტომანქანის გამოთხოვა.

კომენტარი:

ყოველი ვალდებულება შედგება, ძირითადად, ორი ნაწილისაგან – კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ნორმის აღწერილობითი ნაწილისაგან, რომელიც ზოგადი შინაარსისაა და შედეგებისაგან, რომელსაც კანონი ითვალისწინებს ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტის არსებობისას.

მოსამართლე ვალდებულია, მოსარჩელის სასარჩელო განცხადებიდან გამომდინარე, მოძებნოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს იმ სამართლებრივ

შედგეს, რომელსაც მოსარჩელე თავისი სარჩელით მოითხოვს. მოსამართლემ უნდა დაადგინოს, მიუთითებს თუ არა მოსარჩელე იმ გარემოებებზე, რომლებიც კანონის მიერ განსაზღვრულია ამ სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობად. უნდა დადგინდეს განსახილველი მოთხოვნის საფუძვლისათვის აუცილებელი წინაპირობები, ანუ კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის ნიშნები. იურიდიული მუშაობის მეთოდის მიხედვით ნორმები უნდა დაიშალოს მისი ელემენტების, კერძოდ, ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების მიხედვით. იურიდიული სამუშაო სწორედ ამ ამოხსნის სისწორეზეა დამოკიდებული.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვასა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ვინდიკაციური სარჩელი) მესაკუთრის უფლების დაცვის ძველთაგანვე მიღებული საშუალებაა. ესაა სარჩელი, რომელსაც მესაკუთრე მაშინ იყენებს, როცა შელახულია ნივთზე მისი მფლობელობა, სახელდობრ, როცა მესაკუთრის ქონება უკანონო მფლობლის ხელთაა. ნივთის ვინდიკირებაც სხვისი უკანონო მფლობელობიდან მის გამოთხოვას გულისხმობს. ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს. მესაკუთრეს სსკ-ს 158-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 170-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფლება აქვს არ ფლობდეს ან არ სარგებლობდეს კუთვნილი ნივთით. ამდენად, მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება, თუკი არ არსებობს სარგებლობის აუცილებელი სოციალური ინტერესი. ეს კი გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. აღნიშნულ ურთიერთობას აწესრიგებს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელ სამ ელემენტს შეიცავს:

1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;
3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება (ნორმის აღწერილობითი ნაწილის ე.წ. ნეგატიური, უარყოფითი შემადგენელი ელემენტი).

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე ამ სამივე წინაპირობის (ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების) არსებობას დაადგენს, შეუძლია განაწესოს სამართლებრივი შედეგი: მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დაკისრება.

ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების პირველ პირობას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს, ის რომ მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე. ვინაიდან მესაკუთრის მიერ დაბრუნების მოთხოვნა თანაბრად უკავშირდება როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებს, ამიტომ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია სხვადასხვაგვარად დასტურდება. უძრავი ნივთის მესაკუთრეობა სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საჯარო რეესტრიდან დასტურდება, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ კი, 312-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია (მაგალითი 2). თუმცა, პირის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე შეიძლება არ დასტურდებოდეს საჯარო რეესტრიდან, მაგრამ აღნიშნული უდავოდ იქნეს მიჩნეული პირის საკუთრებად სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან

გამომდინარე და გახდეს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი (მაგალითი 1).

ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების მეორე აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი. აღნიშნული თავისთავად გამომდინარეობს მოთხოვნის არსიდან, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ეხება ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვას, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ მფლობელობა არ უნდა იყოს კანონიერი, ვინაიდან 172-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესაძლებლობას, თუ მფლობელობა არაკანონიერია. უძრავ ნივთებთან მიმართებით საკითხი მარტივად წყდება, ვინაიდან საკუთრების უფლება საჯარო რეესტრიდან დასტურდება, ხოლო რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები, როგორცაა მეწარმის გულისხმიერება, საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი და ა.შ (მაგალითი 4). კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე დავის განხილვისას, არის მფლობლის სუბიექტური დამოკიდებულების გარკვევა მფლობელობის ფაქტის მიმართ. აღნიშნული, მართალია, ზეგავლენას არ ახდენს 172-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგზე (უკანონო მფლობელობის დადგენის შემთხვევაში ნივთი გამოთხოვილ უნდა იქნეს მესაკუთრის სასარგებლოდ), მაგრამ სსკ-ის 164-ე, 165-ე მუხლების თანახმად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოპასუხის მიმართ (ვინდიკაციურ სარჩელში) სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, თავისი არსიდან გამომდინარე, ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ გავრცელებული მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკაც საკმაოდ ვრცელია.

სსკ მუხლი 172.

2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

მაგალითი 1

ა-მ სარჩელი აღძრა ბ-ს (მეზობლის) მიმართ, რომელმაც მისი საცხოვრებელი ოთახის თავზე აბაზანისა და ტუალეტის მშენებლობა დაიწყო და ამოჭრა იატაკი. ა-მ მოითხოვა მისი, როგორც მესაკუთრის, საკუთრებით სარგებლობის უფლების ხელშეშლის აღკვეთა. საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვინით მოპასუხის მიერ ბინაში სააბაზანოსა და ტუალეტის მოწყობით დაირღვა სამშენებლო ნორმები და წესები. საკასაციო პალატამ სსკ-ის 170-ე მუხლისა და 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრის მიერ საკუთრებით სარგებლობის უფლება დარღვეულად მიიჩნია და მოთხოვნა დააკმაყოფილა.

კომენტარი:

საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთა ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე ტრადიციულად ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც ნეგატორული სარჩელი. საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. ნეგატორული სარჩელის საფუძველი შეიძლება იყოს მესაკუთრის მიერ საკუთრებით შეზღუდულად სარგებლობა. მესაკუთრე ასევე საერთოდ შეიძლება მოკლებული იყოს თავისი საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობას. მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღუდავი დანაწესებისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ ნორმებს. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადები არ უნდა გავრცელდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვასა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნაზე, თუმცა, ნეგატორული სარჩელთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, მესაკუთრეს ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშეშლა გრძელდება, თუნდაც ხელშეშლა უსასრულოდ გრძელდებოდეს, ხოლო ხელშეშლის აღკვეთის შემდეგ ნეგატორული სარჩელის წარდგენა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სარჩელის ხანდაზმულობა

სსკ მუხლი 128

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.
2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:
 - ა. პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
 - ბ. მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.
 - გ. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

სსკ მუხლი 129

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.
2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.
3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

მაგალითი 1

ა-მ 2002 წლის 6 აგვისტოს სარჩელი აღძრა ბ-სა და გ-ს მიმართ და მოითხოვა 1996 წლის 7 ივნისს დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგ გარემოებათა გამო: ბ წარმოადგენდა ა-ს მეუღლეს. ბ-სა და გ-ს შორის დაიდო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ფიქტიური იყო და არ ემსახურებოდა იურიდიული შედეგის დადგომას. გ-მ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ბ-ს მიერ გ-სგან ნასესხები 2300 აშშ დოლარის სანაცვლოდ. საკასაციო სასამართლომ მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია და განმარტა, რომ ა-მ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე შეიტყო ხელშეკრულების დადების დროს, შესაბამისად, კანონით დადგენილი ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა სარჩელის შეტანის დროისათვის უკვე გასულად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადებს ადგენს იმ მიზნით, რომ ამ ვადებში პირმა მოითხოვოს დარღვეული უფლების იძულებით განხორციელება. ეს შესაძლებლობა კი პირს ეკარგება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლით.

სსკ მუხლი 130

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სსკ მუხლი 140

1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

მაგალითი 2

2001 წლის 28 აგვისტოს ა-მ სარჩელით მიმართა ბ-ს და მოითხოვა ბინის ქირის 800 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება. აღნიშნული საქმე 2002 წლის 8 იანვრის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული. ა-მ ახალი სარჩელი აღძრა 2004 წლის 5 ნოემბერს. სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად კი, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში კასატორს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წლის სექტემბერში. სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი დარჩება განუხილველი. როგორც ცნობილია, მხარეს დადგენილ ვადაში არ შეუტანია კერძო საჩივარი 2002 წლის 8 იანვრის განჩინებაზე და ამდენად, გასაჩივრებისათვის დადგენილი თორმეტდღიანი ვადის გასვლის შემდეგ იგი კანონიერ ძალაში შევიდა. აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ამოიწურა 2003 წლის სექტემბერში, ა-მ კი ახალი სარჩელი საერთო წესით აღძრა 2004 წლის 5 ნოემბერს. ამდენად, საკასაციო პალატამ ა-ს მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად და არ დააკმაყოფილა.

კომენტარი:

სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობის შემოფარგვლა დროის პერიოდულობით, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მრავალ მიზეზს უკავშირდება:

1. ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; 2. ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; 3. აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას. ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ვადის ათვლა არ ხდება უფლების დარღვევის მომენტიდან. მისი ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ხანდაზმულობის საერთო ვადაა ათი წელი. აღნიშნული ხანდაზმულობის ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომლისთვისაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას. სპეციალური ხანდაზმულობის ვადის დადგენა კი შესაძლებელია კანონით.

ხანდაზმულობის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სარჩელის აღძვრის უფლებასთან. სსსკ-ის მე-2 მუხლი უზრუნველყოფს ყოველი პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცად. აქ არ იგულისხმება მხოლოდ არახანდაზმულ მოთხოვნები. პირს სასამართლო წესით ნებისმიერი დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის შესაძლებლობა აქვს. თუმცა სარჩელის უფლება 2 ნაწილისაგან შედგება: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებებისაგან. ხანდაზმულობის ვადაც სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე ვრცელდება და არა სარჩელის აღძვრაზე.

სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საფუძველს; ხანდაზმულობის ვადაზე უნდა მიუთითოს მხარემ და არა სასამართლომ თავისი ინიციატივით, ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს უნდა ეკავოს აქტიური პოზიცია ხანდაზმულობის საკითხებთან მიმართებით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც მხარე მიუთითებს ხანდაზმულობის ვადაზე, შემდეგ უკვე სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა, აგრეთვე იმის დადგენა, ხომ არ იყო ამ პერიოდში ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილი და ა. შ. აღნიშნული მომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან, ვინაიდან, თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად, ხოლო სასამართლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით, ილახება მხარის უფლება, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება მხარის, როგორც უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას, ასევე შეჯიბრებითობის პრინციპს.

მნიშვნელოვანია ასევე საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც საქმეში რამდენიმე მოპასუხეა და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი უთითებს ხანდაზმულობის ვადის გაშვებაზე. პასუხი ცალსახაა: სასამართლო ხანდაზმულობის საკითხს წყვეტს მხოლოდ იმ მოპასუხესთან მიმართებით, რომელმაც აღნიშნული მოთხოვნა დააყენა.

პრაქტიკისათვის ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ვადაზე მითითება პირველად საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დაუშვებელია. ასეთ დროს ხანდაზმულობის ვადაზე მხარის მიერ მითითება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დაბრუნდება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ხანდაზმულობის ვადის სასამართლო წესით დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის გარკვევას. სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას დამდგარი ზიანის ანაზღაურება

სსკ მუხლი 999

1. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

მაგალითი 1

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ მოტივით, რომ ა შრომით ურთიერთობაში იყო ბ-სთან და სარგებლობდა მის მიერ მიცემული სამგზავრო ბილეთით. ელმავლით ერთ-ერთი მგზავრობის დროს, მაშინ როდესაც ა სამუშაოს დასრულების შემდეგ ბრუნდებოდა სახლში, ქვის თავში მოხვედრის შედეგად მიიღო ტრავმა და დაკარგა შრომის უნარი. ა-მ ბ-სგან მოითხოვა ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება. საკასაციო პალატამ აღნიშნული შემთხვევა არ მიიჩნია ბ-ს ბრალით გამომწვეულ ზიანად, ხოლო რაც შეეხება, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია დამდგარი ზიანი მომეტებული საფრთხის წყაროს შედეგად დამდგარ ზიანად და არ დააკმაყოფილა ა-ს მოთხოვნა ბ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

კომენტარი:

შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით ძირითადად გამოიყენება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბრის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“, სამოქალაქო კოდექსი და შრომის კანონთა კოდექსი.

როდესაც მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე საუბარი, პირველ რიგში უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები:

1. მიაღვა თუ არა მუშაკის ჯანმრთელობას ვნება უშუალოდ შრომითი მოვალეობის შესრულების დროს და

2. ბრალის საკითხი.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებლები არიან მუშაკთა და მოსამსახურეებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათი დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ დაზარალებულს სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა, მას უნდა აუნაზღაურდეს ეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

„შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე, იმ საწარმოო ტრავმისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლი ადგენს დამქირავებლის ბრალის არსებობის აუცილებლობას ზიანის ანაზღაურებისათვის. აღნიშნული ბრძანებულების მე-5 მუხლში კი განმარტებულია, თუ რა ჩაითვლება დამქირავებლის ბრალეულობით დამდგარ ზიანად, კერძოდ: „მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ითვლება დამქირავებლის ბრალეულობით, თუ იგი მოხდა მისგან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულებელყოფით ან არასათანადო შესრულებით“.

თუ მუშაკი თავისი მოვალეობის შესრულებისას მართავდა ელმავალს და შრომითი დასახიჩრება მიიღო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მისი ბრალის გარეშე, მუშაკს უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ამ შემთხვევაში ცალსახად არის ვალდებული აუნაზღაუროს მუშაკს ზიანი შემდეგ გარემოებათა გამო:

1. როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელმა, რომლის ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა მუშაკისათვის ზიანის მიყენება (სსკ-ის 999-ე მუხლი);

2. როგორც დამქირავებელმა, რომელიც მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის

(პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბრის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლი).

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეკისრება საწარმოს მუშაკისათვის მგზავრობის დროს ქვის თავში მოხვედრის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, წარმოადგენს თუ არა ექსპლუატაციაში მყოფი ელმავლის ფანჯარაში მოხვედრილი ქვა, ექსპლუატაციის მომეტებული საფრთხის შედეგს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამგზავრო უფასო ბილეთი საწარმოს მიერ ა-თვის მინიჭებული შეღავათი იყო. სამგზავრო უფასო ბილეთი წარმოადგენს სამგზავრო შეღავათს, რომელიც შეიძლება მიეცეთ სტუდენტებს, ინვალიდებს და ა. შ. იგი აღნიშნული შეღავათის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მითითებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის დროს. უფასო სამგზავრო ბილეთი არ ითვლება ზემოთ ხსენებული ბრძანებულებით გათვალისწინებულ „დამქირავებლის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით უზრუნველყოფად“. რაც შეეხება სსკ-ის 999-ე მუხლს, აღნიშნული მუხლის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც იყენებენ მომეტებული საფრთხის წყაროებს, ვალდებული არიან აანაზღაურონ ზიანი, რომელიც მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ; სატრანსპორტო საშუალება მომეტებულ საფრთხის წყაროს მიეკუთვნება იმის გამო, რომ ადამიანის მხრიდან მისი გამოყენების დროს სრული და გარანტირებული კონტროლის განხორციელება შეუძლებელია და ექსპლუატაციის დროს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გარკვეული შესაძლებლობა არსებობს.

ის სპეციალური ნორმა, რომელიც მოცემული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია ნივთის იმ თვისებებით, რის გამოც ის მომეტებულ საფრთხის წყაროს განეკუთვნება, თუ ზიანი დამდგარია თუნდაც მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის დროს, მაგრამ არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე, მაშინ პასუხისმგებლობის დაკისრება საერთო საფუძვლებით ხდება. სსკ-ის 999-ე მუხლი სატრანსპორტო საშუალების მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აკისრებს პასუხისმგებლობას, თუ დარღვეულია ექსპლუატაციის წესები. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დამქირავებელს მუშაკისათვის მომეტებული საფრთხის წყაროდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი წარმოიშობა იმ მიზეზთა გამო, რის გამოც აღნიშნული მომეტებულ საფრთხის წყაროდ მიიჩნევა ანუ შედეგი, ყოველგვარი გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე, უშუალო შედეგობრივ კავშირში უნდა იყოს საფრთხის მომეტების გამომწვევ მიზეზებთან. ამ შემთხვევაში ზიანი გარეშე ფაქტორის ზემოქმედების შედეგად დადგა ანუ კასატორს ზიანი გარედან ნასროლი ქვის შედეგად მიადგა, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

სსსკ მუხლი 241

დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სსსკ მუხლი 233

1. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას სასამართლო საქმის განხილვას სხვა დროისათვის ნიშნავს, რის შესახებაც ატყობინებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სარჩელის აღძვრის წინაპირობების არსებობისას, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას 272-ე მუხლის შესაბამისად.

მაგალითი 1

ა-მ ქუთაისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ბ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარი ერთდროულად და 100 ლარი ყოველთვიურად. სხდომაზე არ გამოცხადდა ბ. ბ-ს წარმომადგენელმა პროცესის დაწყებამდე (პროცესი ჩანიშნული იყო 12 საათზე) წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადაღება იმ მოტივით, რომ იგი იმავე დღეს მონაწილეობას იღებდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის პროცესში. ქუთაისის საოლქო სასამართლომ ბ-ს წარმომადგენლის განცხადება არ მიიჩნია საპატიოდ, ვინაიდან განცხადებას არ ერთვოდა განმცხადებლის გამოუცხადებლობის მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამიტომ კოლეგიამ დააკმაყოფილა ა-ს შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და 2005 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა-ს სარჩელი დააკმაყოფილა. ბ-ს დააკისრა ერთდროულად 20 000 ლარისა და ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ მხარემ წარმოადგინა ცნობა, რომელიც ადასტურებდა მის განცხადებაში მითითებულ გარემოებებს, აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა იმავე სასამართლოს 2005 წლის 30 მარტის განჩინებით, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში. საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შეიღახა მხარის სასამართლო მოსმენის უფლება, ვინაიდან სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა ისეთ პირობებში, როდესაც მისთვის ცნობილი იყო მხარის გამოცხადებისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, და მიუხედავად იმისა, რომ მხარემ წარმოადგინა საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება, სასამართლომ ეს გარემოება არ გაითვალისწინა.

კომენტარი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

ზემოაღნიშნული მუხლების ახსნა-განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ მხარის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისათვის არ არის დაუძლეველი ძალის არსებობა სავალდებულო, არამედ თუნდაც მხოლოდ „სხვა მოვლენის“ არსებობა, რასაც მხარის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა შეეძლო, საემარისია სხდომის გადადებისათვის. თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდება მხარის გამოუცხადებლობის დამაბრკოლებელი გარეობების არსებობის შესახებ, მან უნდა უზრუნველყოს სამართლიანი სამართალწარმოების კონსტიტუციური პრინციპის – დისპოზიციურობის – დაცვა და უნდა მისცეს მხარეს საქმეში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, თუნდაც მას ეჭვი ეპარებოდეს მხარის გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიობაში. აღნიშნული გამომდინარეობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც საპროცესო დასჯის მექანიზმის, არსიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს განაცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არ აქვს ნება. საკასაციო პალატა თვლის, რომ იმ პირობებში, როდესაც სახეზეა მოპასუხის აშკარად გამოხატული ნება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მაგრამ ამას ხელს უშლის გარემოებები, რომელიც შესაძლოა მისი უნებური შეცდომით, გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს საპატიოდ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდეს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ პირობას იმის ვარაუდიც წარმოადგენს, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი, ამიტომ დაკარგა ინტერესი, რომ დაიცვას თავი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს შეუქმნის რწმენას, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი და დაკარგა სარჩელისაგან თავის დაცვის ინტერესი, ლოგიკური და გამართლებულია, მაგრამ იმ მოპასუხის წინააღმდეგ, რომლის გამოუცხადებლობამაც სასამართლოს ვერ შეუქმნა ამგვარი რწმენა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართლებელია.

მოცემულ შემთხვევაში საოლქო სასამართლოსათვის ცნობილი იყო, როგორც მოპასუხის გამოუცხადებლობის მიზეზების, ასევე – მისი ნების შესახებ, რათა მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში და სარჩელში მითითებული არგუმენტების საწინააღმდეგოდ დაეყენებინა თავისი მოთხოვნები.

საკაცო პალატას მიაჩნია, რომ მხარეს გააჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საპატიო მიზეზი, რის საფუძველზეც საოლქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაეუქმებინა.

არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება

სსკ მუხლი 413

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ზიანისთვისაც.

მაგალითი 1

ა-მ სასამართლოში სარჩელი აღძრა გაზეთ X-სა და ჟურნალისტ ბ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მორალური ზიანის სახით 7000 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

იგი ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე, რომლითაც გ-ს დაედო მსჯავრი სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე მუხლის მეხამე ნაწილით, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით. დაზარალებულის შუამდგომლობით ყველა სხდომა ჩატარდა დახურულად.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ X-ის ჟურნალისტი ბ-ს მიერ გამოქვეყნდა სტატია სათაურით – „გაუპატიურების მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით“. მოსარჩელის აზრით აღნიშნული პუბლიკაციით ჟურნალისტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით, სკ-ის 413-ე და სისხლის სამართლის კოდექსის მე-12, მე-13 მუხლებით დაცული მისი უფლებები.

კომენტარი:

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში განსაკუთრებით დიდია სასამართლოს როლი, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონმდებლობა არ ადგენს არც არაქონებრივი ზიანის ცნებას და არც მისი ოდენობის გამოთვლის რაიმე წესს, ამ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკის გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

თავისი არსით არაქონებრივი ანუ მორალური ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად კი არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის გამო. ვსაუბრობთ რა არაქონებრივ ზიანზე, მხედველობაშია მისაღები კონკრეტული საზოგადოების მორალური სტანდარტები.

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიულ საფუძვლებს.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგაზეთო პუბლიკაციაში სექსუალური ძალადობის შესახებ უტყუარი ცნობები გამოქვეყნდა, მაგრამ დაზარალებულის

სახელის სრულად გამოყენებით შეილახა მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოება, რომელიც კონსტიტუციური თავისუფლებაა.

კანონი იცავს პიროვნებას პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფისაგან და არა ობიექტს, ანუ პირადი ცხოვრების საიდუმლოებას. აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა არ ხდება მხოლოდ ყალბი ცნობების გამოქვეყნებით, არამედ მაშინაც როცა ისინი სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ მათი საჯაროობიდან დაცვა პირის ცხოვრებისეულ ინტერესში შედის. ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების თავისუფლება ზღუდავს გამოსატვის თავისუფლებას. ყველა პირის აზრები და ემოციები დაცულია და მისი ნების გარეშე პირად ცხოვრებაში შეჭრა მისი უფლებების ხელყოფაა.

ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო რთული დასადგენია, თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს მორალური ზიანი. ამ შემთხვევაში ხომ ილახება პირის სულიერი ფასეულობები, არამატერიალური სიკეთე, რომელიც თავის მხრივ, შეუფასებელი კატეგორიაა.

სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ არაქონებრივი ზიანი უნდა ანაზღაურდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. თუ რა ითვლება გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად ფაქტის საკითხია და მისი დადგენა მთლიანად სასამართლოს მიხედულობაზეა დამოკიდებული.

შეუძლებელია ანაზღაურების მიზანი იყოს ზიანის სრული კომპენსირება. ფულადი კომპენსაცია ამ შემთხვევაში უფრო უსიამოვნო განცხადების გაქარწყლებისკენაა მიმართული. ბუნებრივია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონკრეტული პირის დამოკიდებულება თავისი უფლების ხელყოფისადმი, მაგრამ ამასთან, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა უფრო ობიექტური გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, ყალბი და სახელის გამტეხი ცნობების სიმძიმე და მისი გავრცელების ფარგლები.

შესაძლებელია პირს ერთი ქმედებით მიადგეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი, კანონმდებლობა ორივე მათგანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა შემდეგი:

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულობით უნდა გადაწყდეს.

მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია:

პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.

მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად.

მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის უზომოდ გაზრდა და პრესის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

კომპენსაციის ოდენობა უსაშველოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც.

ბე

მუხლი 421. ცნება

ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახადების ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, - ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მაგალითი 1

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა ძირითადი ვალის 1500 აშშ დოლარის დაბრუნება. მოსარჩელემ განმარტა, რომ მას სურდა მოპასუხისაგან ბინის შესყიდვა, რისთვისაც წინასწარ გადაიხადა 1500 აშშ დოლარი. აღნიშნული ხელშეკრულება, მოპასუხის მოთხოვნით, ნოტარიული წესით გაფორმდა, როგორც ვადიანი უპროცენტო სესხის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხემ მოსარჩელეს არც ბინა მიჰყიდა და არც ფული დაუბრუნა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე მართლაც აპირებდა მისი კუთვნილი სახლის 15 000 აშშ დოლარად შესყიდვას, რაშიც ბეს სახით წინასწარ გადაიხადა 1500 აშშ დოლარი, მაგრამ ბე რატომღაც გაფორმდა სესხის სახით. სახლის გაყიდვაზე მას უარი არასდროს განუცხადებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ სახლი არ შეიძინა.

სასამართლომ აღნიშნული თანხა მიიჩნია ბედ სათანადო ფორმის დაცვის გარეშე, თუმცა, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ჩათვალა როგორც ფორმის დაუცველად დადებული (სსკ-ის 50-ე მუხლი) და როგორც

თვალთმაქცური (სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით, რომლის თანახმადაც პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, ვითომ კრედიტორს მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს და მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

მაგალითი 2

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მიუთითა, რომ იგი ბ-ს ავტომანქანა „ტოიოტას“ ნასყიდობის თაობაზე შეუთანხმდა. ა-მ შეთანხმებისამებრ, წინასწარ გადაიხადა 1700 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 800 დოლარი ორ თვეში მანქანით სარგებლობით მიღებული შემოსავლიდან უნდა გადაეხადა. ა-ს განცხადებით, ავტომანქანის წაყვანიდან მეორე დღესვე აღმოჩნდა, რომ მანქანა ტექნიკურად გაუმართავი იყო, რისთვისაც ა-მ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მანქანა სარემონტოდ პროფილაქტიკაში მიიყვანა. სარემონტო სამუშაოების დროს ბ-მ ძალით წაიყვანა ავტომანქა. ა-მ მოითხოვა გადახდილი 1800 დოლარის დაბრუნება.

ბ-მ შეგებებული სარჩელი აღძრა და აღნიშნა, რომ მანქანა უნაკლო იყო. მან მოითხოვა გადახდილი 1700 აშშ დოლარის ბედ ჩათვლა და მისთვის დატოვება ა-ს მხრიდან ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების დარღვევის გამო.

სასამართლომ აღნიშნული ხელშეკრულება მიიჩნია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებად და არა ბეს შესახებ აქცესორულ ხელშეკრულებად.

სასამართლომ განვადებით დადებულ ხელშეკრულებასა და ბ-ს თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას შორის გაავლო ზღვარი და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. განსახილველი ნორმის თანახმად, ბე წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებულებას, რომელიც ამაფდროულად უზრუნველყოფს ძირითადი ვალდებულების შესრულებას. ამდენად, ბე დამატებითი, აქცესორული ხელშეკრულებაა, რომელიც არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე და არამარტო ადასტურებს მხარეთა შორის ძირითადი უფლება-ვალდებულებების არსებობის ფაქტს, არამედ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას. განსახილველ შემთხვევაში კი ძირითადი ვალდებულება შესრულებულია, ანუ მანქანა გადაცემულია მყიდველისათვის და დარჩენილია მყიდველის მხრიდან გამყიდველისათვის ნაწილი თანხის გადახდა. ამდენად, სასამართლომ დააკმაყოფილა ა-ს მოთხოვნა და ბ-ს დაეკისრა ა-ს მიერ მისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, შესაბამისად, არ დააკმაყოფილა ბ-ს მოთხოვნა აღნიშნული თანხის ბედ მიჩნევისა და მისთვის დატოვების თაობაზე.

კომენტარი:

ბე წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. იმისათვის, რომ ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის გადაცემული ფულადი თანხა მივიჩნიოთ ბედ, აუცილებელია, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 1. ბე შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი თანხა, ანუ ფულის განსაზღვრული რაოდენობა, ამიტომ კრედიტორისათვის სხვა ქონებრივი სიკეთის გადაცემა არ განიხილება ბედ. დღეისათვის „ფულადი თანხა“ გამოიყენება უშუალოდ ფულის, ანუ ბანკნოტებისა და მონეტების მნიშვნელობით; 2. ბეს საშუალებით შეიძლება მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფა.

ბე გადაიცემა გადასახდელი თანხის ანგარიშში. ამიტომ იგი ჩაითვლება მისი საშუალებით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებისას. თავად ბე არ წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების შესრულებას. თუ მოვალემ დაიწყო ძირითადი ვალდებულების შესრულება, თუნდაც არაჯეროვნად, ბე ხდება შესრულების ნაწილი და, აქედან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს ნაწილობრივ გადახდად.

ბეს გადაცემა ხდება ხელშეკრულების დადების დასადასტურებლად. ამ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ გადაცემული ბე. გადაცემულად უნდა ჩაითვალოს ბე, რომელიც გადაეცა კრედიტორს.

ქონების გადაცემა ხელშეკრულების დადებისას არის გარიგება, რომელიც იწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობას. ზოგადი წესის მიხედვით, ქონების გადაცემის ფაქტის დადასტურება რეალური ხელშეკრულების დადებისას ექვემდებარება ამ ხელშეკრულების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ბე უნდა განგასხვავოთ ავანსისაგან, ანუ გადახდისაგან, რომელიც ხორციელდება ვალდებულების შესრულების სახით მანამ, სანამ მეორე მხარე შეასრულებს შემხვედრ ვალდებულებას. ხშირად ავანსის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „წინასწარი გადახდა“. ავანსის გადაცემა არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ავანსის ბელი წყდება ვალდებულების შესრულების შესახებ ზოგადი წესების მიხედვით. ვალდებულების შეუსრულებლობისას, ავანსი ექვემდებარება დაბრუნებას. ავანსის დატოვება იმ მხარის მიერ, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება, განიხილება უსაფუძვლო გამდიდრებად.

თუ არსებობს ეჭვი იმის შესახებ, გადახდილი თანხა ბეა თუ ავანსი, ივარაუდება, რომ იგი წარმოადგენს ავანსს. საპირისპირო პრეზუმფცია გაუმართლებელია, რადგან გამოიწვევდა მხარეების მდგომარეობის დამძიმებას მათი ნების საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, კანონმდებლის პოზიცია მიმართულია სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებისაკენ და თუ არაა დადასტურებული საწინააღმდეგოდ, ივარაუდება, რომ მხარეები ირჩევენ უფრო მარტივ და ჩვეულ ფორმას (ავანსს) და არა უფრო რთულს.

თუ ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია ბეს მიმცემი, ბედ გადაცემული ფულადი თანხა რჩება მეორე მხარეს, ხოლო, თუ ვალდებულების დარღვევაზე პასუხისმგებელია ბეს მიმღები, იგი ვალდებულია მეორე მხარეს ორმაგად გადაუხადოს ბე. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა მხარეები საერთოდ არ ასრულებენ ვალდებულებას და არ ვრცელდება არაჯეროვან შესრულებაზე.

ვალდებულების შეუსრულებლობა, ბუნებრივია, იწვევს ზიანის ანაზღაურებასაც. ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების თანხაში. ეს ნიშნავს, რომ, თუ ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია ბეს მიმცემი, მან ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღემატება ბეს თანხას, ხოლო, თუ პასუხისმგებელია ბეს მიმღები, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ბეს ორმაგად გადახდა და, გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი აღემატება ბეს ერთჯერად თანხას. ამ შემთხვევებში ძირითადი ვალდებულება წყდება.

რეალურად საქართველოში ბესთან დაკავშირებული დავების სიმრავლემ განაპირობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. აღნიშნული კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატამ განმარტა შემდეგი:

ბე წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებულებას, რომელიც ამავედროულად უზრუნველყოფს ძირითადი ვალდებულების შესრულებას. ამდენად, ბე დამატებითი, აქცესორული ხელშეკრულებაა, რომელიც არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე და არამარტო ადასტურებს მხარეთა შორის ძირითადი უფლება-ვალდებულებების არსებობის ფაქტს, არამედ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ბე ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილია, მისი გადაცემით დასტურდება მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და ამიტომ იგი გაფორმებული უნდა იყოს ისეთივე ფორმით, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება. ბეს გადაცემა წარმოადგენს წინარე ხელშეკრულებას, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას. სკ-ის 327-ე მუხლის III ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულებისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა სავალდებულოა წინარე ხელშეკრულების, მოცემულ შემთხვევაში „ბეს“ გაცემის გაფორმებისას. სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. ამავე კოდექსის 328-ე მუხლის შესაბამისად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. ამდენად, თუ მხარეებს შორის დაიდება ხელშეკრულება უძრავი ქონების შესახებ, ამ ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ უზრუნველყოფის საშუალება – ბეს სახით გადახდილი თანხა (რომელსაც საგადაამხდლო ფუნქცია აკისრია სამოქალაქო კოდექსის 416-ე და 422-ე მუხლები) იმ ფორმის დაცვით უნდა გაფორმდეს, როგორც ფორმასაც ითვალისწინებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, ამ ხელშეკრულების დასადასტურებლად ბეს გადაცემა ამავე წესით უნდა გაფორმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება, სათანადო ფორმის დაუცველობის გამო, ბათილად ჩაითვლება, ხოლო, თუ აღნიშნული ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება, მაშინ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია ვითომ კრედიტორს მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს.

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

მუხლი 992. ცნება

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

მაგალითი 1

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის სახით 2000 ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, ბ-მ მას მიაყენა სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება. რაიონული სასამართლოს განაჩენით ა-სათვის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისათვის ბ ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა, ხოლო ამავე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მასვე დაეკისრა ა-ს სასარგებლოდ მატერიალური ზიანის 205 ლარის გადახდა.

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბ-ს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის შეეფარდა სისხლისსამართლებრივი სასჯელი, აგრეთვე მოპასუხის ასაკი, სოციალური მდგომარეობა, ის ფაქტი, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მას უკვე დაკისრებული ჰქონდა გარკვეული თანხა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ დააკისრა 200 ლარი.

მაგალითი 2

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა ზიანის საკომპენსაციოდ 3000 ლარის დაკისრება, შემდეგი საფუძვლებით: ბ-მ ა-ს მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება, რის გამოც მოსარჩელის ჯანმრთელობა გაუარესდა და მას დასჭირდა მკურნალობის ხარჯების გაღება. რაიონული სასამართლოს განაჩენით ბ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლით და მიესაჯა პირობითი მსჯავრი 3 წლის ვადით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დანაშაულის მიზეზი იყო ა-ს ბრალეული მოქმედება, რამაც მოპასუხე მიიყვანა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობამდე. მკურნალობისა და წამლების ღირებულება მოსარჩელემ ხელოვნურად გაზარდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება და ამ ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო მხარეთა ბრალეულობის ხარისხით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, შეუწყო თუ არა ხელი დაზარალებულის მოქმედებამ ზიანის დადგომას და უფრო მეტად რომელ მხარეს მიუძღვოდა ბრალი ზიანის დადგომაში.

მაგალითი 3

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ბ-ს“ მიმართ ზიანის – 15000 აშშ დოლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ, შემდეგი საფუძვლებით: სს „ბ“ კახეთის

გზატკეცილის საგალ ნაწილზე აწარმოებდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც ამავე წლის 31 აგვისტოს დროებით შეჩერდა. იმავე დღეს 3.45 საათზე მოსარჩელე მოძრაობდა რა თავისი ავტომანქანით დაახლოებით 70კმ სიჩქარით თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, გზის მესამე რიგში, დაეჯახა სარემონტო სამუშაოებისათვის იქვე დაყრილ ქვა-ღორღს, რის შედეგად მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ მიიღეს სხეულის მსუბუქი დაზიანებები, ხოლო ავტომანქანა იმდენად დაზიანდა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა. მოპასუხემ დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მეთხუთმეტე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები სამუშაოთა წარმოების ადგილზე შესაბამისი საგზაო ნიშნების, მიმანიშნებელი და შესაღობი მოწყობილობების, დამით და არასაკმარისი ხილვადობის პირობებში დამატებითი წითელ-ყვითელი სასინათლო ნათურების დამონტაჟების შესახებ.

სასამართლომ ზიანის ანაზღაურების თანხის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, რომელმაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, არ გაითვალისწინა მეტეოროლოგიური პირობები, არ გაუწია მუდმივი კონტროლი მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის მოძრაობას, ნაცვლად 60 კმ.სთ სიჩქარისა, მოძრაობდა 70 კმ.სთ სიჩქარით და სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

მაგალითი 4

ა-მ და არასრულწლოვან ბ-ს წარმომადგენელმა გ-მ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე შპს „დ-სა“ და სს „ე-ს“ მიმართ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, შემდეგი საფუძვლებით: ა-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე აშენდა ელექტროქვესადგური. 1965 წლიდან, თვითონ და მისი ოჯახის წევრები დასაქმებული იყვნენ ამ ქვესადგურში. 1991 წელს გარდაეცვალა მამა - ვ, 1998 წელს – დედა, ზ. მათი გარდაცვალების მიზეზი იყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე დაავადება. გარდა ამისა, გ-ს დადგენილი ჰქონდა ფილტვების, ხოლო ზ-ს – სარძევე ჯირკვლების კიბო. ამავე ოჯახში ცხოვრობდა ა-ს 14 წლის დისშვილი ბ, რომელიც დაავადდა მწვავე ლეიკოზით. აღნიშნული დაავადებები გამოწვეულია ელექტროქვესადგურის ექსპლუატაციისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევით, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ გამოეცვალათ საცხოვრებელი ადგილი. ქვესადგურის მფლობელისაგან ა-ს ოჯახმა განიცადა როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანი.

სასამართლომ დაასკვნა, რომ უდავოდ დადგენილი იყო კავშირი მოსარჩელეთა მიმართ დამდგარ ზიანსა და მოპასუხეთა უხეშ გაუფრთხილებელ უმოქმედობას შორის და დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა.

კომენტარი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ეძღვნება ე.წ დელიქტურ ვალდებულებებს, რომლებიც განსაკუთრებულ ჯგუფად გამოიყოფოდა ჯერ კიდევ რომის სამართალში. აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ. დელიქტური ვალდებულებები ატარებს ფარდობით ხასიათს, რადგანაც წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად კონკრეტულ პირებს შორის, კერძოდ, დაზარალებულს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (კრედიტორი) და ზიანის მიმყენებელს შორის, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი (მოვალე).

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ნებისმიერი ზიანი, მიყენებული მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის, ასევე ზიანი, მიყენებული იურიდიული პირის ქონებისათვის.

ზიანის ქვეშ, რომელიც, როგორც წესი, სრულად ანაზღაურდება, პირველ რიგში, იგულისხმება, დაზარალებულის სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის ქონებრივი შედეგები. ამასთან, თავად დარღვეული უფლებები შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე პირადი ხასიათის. ზიანი შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ქონების განადგურებით ან დაზიანებით, გაშვებული მოგების, დაზარალებულის მიერ გამომუშავების დაკარგვის ან შემცირებით, მისი შრომისუნარიანობის შემცირების გამო და ა.შ. ზიანის ერთ-ერთი სახეა ასევე ე.წ. მორალური ზიანი, გამოხატული დაზარალებულის ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვაში, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის გამო.

ზოგადი წესის მიხედვით, დაზარალებულს ზიანს თავად მიმყენებელი უნაზღაურებს. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აწევს იმ პირებს, რომლებიც თავად არ არიან ზიანის მიმყენებლები, მაგრამ პასუხისმგებელი არიან იმ პირის ქმედებაზე, რომელმაც მიაყენა ზიანი. ასეთ შემთხვევებს ადგენს კანონი, რაც გამორიცხავს ხელშეკრულების საშუალებით შეთანხმებას.

დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრინციპი არის ზიანის სრულად ანაზღაურება. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ქონებრივი დანაკარგი, როგორც რეალური, ასევე გაშვებული მოგება. მიყენებული ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულს.

ამ პრინციპიდან არსებობს გამონაკლისები. რიგ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება შეიძლება აღემატებოდეს მიყენებულ ზიანს ან პირიქით, სრულად არ ფარავდეს მას. კომპენსაციის გადახდა მიყენებული ზიანისათვის შეიძლება დადგენილი იყოს კანონით ან ხელშეკრულებით. პრაქტიკაში ასეთ ანაზღაურებას ადგილი აქვს პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში.

ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის შემცირება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, მაგრამ არა ხელშეკრულების საფუძველზე. ეს დასაშვებია უკიდურესი აუცილებლობისას ზიანის მიყენების შემთხვევაში, ასევე დაზარალებულის ბრალის არსებობისას.

რაც შეეხება მორალურ ზიანს, შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის არა სრულად ანაზღაურება, არამედ, მისი კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ.

პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა. ბრალი გამოიხატება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ჩვეულებრივ და უხეშ გაუფრთხილებლობად. ბრალის ფორმას, ზოგადი წესის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ზიანის მიმყენებლის მოქმედება იყოს ბრალეული. ბრალის ფორმა არ ახდენს გავლენას კომპენსაციის ოდენობაზეც.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალი უშვებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას იმ პირებისათვის, რომლებსაც არ მიუძღვით ბრალი დამდგარ ზიანში, რადგანაც ეს არის გამონაკლისი ზოგადი წესიდან, ასეთი შემთხვევები პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით. მათ

მიეკუთვნება მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანი, ზიანის მიყენება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და ა.შ

დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა არის ზიანის მიყენებლის ქმედების არამართლზომიერება, რაშიც იგულისხმება სხვისი სუბიექტური უფლებების ყოველგვარი დარღვევა, სათანადო უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში. ვინაიდან აღნიშნული იკრძალება კანონით, უფლების დამრღვევი ამავედროულად არღვევს კანონს, რომელიც იცავს პირების უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. არამართლზომიერი შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა.

თუმცა, ზოგჯერ, ზიანი დგება მართლზომიერი ქმედების შედეგად. ასეთი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასე, მაგალითად, არ ანაზღაურდება აუცილებელი მოგერიების შედეგად მიყენებული ზიანი, რადგანაც მომგერიებლის მოქმედება მიჩნეულია მართლზომიერად. მართლზომიერია ასევე ზიანის მიყენება დამნაშავის შეპყრობისას, ხულიგნობის აღკვეთისას, ავადმყოფი ცხოველის შეპყრობისას და ა.შ. მართლზომიერი ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მაგალითი, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული, არის უკიდურესი აუცილებლობისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მორალური ზიანი განსაზღვრულია, როგორც ფიზიკური ან სულიერი ტკივილი. მაცალკეებელი კავშირი „ან“ უშვებს მორალური ზიანის არსებობას როგორც მხოლოდ ფიზიკური ან სულიერი ტკივილისას, ისე ორივეს ერთდროულად.

მორალური ზიანის კომპენსაცია, ზოგადი წესის მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას. სხვა შემთხვევები პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით.

მორალური ზიანის კომპენსაცია ხდება ფულადი სახით. არც სამოქალაქო კოდექსი, არც სხვა კანონები არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ზუსტ წესს. კანონმდებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ კრიტერიუმების განსაზღვრით, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო, პირველ რიგში, მხედველობაში დებულობს ზიანის მიყენებლის ბრალის ხარისხს. ბრალი სამოქალაქო სამართალში არის პასუხისმგებლობის პირობა და არა ზომა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისი, ამიტომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ზიანის მიყენებლის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი.

ფიზიკური ტანჯვა ივარაუდება მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობის დასასაბუთებლად უნდა დამტკიცდეს ფიზიკური ტანჯვის ხარისხი.

თუ მორალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მან განიცადა სულიერი ტკივილი, ამასთან ჰქონდა ხარჯები მეურნელობასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით), მორალური ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ ამ გზით მიდის. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს პირის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხი, ზიანის მიყენებლის ბრალი (იმ შემთხვევებში,

როცა ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა) და სხვა ყურადსაღები გარემოებები.

დელიქტურ სამართალში საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემუშავებული აქვს ერთიანი პრაქტიკა. დელიქტური სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვისას საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოცემული მუხლით პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირის ბრალეულობის ხარისხს იმ შემთხვევაში, თუკი არ არის გამორიცხული ვარაუდი იმისა, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ. სამოქალაქო კანონმდებლობით, ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე კოდექსის 326-ე მუხლის შესაბამისად კი წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიითიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საქმის ფაქტობრივად განმხილველმა სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება და ამ ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა უნდა მოახდინოს მხარეთა ბრალეულობის ხარისხით, კერძოდ, სასამართლომ უნდა იმსჯელოს შეუწყო თუ არა ხელი დაზარალებულის მოქმედებამ ზიანის დადგომას და უფრო მეტად რომელ მხარეს მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში. ამ მიმართებით სასამართლომ უნდა იმსჯელოს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, მისი ბრალის ფორმასა და ხარისხზე.

დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში პალატამ განმარტა, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება არა ეკვივალენტობის პრინციპით, არამედ, საქმის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, მორალური ზიანის ხარისხისა და ხასიათის, ასევე დაზარალებულისა და ზარალის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ბინის პრივატიზება

მაგალითი 1

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა შემდეგ გარემოებათა გამო: სადავო ბინაზე პრივატიზება განხორციელდა 1992 წელს, ამ დროისათვის ბინაში ჩაწერილები იყვნენ ა, ბ (ა-ს დედამთილი), გ (ა-მეუღლე) და დ (ა- შვილი). პრივატიზება განხორციელდა ბ-ს სახელზე. გ-ს გარდაცვალების შემდეგ სადავო ბინაში ცხოვრებას განაგრძობდა მხოლოდ ბ. ვინაიდან პრივატიზების შემდეგ მთელი ქონება აღირიცხა მხოლოდ ბ-ს სახელზე, ამიტომ ამ უკანასკნელმა მთელი ბინა შვილის გარდაცვალების შემდეგ უანდერძა შვილიშვილ დ-ს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა: „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. აღნიშნული პუნქტით სახელმწიფომ ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც დადგენილი წესით იყო ჩასახლებული ბინაში, დამქირავებელი იქნებოდა იგი, თუ მისი ოჯახის წევრი, მისცა საშუალება, გამხდარიყო ბინის მესაკუთრე. ამ დადგენილების თანახმად, პრივატიზების დროს ბინაში მცხოვრები ყველა პირი, მათ შორის არასრულწლოვანიც, უნდა ჩაითვალოს ბინის პოტენციურ თანამესაკუთრედ იმის მიუხედავად, ოჯახის რომელი წევრის სახელზე მოხდა ბინის პრივატიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ რამდენადაც პრივატიზებაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პირმა, თითოეულმა მათგანმა სადავო ბინაზე მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო ბინის 1/4-ზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ა-ს მეუღლის გ-ს გარდაცვალების შემდეგ სადავო ბინაში ცხოვრებას აგრძელებდა გარდაცვლილის დედა – ბ. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლზე, 1421-ე მუხლის მესამე ნაწილზე და დაასკვნა, რომ ბ-მ, როგორც გ-ს პირველი რიგის მემკვიდრემ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო მისი გარდაცვლილი შვილის კუთვნილი წილი ბინის 1/4 და მისი წილი სადავო ბინაში განისაზღვრა 2/4 წილით (ანუ 1/2). პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1404-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიუთითა, რომ ბ-ს მიერ გაფორმებული ანდერძი, რომლითაც მან სადავო ბინა უანდერძა დ-ს, ნაწილობრივ ბათილია, ვინაიდან, მისი საკუთრება სადავო ბინაში წარმოადგენდა 1/2-ს, დანარჩენი 1/2 სამკვიდრო ქონებაში არ შედიოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ სადავო ანდერძი ბათილად ცნო ბინის 1/2 ნაწილზე.

მაგალითი 2

ა-მ და ბ-მ სასამართლოში სარჩელი აღძრეს გ-ს, ბათუმის ქარხნისა და ნოტარიუს დ-ს მიმართ და მოითხოვეს პრივატიზების ხელშეკრულების გაუქმება. მოსარჩევეებმა განმარტეს, რომ მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად საცხოვრებელი ფართის სიმცირის გამო შეიჭრნენ ბათუმის ქარხნის კუთვნილი ბაგა-ბადის შენობაში. ქ. ბათუმის მერიის გადაწყვეტილებით. აღნიშნული ბაგა-ბადი მთლიანად ჩაირიცხა საცხოვრებელ ფონდში და დანაწილდა კონკრეტულ მოსახლეებზე, მათ შორის მოსარჩევეებზეც. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქარხანამ მათ სარგებლობაში არსებულ ფართის ნაწილზე საბინაო ორდერი გადასცა გ-ს, რომელმაც მოახდინა სადავო ფართის პრივატიზება.

სასამართლომ უმართებულად მიიჩნია კერძო სამართლის იურიდიული პირის შპს-ს ქონების გაიგივება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის ქონებასთან. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ მესაკუთრეს თავისი ქონება პრივატიზაციის ხელშეკრულებით არ უნდა გადაეცა შემძენისათვის, რადგანაც კერძო პირებს შორის ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სკ-ის შესაბამისი ნორმებით.

კომენტარი:

ვინაიდან 90-იანი წლებიდან საქართველოში მოხდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და კერძო საკუთრების დამკვიდრება, ნორმალური საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი გახდა სახელმწიფო საკუთრების კერძო სამართლის სუბიექტებისათვის გადაცემა. პრივატიზება ზოგადად ნიშნავს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნას, რის შედეგადაც სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, სახელმწიფო ორგანოები კი – მისი მართვის უფლებებს.

პრივატიზების ნორმატიულ საფუძვლებს ადგენს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“. კერძოდ, მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონისა და აგრეთვე იმ კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე იქნა მიღებული ამ სფეროში.

პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც პრივატიზების პროცესს აწესრიგებდა და წინ უსწრებდა საქართველოს კონსტიტუციას, იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილება, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების მიზანი იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემა. დადგენილება ითვალისწინებდა პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრსა და გამგეობას შორის. ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობა იყო, რომ კოოპერატივის წევრს მთლიანად უნდა ჰქონოდა გადახდილი საცხოვრებელი ბინის ღირებულება.

იმისათვის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა პრივატიზების შესახებ კანონმდებლობით მოწესრიგდეს, აუცილებელია პრივატიზების ობიექტის ანუ სახელმწიფო ქონების არსებობა. თუ რა ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად, დადგენილია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების მე-2 პუნქტით.

დაუშვებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის კუთვნილი ქონების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის ქონებასთან გაიგივება. კერძო პირებს შორის საკუთრების გადაცემა წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით და დაუშვებელია მათ შორის პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება.

პრივატიზების ხელშეკრულების საყოფაცხოვრებო ბუნებიდან გამომდინარე, ხშირია აღნიშნული სამართალურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები, რომელთა მიმართებითაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოახდინა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმის ინტერპრეტაცია და შეიმუშავა ერთგვაროვანი პრაქტიკა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების მე-2 პუნქტით, მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, ამავე დადგენილების მე-5 პუნქტით კი დადგინდა, რომ საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი

სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან; აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება მიეცა ყველა იმ პირს, რომელსაც ბინის პრივატიზების დროისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული ჰქონდა; ამასთან, დადგენილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა გამოხატავს მხოლოდ ბინის ერთ-ერთი დამქირავებლის მესაკუთრედ აღრიცხვაზე თანხმობას და არა საკუთრების უფლებაზე უარის თქმას. აღნიშნული დადგენილებით სახელმწიფომ საკუთრების უფლება მიანიჭა ბინის ყველა დამქირავებელს და თუ ამ უკანასკნელს დადგენილი წესით უარი არ განუცხადებია საკუთრებაზე, იგი ბინის მესაკუთრეს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი პრივატიზების ხელშეკრულების მხარეს, თუ პირი პრივატიზების პერიოდში ამოწერილი არ ყოფილა სადავო ფართიდან, ასევე არ ყოფილა ცნობილი ფართზე უფლებადაკარგულ პირად, შესაბამისად, მისი მოთხოვნა ცნობილ იქნეს სადავო ბინის თავისი კუთვნილი წილის მესაკუთრედ, სამართლებრივად გამართლებულია.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო პრივატიზებით, მართალია, სახელმწიფო აღნიშნულ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს მოქალაქეს, მაგრამ ეს ურთიერთობა არ არის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობის იდენტური. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების საფუძველზე განხორციელებული პრივატიზებისას საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემოდათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები იყვნენ. ამდენად, სახელმწიფომ როგორც დამქირავებელს, ისე მისი ოჯახის წევრებს მისცა საშუალება, გამხდარიყვნენ ბინის მესაკუთრეები. ამიტომ, სამართლებრივად ქონებაზე უფლება მოპოვებული აქვს არა მარტო იმ პირს, რომლის სახელზეც განხორციელებულია პრივატიზება, არამედ იმასაც, ვინც პრივატიზების დროისათვის დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრი იყო, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მის ოჯახის წევრს პრივილიგიურებულ მდგომარეობაში. განსახილველი ნორმატიული აქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან მისი ოჯახის წევრები გამოთქვამენ ნებას, თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით, საკუთრებაში მიიღონ საცხოვრებელი სახლი (ბინა), რომელიც მათ გადაეცემული ჰქონდათ სარგებლობაში. „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით საცხოვრებელი სადგომის ორდერის საფუძველზე გამქირავებელს – საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისა და დამქირავებელს – მოქალაქეს შორის, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი. ამავე კოდექსის 62-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, განსაზღვრულია ასევე იმ პირთა უფლება-ვალდებულებები, რომლებიც დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და მასთან ერთად ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულება, ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ ყველა მოვალეობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ამავე აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, ოჯახის სრულწლოვან წევრებს დამქირავებელთან ერთად ეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი

პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განისაზღვრა უფლება, რომლის რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ თანახმად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, რაც ასევე დანარჩენ დამქირავებლებსაც გააჩნიათ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სარგებლობის უფლება ერთ შემთხვევაში, წარმოიშობა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში, დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის საფუძველზე. ოჯახის წევრებს გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს დამქირავებელი. ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ყველა ოჯახის წევრზე და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება მათი თანხმობით შეიძლება აღირიცხოს ერთ-ერთ დამქირავებელზე, საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება. აღნიშნული დებულება დაცულია ასევე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცით, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ის ფაქტი, რომ სადავო საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ერთ დამქირავებელზე, არ ნიშნავს იმას, რომ მასთან მცხოვრებმა ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს საკუთრების უფლების მოპოვებაზე. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზების განხორციელებაზე ყველა ოჯახის წევრის ნების არსებობა (რაც დავის საგანს არ წარმოადგენს) გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ყველა ოჯახის წევრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს მხოლოდ ერთ-ერთ დამქირავებელზე.

ამრიგად, მხოლოდ ერთ-ერთი დამქირავებლის სახელზე (სხვა ოჯახის წევრების არსებობის შემთხვევაში) პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების რეგისტრაციის ფაქტი არ ნიშნავს საკუთრების უფლების გასხვისებას მხოლოდ მასზე.

ამ შემთხვევაში საკუთრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვრცელდება ყველა დამქირავებელზე, ანუ ის დამქირავებელი, რომლის სახელზეც რეგისტრირებულია საკუთრების უფლება ვერ გამოიყენებს ამ საკუთრების უფლებას დანარჩენ ოჯახის წევრებთან მიმართებაში ისე, როგორც იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკუთრების უფლება გასხვისებული იქნებოდა მხოლოდ მასზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებით დანარჩენ ოჯახის წევრებს წარმოეშობათ უფლება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირონ (შესაბამის წილის გათვალისწინებით) საკუთრების უფლება. (აღნიშნული საკითხი ასევე დარეგულირებული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის № 1 დადგენილების მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს №520 დადგენილებამ გააუქმა ბინების პრივატიზებისათვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის აუცილებლობა. მიუხედავად

ამისა, პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული აქვს ბინის პრივატიზების დროისათვის).

საჯარო რეესტრის ცნების განმარტებისათვის აუცილებელია სწორად შეფასდეს საჯარო რეესტრის დანიშნულება და ფუნქცია, თუ რა ინტერესებს ემსახურება აღნიშნული ინსტიტუტი და აქედან გამომდინარე, რა მნიშვნელობა ენიჭება რეესტრის რეგისტრაციის ფაქტს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ საჯარო რეესტრის დანიშნულებაზე, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის გარანტს და ემსახურება ბრუნვის მონაწილის ინტერესების უზრუნველყოფას, დაცვას. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, ობიექტურად არსებული ფაქტი – საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია, იცავს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს საჯარო რეესტრში რეგისტრაციაუნარიან უფლებების განკარგვის დროს და მისი სისწორის პრეზუმფცია ეხება როგორც ადრინდელი მესაკუთრის, ასევე ახალი შემძენის უფლებებს.

ამრიგად, ერთ-ერთი დამჭირავებლის მიერ ფართის პრივატიზების შედეგად თავის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტი არ გამორიცხავს დანარჩენი ოჯახის წევრების სასარგებლოდ ამ უფლების შემძენის ფაქტს, რადგან ამ უფლების რეგისტრაციით (ანუ შეძენის ინსტიტუტით გათვალისწინებული წესების რეალიზაციით) მან უზრუნველყო საკუთრების უფლება, რაც მან მოიპოვა ყველა ოჯახის წევრის სასარგებლოდ. აღნიშნული საკითხის თავისებურების გათვალისწინებით, საკუთრების უფლების წარმოშობა არ შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ საჯარო რეესტრის ინსტიტუტს. კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ დანარჩენმა დამჭირავებლებმა მოიპოვეს თავისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლება.

ჩუქება

მუხლი 524 ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

მუხლი 529

ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.
2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ.
3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მაგალითი 1

ჩუქების ხელშეკრულებით ა-მ საჩუქრად გადასცა ბ-ს ბინა. ჩუქების ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ა-სა და ბ-ს შორის დადებული ზეპირი შეთანხმება, იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ბინის სანაცვლოდ ბ მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუვლიდა ა-ს. ა-ს გარდაცვალების შემდეგ ბ-ს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა გ-მ (გ იყო ა-ს ახლო ნათესავი) და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ მოტივით, რომ ბ-მ ა-ს მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა და მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა გ-ს მოთხოვნა და მიუთითა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლება გააჩნია მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, რადგან ჩუქების გაუქმება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დასაჩუქრებელი მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს გამჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ხოლო რა შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად და უმადურობად, ამის განსაზღვრა მხოლოდ მჩუქებელს შეუძლია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე მოსარჩელეებს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება არა აქვთ.

მაგალითი 2

ა-მ სარჩელი აღძრა ბ-ს მიმართ და მოითხოვა 1996 წელს დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, იმ მოტივით, რომ ბ, ბინის დაუფლების შემდეგ დიდ უმადურობას იჩენდა ა-ს მიმართ და არ პატრონობდა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ა-ს. I ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს ა-ს გარდაცვალების გამო, სასამართლომ დანიშნა მისი უფლებამონაცვლე – გ, რომელმაც დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ვინაიდან აღნიშნული გარიგება დადებული იყო სამი დღეშიო რჩენის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ დაზუსტებული სასარჩელო განცხადება არ მიიღო, ვინაიდან იგი დავის საფუძველის შეცვლად მიიჩნია. სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის საკითხი მოაწესრიგა სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1967წ), რომელიც დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ხელშეკრულების ბათილობას არ იცნობს და არა სამოქალაქო კოდექსით (1997).

კომენტარი:

529-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია უღირსი საქციელის ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც საშუალებას იძლევა ჩუქების გაუქმების საკითხი დაისვას, კერძოდ, მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავისადმი დასაჩუქრებულის მიერ მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა. თუ ვის გააჩნია ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს როგორც კანონით გათვალისწინებული წესები, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებას მხოლოდ მჩუქებელს ანიჭებს.

თუ დასაჩუქრებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ჩაიდენს განზრახვას, რომლის შედეგადაც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება და ნაჩუქარი ნივთის ამოღება (ნივთის გასხვისება, განადგურება, მოხმარება და ა.შ.) მისი ღირებულება შეიძლება ამოღებული იქნას დასაჩუქრებულისაგან უსაფუძვლო

გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მომწვესრიგებელი ნორმების შესაბამისად ანუ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დასაჩუქრებულის ზემოაღნიშნული ქმედება განიხილება როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც მესაკუთრის უფლებამოსილების რეალიზაციის სამართლებრივი საფუძველი დასაჩუქრებულს უკვე აღარ გააჩნდა. რაც შეეხება არაბრალეულ, ანუ გაუფრთხილებელ ქმედებებს დასაჩუქრებულის მხრიდან, რომელთა შედეგადაც შეუძლებელია ნაჩუქრობის საგნის ნატურით დაბრუნება, ვერ გახდება მისგან საგნის ღირებულების ამოღების საფუძველი.

ჩუქების ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მჩუქებლის კანონისმიერ მემკვიდრეებს სკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველებით ჩუქების გაუქმების მოთხოვნა არ შეუძლიათ. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს მითითებული ნორმით წარმოადგენს დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილით, თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, ამავე ნორმის მესამე ნაწილით კი ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. ზემოხსენებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ყველაზე ნათლად ასახავს რა სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირს, მჩუქებლისაგან ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ მიღების სანაცვლოდ დასაჩუქრებულს აკისრებს ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ზნეობრივ ფასეულობათა დაცვა მოცემულ შემთხვევაში ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით, რასაც თან ახლავს სათანადო სამართლებრივი შედეგი – მჩუქებლისათვის გაჩუქებული ნივთის საკუთრებაში დაბრუნება.

სკ-ის 529-ე მუხლის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელის შემფასებელი თვითონ მჩუქებელია, რაზედაც მეტყველებს ნორმაში არსებული გამონათქვამები: „ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ“, „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს“.

ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედება, არამედ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა. თუ რა სახის შეურაცხყოფაა პირისათვის მძიმე ან რას მიიჩნევს დიდ უმადურობად, ეს მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის – მჩუქებლის შეფასების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. სკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმების საფუძველად მიჩნეულია, როგორც მჩუქებლის, ისე მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. ამ დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ასეთი მჩუქებლის მიერ იქნება მოთხოვილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავისებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასსა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართლებრივურთიერთობას.

შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება

მაგალითი 1

ა-მ და ბ-მ სარჩელით მიმართეს სასამართლოს გ საწარმოს მიმართ და მოითხოვეს საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მუშაობდნენ მოპასუხე საწარმოში, როცა მართავდნენ ბენზინითა და ნავთით დატვირთულ მატარებლის შემადგენლობას, იძულებულნი გახდნენ შეეყვანათ მატარებელი დამჭერ ჩიხში სამუხრუჭე სისტემის არაეფექტური მოქმედების გამო. მომხდარი უბედური შემთხვევის გამო ა-მ და ბ-მ დაკარგეს შრომისუნარი 80%-ით. შემადგენლობის სადგურიდან გამოსვლამდე ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის ვაგონის გამსინჯველის მიერ გაცემული იყო ცნობა მუხრუჭების გამართულად მუშაობის შესახებ. ამასთან, იმავე დღეს შედგენილი უბედური შემთხვევის აქტებში მითითებული იყო, რომ არ მუხრუჭდებოდა შემადგენლობის 15 ვაგონი, ხოლო ამ ფაქტზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ შემადგენლობის 15 ვაგონი არ მუხრუჭდებოდა, 4-ზე მუხრუჭები არ მოქმედებდა, ხოლო 6 ვაგონზე სამუხრუჭე სისტემა არ უზრუნველყოფდა 10 წუთიან შეყოვნებას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საწარმოს ბრალეულობა, მიზეზობრივი კავშირი მომხდარ უბედურ შემთხვევასა და ვაგონების გაუმართაობას შორის.

მაგალითი 2

ა-მ სარჩელი აღძრა ბ საწარმოს მიმართ და მოითხოვა სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ა-მ აღნიშნა, რომ იგი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა მოპასუხე საწარმოში. უბედური შემთხვევის დღეს იგი ესწრებოდა თათბირს, რომელზეც განიხილებოდა მოხმარებული ელექტროენერჯის დანახარჯის ამოღების, გაუმჯობესების საკითხი, დირექტორებს დაევალოთ ცალკეული ღონისძიებების გატარება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ა-მ მიიღო გადაწყვეტილება ჩასულიყო „ . . . ჰესში“ და დაერეგულირებინა გადამცემ ხაზზე განტვირთვის ავტომატიკის მოქმედება. მძლოლმა უარი განაცხადა ჰესში წასვლაზე, ამიტომ საზოგადოების კუთვნილ ავტომატქანას თავად ა. მართავდა. მცხეთა – ყაზბეგი – ლარსის გზის 21-ე კილომეტრზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა და ა-მ მიიღო სხეულის დაზიანება. სასამართლომ აღნიშნული არ მიიჩნია საწარმოო ტრავმად და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველად, რადგან ა-მ გადაწყვეტილება გამგზავრების შესახებ უშუალოდ მიიღო და არა საზოგადოების დავალებით, ამასთან სახეზე არ არსებობდა საზოგადოების ბრალი მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით.

მაგალითი 3

ა-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს ბ საწარმოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხე ორგანიზაციისათვის 1992 წლის იანვრიდან 2003 წლის აგვისტომდე ყოველთვიური სარჩოს, ასევე სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიური სარჩოს სახით 98 ლარის გადახდის დაკისრება და თანხის მიუღებლობითა და ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სულ 42 835 ლარი 80 თეთრი. სარჩელის საფუძველად კი მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე საწარმოში მუშაობდა დურგლების ბრიგადირად, მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას, 1989 წლის 17 მარტს, მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგადაც

ცნობილ იქნა მესამე ჯგუფის ინვალიდად, ასევე დაუდგინდა შრომის უნარის დაკარგვა 60 %-ით. ამ მონაცემების საფუძველზე მოპასუხე ორგანიზაციამ განუსაზღვრა ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის საკომპენსაციო თანხა 215 მანეთი, რომელსაც იგი 1991 წლის დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად იღებდა, 1992 წლის იანვრიდან კი აღარ მიუღია. მოპასუხე ორგანიზაციამ, მიუხედავად მრავალჯერ მიმართვისა, უარი განაცხადა თანხის გაცემაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველთვიური სარჩოს გადახდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება იყო და მასზე ვრცელდებოდა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ასევე ჩათვალა, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-12 პუნქტის საფუძველზე აუცილებელი იყო სარჩოს ოდენობის ხელახლა გადაანგარიშება და საწარმოს ა-ს სასარგებლოდ დააკისრა ბოლო სამი წლის მიუღებელი სარჩოს ერთჯერადად გადახდა, სულ 2616 ლარი და 2005 წლის 15 ივლისიდან ყოველთვიურად – 18 ლარი.

მაგალითი 4

ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ საწარმოს მიმართ და მოითხოვა ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, შემდეგი საფუძველებით: ა მუშაობდა საწარმოში ზეინკლად, იგი ყოველდღიურად დადიოდა მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვიდან თბილისში ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი უფასო სამგზავრო ბილეთით. ერთ-ერთი მგზავრობის დროს გარედან ნასროლი ქვის თავში მოხვედრის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება და დაკარგა შრომის უნარი, რის გამოც გაათავისუფლეს სამსახურიდან.

სასამართლომ არ მიიჩნია, რომ უფასო სამგზავრო ბილეთის არსებობა ნიშნავდა საწარმოს მიერ ტრანსპორტის გამოყოფას, აქედან გამომდინარე კი აღნიშნული შემთხვევა არ ჩათვალა საწარმოო ტრავმად.

კომენტარი:

საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებულ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა.

ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველებს აწესრიგებს საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესები“, აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობა მაინც წარმოადგენს ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას, ვინაიდან ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიზნად ისახავს არაქონებრივი სიკეთისათვის (სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დელიქტური ვალდებულებების დროს ხდება აბსოლუტური უფლებების ხელყოფა, კონკრეტულ შემთხვევაში კი ისეთი უფლებების, როგორცაა პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა. აქედან გამომდინარე კი აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდება დელიქტური ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ყველა პრინციპი და

აუცილებელია მისი წარმოშობისათვის გათვალისწინებული საფუძვლების – ზიანის მიმყენებლის ბრალისა და დამდგარ ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზშედევობრივი კავშირის არსებობა.

პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი საწარმოო ტრავმად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესშია მიყენებული. სამსახურებრივ მოვალეობად შეიძლება ჩაითვალოს პირისათვის ნორმატიული აქტის, შრომის ხელშეკრულების, ან ადმინისტრაციის დავალების საფუძველზე დაკისრებული მოვალეობები. სხვა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა და რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით.

საწარმოო ტრავმად ასევე ჩაითვლება უბედური შემთხვევა საწარმოს მიერ გამოყოფილ სატრანსპორტო საშუალებებზე. სატრანსპორტო საშუალების გამოყოფად არ ჩაითვლება უფასო სამგზავრო ბილეთის, ან სხვა სამგზავრო შეღავათის მინიჭება კონკრეტული ტრანსპორტით სარგებლობისათვის.

ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საწარმოს ბრალის ხარისხის დადგენა. თუ უბედური შემთხვევა მხოლოდ საწარმოს ბრალეული მოქმედებითაა (შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულვებელყოფით ან არასათანადო შესრულებით) გამოწვეული, იგი სრულად ანაზღაურებს დამდგარ ზიანს, რაც შეეხება შერეული ბრალის არსებობის შემთხვევებს, სასამართლოს განმარტებით, ზიანის დადგომაში საწარმოს ბრალის არსებობა უკვე წარმოადგენს საწარმოს პასუხისმგებლობის საფუძველს. დაზარალებულის ბრალის არსებობა კი არის საკომპენსაციო თანხის შემცირების და არა საწარმოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

საწარმოს ბრალის დადასტურების ერთ-ერთ საშუალებად სასამართლოს მიაჩნია ე.წ უბედური შემთხვევის აქტი. უბედური შემთხვევის აქტის შედგენა უნდა ადასტურებდეს უბედური შემთხვევის ფაქტს, უბედური შემთხვევის კავშირს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს.

ზიანის ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დადგენილი წესების შესაბამისად. ამასთან, ზიანის კომპენსაცია შესაძლებელია როგორც ერთჯერადი გადახდის, ისე ყოველთვიური სარჩოს სახით. ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გამოთვლისათვის მხედველობაში მიიღება ის თუ რა თანამდებობაზე მუშაობდა დაზარალებული საწარმოო ტრავმის დადგომის მომენტში და არა ის თუ რა მოვალეობებს ასრულებდა იგი ამის შემდეგ.

სასამართლოს მყარი პრაქტიკა აქვს ამ ტიპის მოთხოვნებისათვის არსებული ხანდაზმულობის ვადების შესახებ.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც შელახულია, შეუძლია, მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა. თუკი დარღვეული უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული ვადით არ იქნებოდა შეზღუდული, ეს გამოიწვევდა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გაძნელებას, ვინაიდან დიდია ალბათობა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის

გარემოებების არაადეკვატურად აღქმისა და სხვა. ამრიგად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციასა და სიმყარეს, ამავედროულად ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში.

საწარმოო ტრავმის შედეგად დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. როდესაც უბედური შემთხვევის შემდეგ საწარმო დაზარალებულზე ზიანის ანაზღაურების მიზნით გასცემდა თანხას ან არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და მხოლოდ წლების შემდეგ შეწყვიტა საწარმომ თანხის გაცემა, ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ეს საკითხი მხარეთა შორის უკვე გადაწყვეტილად და უთუოდ არის მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დადგეს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების სამწლიანი ხანდაზმულობის საკითხი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის უფლებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

შინაარსი

I. კანონმდებლობა

II. დოქტრინა

III. პრაქტიკა

1. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია
2. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის მოქმედების ფარგლები
3. სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის ინტერპრეტაცია (მართლზომიერი და კეთილსინდისიერი შემძენის გამოიყვანა)
4. კეთილსინდისიერების მოქმედების დრო
5. მეუღლეთა თანასაკუთრება და უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენი

I. კანონმდებლობა

ქართული სამოქალაქო კოდექსის სერიოზულ თავისებურებას წარმოადგენს კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობის დეტალური მოწესრიგება. ამ მხრივ იგი თანამედროვე ევროპულ კერძო სამართალთან სრული ჰარმონიზაციით გამოირჩევა. მთავარი საკითხი ამ შემთხვევაში ქონების მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი ბალანსირებაა. სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს წყვეტს არამარტო ბრუნვის კონკრეტული მონაწილის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თვით ამ ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით.

კანონმდებლობა მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტის საკითხს განსხვავებულად აწესრიგებს მოძრავი და უძრავი ქონების ბრუნვის შემთხვევაში. თუ პირველ შემთხვევაში წინა პლანზე დგას ქონების მესაკუთრის ინტერესები, მეორე შემთხვევაში პრიორიტეტი ეძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. ამას თავისი ახსნა მოეძებნება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად, საჭიროდ მიგვაჩნია თავად საკანონმდებლო ნორმები მოვიშველიოთ.

აღნიშნული საკითხის მოწესრიგების აუცილებლობა გამოწვეულია სამოქალაქო კოდექსის იმ ფუნდამენტური ნორმით, რომელიც შეეხება უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობას. ამ კოდექსის 183-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია:

„უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია, როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს“.

უძრავი ქონების შეძენის ეს წესი განაპირობებს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის მოწესრიგებას. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის სახით ჩამოყალიბდა ნორმა, რომელიც უპრობლემოდ ჯდება თანამედროვე ევროპული სამართლის სხეულში.

კერძოდ, ამ მუხლში აღნიშნულია: „შემქენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემქენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“.

კეთილსინდისიერი შემქენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გამოწვეულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში. კერძოდ, რეესტრის მონაცემებს კანონმდებელი აპრიორულად უტყუარობისა და სისრულის ნიშნით ნათლავს. სამოქალაქო კოდექსისა 312-ე მუხლი იტყობინება:

„1. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორედ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. 2. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება. სწორედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემქენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა“.

ამგვარად, როცა საქმე ეხება უძრავი ქონების შექენას, აქ საჯარო რეესტრის (უფლების რეგისტრაციის ფაქტის) სანდოობის პრეზუმფცია გვაქვს სახეზე, მაშინ როცა მოძრავი ნივთების მფლობელის შემთხვევაში სანდოობის ვარაუდი გვაქვს სახეზე. **მოკლედ, ორივე შემთხვევაში მოქმედებს შესაძენი უფლების ნამდვილობის ვარაუდი.** ეს კარგად ჩანს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლიდან, რომლითაც დადგენილია:

„1. ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.

2. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმფცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოჰპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში.“

აღსანიშნავია ის, რომ მოცემული საკითხები ნაწილობრივ მოწესრიგებულია სპეციალური კანონმდებლობითაც. აქ დასახელებული ნორმებიდან ნათლად ჩანს, რომ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შექენა ამ ქონებაზე საკუთრების შექენის თავისებურებითაა განპირობებული. მოწესრიგების ასეთი ფორმა ბევრად წააგავს გერმანული სამართლის დანაწესებს.

ახლა რაც შეეხება ზემოთმოტანილი ნორმების კომენტარებსა და დოქტრინალურ ახსნა-განმარტებას.

II. დოქტრინა

დოქტრინისათვის ამოსავალია კეთილსინდისიერი სამოქალაქო ბრუნვა, რასაც საფუძველს უყრის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. ბრუნვის კეთილსინდისიერება ამ ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერებაა, ეს კი გულისხმობს ბრუნვის მონაწილეებისადმი სანდოობას. ასეთი ურთიერთ დამოკიდებულება გამარტივებული და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს

სრულიადაც არ ნიშნავს ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ თვალდასუჭულ ნდობას. იგი აუცილებლად გულისხმობს წინდახედულობის გონივრულ მასშტაბს, რომლის იგნორირებამაც შეიძლება ბრუნვის მონაწილე არაკეთილსინდისიერ მონაწილედ აქციოს და დაცვის მიღმა დატოვოს. იმდენად მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერება სამოქალაქო ბრუნვისათვის, რომ უფლებისა და კეთილსინდისიერების, როგორც ფასეულობათა ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში, ზოგჯერ კეთილსინდისიერება იმარჯვებს და თავად ხდება უფლების წყარო. კანონმდებელი სხვაგვარად ვერც კი მოიქცევა. საქმე იმაშია, რომ ცალკეულ შემთხვევებში **კეთილსინდისიერებისადმი პრიორიტეტის მინიჭებით კანონმდებელი იცავს თავად სამოქალაქო ბრუნვას, როგორც ფასეულობას და ამ გზით ბრუნვის მონაწილეთა პატივსაღებ ინტერესებს.**

სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა მტკიცდება, რომ იგი უძღურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება.

ჩვენს მიერ მოტანილ ნორმებში ერთმანეთის პირისპირ დგანან მესაკუთრე და კეთილსინდისიერი შემძენი. როგორც უკვე ითქვა, მათი მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია მოძრავი და უძრავი ნივთების შექენისას. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლიდან გამომდინარე მოძრავ ქონებაზე საკუთრების შექენა ხდება მისი გადაცემით. აქ ისეთი სინამდვილე ყალიბდება, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგანან ნივთის მესაკუთრე და მისი შემძენი. მათ შორის არ დგას არავითარი სხვა ისეთი პირი, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, თავისთავზე აიღებდა რაიმე პასუხისმგებლობას. ნივთის შემძენის ბედილბალი მთლიანადაა დამოკიდებული გამსხვისებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე და საკუთარ წინდახედულობაზე. არ აღმოჩნდება გამსხვისებელი მესაკუთრე-შემძენის კეთილსინდისიერება ვერ განხდება ყოველთვის მისი უფლების დაცვის იარაღი. უმეტესწილად, აქ საკუთრება იმარჯვებს კეთილსინდისიერებაზე და ამის გამო ორთაბრძოლა მესაკუთრის სასარგებლოდ მთავრდება.

სრულიად სხვა სურათი გვაქვს უძრავი ქონების შექენისას. აქ უკვე დაპირისპირებულ მხარეებს შორის დგას, უხეშად რომ ვთქვათ, „არბიტრი“, რომელიც პასუხისმგებლობის ძირითად ტვირთს თავის თავზე იღებს. ეს „არბიტრი“ საჯარო რეესტრია, რომლის წყალობითაა, რომ კეთილსინდისიერება იმარჯვებს საკუთრებაზე. ის ძირითადი ტვირთი, რომელიც გამსხვისებლის უფლებამოსილების შესამოწმებლად ეკისრებოდა შემძენს, ნორმატიულად საჯარო რეესტრის ხელშია აღებული.

ყოველივე ეს ერთგვარად ამარტივებს კეთილსინდისიერი შემძენის ტვირთს. როგორც მოტანილი ნორმებიდან ჩანს, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. რახან ეს ასეა შემძენს ნაკლებად ხელეწიფება შეამოწმოს გამსხვისებლის უფლებრივი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე მისი წინდახედულობის ფარგლებიც შესაბამისად ვიწროა. მართალია კანონმდებელი კი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შემძენმა შეიძლება იცოდეს, რომ „გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“, მაგრამ მისი გამორკვევა ერთობ ძნელი უნდა იყოს. თუკი საკუთრების უფლებას ფეტიშისტურად მიუდგებით, ცხადია გაგვიჭირდება იმ სინამდვილისადმი შეგუება, როდესაც მასზე იმარჯვებს კეთილსინდისიერი შემძენი. ამისი აღქმა მართლაც ძნელია ისეთი სინამდვილის პირობებში, როდესაც ერთმანეთის პირისპირ

დგანან სრულიად უბრალო მესაკუთრე და ასეთივე შემძენი. ერთი შეხედვით, როცა მესამე პირია გამსხვისებელი პირი, რომლის სახელზედაც არასწორად აღირიცხა საკუთრება საჯარო რეესტრში, რატომ უნდა დაინაგროს მესაკუთრე. განა ის, რისი შეძენის საფუძველიც ხარვეზიანია, შეიძლება საბოლოოდ შეძენილად ჩაითვალოს? განა შეძენის ობიექტური საფუძველი არ არის ამ შეძენის ნამდვილობის საფუძველი და არა პირთა სუბიექტური ნება? თუმცა, აქ მარტო სუბიექტური ნება-კეთილსინდისიერება არა გვაქვს სახეზე, აქვეა ხარვეზიანი ობიექტური ნება საჯარო რეესტრისა. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც **სუბიექტური ნება ასწორებს ობიექტურის ნაკლს. ე. ი. თუკი შემძენი კეთილსინდისიერია, საჯარო რეესტრის ხარვეზიანობაც იჩრდილება და იგი ვერაფრით ვერ შევლის უფლებაწართმეულ მესაკუთრეს.** წარმოვიდგინოთ ასეთი მაგალითი, მესაკუთრე ხანგრძლივი მივლინებით წავიდა უცხო ქვეყანაში და საკუთარი ბინა დროებით სარგებლობაში დაუტოვა ახლონათესავს. ამ უკანასკნელმა ყალბი დოკუმენტების მეშვეობით მიაღწია იმას, რომ საჯარო რეესტრში აღირიცხა, როგორც ამ ბინის მესაკუთრე და იგი გაასხვისა პირზე, რომელიც ამ ფაქტის მიმართ იყო კეთილსინდისიერი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ძალიანაც, რომ ეცადოს ბინის დაბრუნებას მისი ნამდვილი მესაკუთრე, ვერაფერს გახდება, კეთილსინდისიერ შემძენს დარჩება იგი საკუთრებაში. წმინდა ადამიანური პოზიციიდან თუ შევხედავთ ამ საკითხს, ნამდვილი მესაკუთრის უფლებას ცოტა ვინმე თუ შეეწინააღმდეგება. დავა უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ და კეთილსინდისიერი შემძენის საწინააღმდეგოდ. მაგრამ რა შედეგები მოყვება ამას თუ დაუშვებთ? **ყველაზე მძიმე შედეგი იქნება სამოქალაქო ბრუნვის შეფერხება და მისადმი უნდობლობის გაჩენა. რახან შემძენი არ იქნება დაცული მისი კეთილსინდისიერების შემთხვევაშიც, ცხადია, ინტერესი მოიკლებს უძრავის შესაძენად. უფრო გარკვევით, რომ ვთქვათ, მოიშლება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და შეძენილ უფლებებს საეჭვოობის დაღი დაედება. კიდევ უფრო დაზუსტებით, რომ ვთქვათ, ეჭვეშ დადგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება, რომელიც, როგორც ფასეულობა ამ ბრუნვის მონაწილეთა უფლებების გარანტიაა.**

საჯარო რეესტრის არსებობა კეთილსინდისიერ შემძენს ათავისუფლებს მომეტებული პასუხისმგებლობისა და რისკისაგან.

ამდენად, კვლავ უნდა ითქვას, რომ **უძრავი ქონების შეძენის რეჟიმის პირდაპირი შედეგია კეთილსინდისიერი შემძენის უფლების ცალსახად პრიორიტეტული დაცვა.** აქვე უნდა ითქვას, რომ უძრავი ქონების შეძენის წესი თანაბრად ვრცელდება ყველა სახის საკუთრებაზე, ეს იქნება ინდივიდუალური თუ საერთო. დოქტრინაში კამათს იწვევს მეუღლეთა თანასაკუთრებაზე უფლების წარმოშობის საკითხი. მიგვაჩნია, რომ იმ დროიდან რაც საქართველოში შემოდებულ იქნა საჯარო რეესტრი, უძრავზე საკუთრების უფლება არცერთ შემთხვევაში არ წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე. ამ პოზიციას ადგას საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. საკონსტიტუციო სასამართლომაც 1998 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის კონსტიტუციურობას, საგანგებოდ გაუსვა ხაზი ფორმის მნიშვნელობას უფლების წარმოშობის საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ნებისმიერი საკუთრების უფლება, იგი გარიგების საფუძველზე წარმოიშობა თუ კანონის საფუძველზე**

საბოლოოდ წარმოშობილად ჩაითვლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. ამიტომაც, კანონის დანაწესი, რომ „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)“ არ უნდა გავიგოთ მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრით. ამ შემთხვევაში სინამდვილეში საუბარია თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველზე, თავად ეს თანასაკუთრება კი გვექნება ორივე მეუღლის სახელზე აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. მოკლედ, **არც კერძო ნება, რომლის შედეგია - გარიგება და არც ნორმატიული ნება, რომლის შედეგია - კანონი, თავისთავად არ არის საკმარისი გარემოება საკუთრების უფლების წარმოსაშობად.**

III. პრაქტიკა

1. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია

უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვის შესახებ საკმაოდ ვრცელი სასამართლო პრაქტიკა დაგროვდა. სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლს. ეს ყველაზე მეტად ითქმის უზენაესი სასამართლოს შესახებ, რომელიც აღნიშნული მუხლის გამოყენების პრინციპულ გარემოებებსაც ხაზგასმით გამოყოფს. ასე მაგალითად, 2006 წლის 9 მარტის განჩინებაში (№ას-980-1243-05) სასამართლომ ცალკე გამოყო ნორმა-პრინციპი: „უძრავი ნივთის გამსხვისებლის მესაკუთრედ მიჩნევისათვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს შემძენისათვის, რომ გამსხვისებელი მესაკუთრედ რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში“. რაც შეეხება კეთილსინდისიერი შემძენის უფლებას, სასამართლო მას მიიჩნევს აღნიშნულიდან გამონაკლისად. კერძოდ, სასამართლოს აზრით, „ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებელი, არ არის მესაკუთრე“. აქედან გამომდინარე სასამართლო აკეთებს შემდეგ დასკვნას: „... აღნიშნული ნორმით დაწესებული შემძენის კეთილსინდისიერების დადგენისათვის, საკმარისი არ არის მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არსებითი საკითხია მესაკუთრის ვინაობისადმი შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება (იცოდა თუ არ იცოდა). შესაბამისად, შემძენის ინტერესების მარეგულირებელი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს როგორც საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა არ იცოდა ქონების სხვა მესაკუთრის თაობაზე“.

რაც შეეხება კეთილსინდისიერების ახსნას, სასამართლოები ძირითადად შემოიფარგლებიან კონკრეტული შემთხვევების ანალიზით. ჩვენს მიერ მოძიებულ მასალებში ამ მხრივ არ ჩანს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმის ზოგადი ინტერპრეტაცია. ვინაიდან კეთილსინდისიერებას აფუძნებს შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება გარკვეული ფაქტებისადმი, სასამართლოს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს მისი შეფასებისას. **შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღემატება (სცილდება) მისი**

შესაძლებლობის ფარგლებს. კეთილსინდისიერების შეფასებისას მთავარია შემძენის მხრიდან ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობა და არა თავად ინტერესი ამ ფაქტებისადმი. სხვა სიტყვებით, შეფასების საგანია აღნიშნული ფაქტების ცოდნა და არა მიზანმიმართული ცოდნა.

შესწავლილი პრაქტიკა მოწმობს, რომ 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია ხდება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებთან ორგანულ კავშირში, რომლებიც მისთვის საფუძველსა და გასაღებს წარმოადგენს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 312-ე და სხვა მუხლებთან ერთად.

2. 185-ე მუხლის მოქმედების ფარგლები

სასამართლოების პრაქტიკაში ზოგჯერ წამოიჭრება საკითხი იმ პირზე სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის გავრცელების შესახებ, რომლის მესაკუთრედ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ფერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. საკასაციო სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის განჩინებიდან შემდეგი ვითარება დასტურდება: ი. ბოტკოველი და ი. წიკლაური იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს ბინა, რომელიც აღირიცხა ერთ-ერთი მეუღლის, კერძოდ, ი. წიკლაურის სახელზე. ამ უკანასკნელმა ი. ჭელიძესთან გააფორმა აღნიშნული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რისი ბათილობა და თანასაკუთრებაში წილის აღიარება მოითხოვა ი. ბოტკოველმა. მართალია ბინის ნასყიდობის გარიგება გაფორმდა, მაგრამ შემძენის ნებისაგან დამოუკიდებლად, არ მოხერხდა მისი (ი. ჭელიძის) საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი ი. ჭელიძის შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამდენად, ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია, არსებობს რეგისტრაციის ნება, მაგრამ რეგისტრაცია ჯერ არ მომხდარა ქონებაზე ყადაღის დადების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების შეძენის პროცესი არ დასრულებულა, რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. ჭელიძე არის კეთილსინდისიერი შემძენი. ამ მოტივით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ი. ბოტკოველის მოთხოვნა ბინის ნასყიდობის ბათილად ცნობაზე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაშიც ანალოგიურად იქნა განმარტებული უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შეძენა. კერძოდ, პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის ..., 185-ე მუხლი იცავს მყიდველის ქონებრივ ინტერესებს, ანუ გარანტიას იძლევა თუ მყიდველმა შეიძინა უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში მითითებული ამ ნივთის მესაკუთრისაგან, რისთვისაც გადაუხადა მას განსაზღვრული თანხა, იგი არ დაზარალდება, ნივთი მას არ ჩამოერთმევა და აღნიშნული არ შეიძლება იყო დამოკიდებული იმაზე, მოასწრო თუ არა მყიდველმა აღრიცხვა საჯარო რეესტრში ამ ნივთის მესაკუთრედ, მით უფრო, როდესაც ... აღრიცხვა ვერ ხერხდება ბინაზე დადებული ყადაღის გამო".

ამდენად, სააპელაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიერი შემძენის ძალაუნარიანობა მოქმედებს უძრავ ქონებაზე საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე.

გფიქრობთ, რომ სწორი პოზიცია დაიკავა საკასაციო სასამართლომ, რომელმაც შეახსენა სააპელაციო სასამართლოს, რომ 183-ე მუხლის პირველ ნაწილს ალტერნატივა არ მოეპოვება, კერძოდ ის, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია შემძენის რეგისტრაცია საჯარო

რეესტრში. 311-ე მუხლის თანახმად კი, საჯარო რეესტრში შეიტანება საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები, რომლებიც უკვე არსებობენ.

თუ გავიზიარებდით სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, მაშინ თავდაყირა დადგებოდა სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 185-ე მუხლებით გათვალისწინებული წესი. ვიდრე ხელშეკრულების საფუძველზე დათმობილი საკუთრება არ აღირიცხება საჯარო რეესტრში, მანამ არც ეს უფლებაა და არც მისი კეთილსინდისიერი შემქენი. **185-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება მკაცრად მოხაზულ სამართლებრივ სივრცეშია და მისი სხვაგან გადატანა, კერძოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის სივრცეში დაუშვებელია.**

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნა, რომ 185-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია, როცა მესამე პირის უფლება სათანადო არ არის გაფორმებული.

3. სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის ინტერპრეტაცია (მართლზომიერი და კეთილსინდისიერი შემქენის გამოყენება)

სასამართლომ კარგად უნდა გამოარკვიოს უძრავი ქონების შემქენი მართლზომიერი შემქენია თუ კეთილსინდისიერი. შეუძლებელია ერთდროულად პირი იყოს მართლზომიერი შემქენიც და კეთილსინდისიერიც. სამწუხაროდ, პრაქტიკა იცნობს ასეთ დამოკიდებულებასაც, რაში „ბრაღეული“ უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც „კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს“. საქმე იმაშია, რომ კეთილსინდისიერი მფლობელობის საკითხი მხოლოდ მაშინ დგება, როცა მფლობელობა არამართლზომიერია. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერება ფარავს არამართლზომიერებას და იგი ხდება უძრავი ნივთის შემქენის საფუძველი. ამიტომაც, როცა დადგენილია, რომ მფლობელობა მართლზომიერია, უფლების დასაბუთების საფუძველად კეთილსინდისიერებაზე მინიშნება სრულიად ზედმეტი და უადგილოა.

საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის განჩინებაში (№ას-1355-1481-04) სადავო ურთიერთობის შემდეგი სურათია სახეზე: მ. გიორგობიანი იძენს ვინმე ი. ბასილაშვილსაგან უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთებსა და სახლს). ამ უკანსაკნელს კი ეს ქონება შეუძენია ს. სუთიაშვილისაგან. ვინაიდან ს. სუთიაშვილი არ ათავისუფლდება მ. გიორგობიანის მიერ შექენილ ბინას, მან სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და კიდევ აღიდგინა მასზე პირდაპირი მფლობელობა. ს. სუთიაშვილი თავის მხრივ კი თვლიდა, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრე კვლავაც თვითონაა, რადგანაც ი. ბასილაშვილმა მას მოტყუების გზით წაართვა ეს ქონება საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, იგი მოსარჩელე გიორგობიანის საკუთრებას ეჭვის ქვეშ აყენებდა. სააპელაციო სასამართლომ ვერ დაინახა ს. სუთიაშვილისაგან ი. ბასილაშვილზე აღნიშნული ქონების საკუთრებაში გადაცემის არამართლზომიერება, რაც თავისთავად უნდა მივიჩნიოთ, რომ უეჭველს ხდის მ. გიორგობიანის მიერ ქონების შემქენის მართლზომიერებას. მიუხედავად ამისა, რატომღაც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მთელი ყურადღება გადააქვთ ქონების შემქენის კეთილსინდისიერების ფაქტზე. ასე მაგალითად, საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ნათქვამია: „ვინაიდან, მ. გიორგობიანთან ხელშეკრულების გაფორმების დროს სადავო

ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო ი. ბასილაშვილი, სააკაპელაციო სასამართლომ მ. გიორგობიანი მიიჩნია კეთილსინდისიერ შემძენად". ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შემძენის კეთილსინდისიერების ცნობისათვის არ არის კონსტიტუციური ნიშანი, ქონების გამსხვილებელზე რეგისტრაციის ფაქტი. ასეთი ნიშანი იქნებოდა რეგისტრაციის ხარვეზიანობა (არამართლზომიერება) და ამ ფაქტის მიმართ შემძენის კეთილსინდისიერება. როცა ქონების რეგისტრაციას უხარვეზოდ აღიარებს სასამართლო, მაშინ შემძენი კეთილსინდისიერი კი არ არის არამედ მართლზომიერი.

აქედან გამომდინარე საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ საკასაციო პალატის მოტივაცია, რომელიც ემყარება სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლს.

4. კეთილსინდისიერების მოქმედების დრო

საკასაციო სასამართლომ 2005 წლის 16 სექტემბერს განჩინებაში (3ას-409-756-05) 185-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ასეთი დებულება დააფიქსირა: „კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე“. **უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერება 185-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ადგილი აქვს საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე.** რეგისტრაციის შემდგომდროინდელი სინამდვილე, კერძოდ, ის რომ პირმა გაიგო ქონების შეძენის არამართლზომიერების შესახებ, სამართლებრივად უმნიშვნელოა. ქონების შეძენის შემდეგ, პირი ხდება მისი მართლზომიერი მფლობელი და ამდენად შეძენის სამართლებრივი ბუნება უცვლელი რჩება. ამიტომაცაა, რომ თუკი შემდგომ ამ პირისაგან შეიძენს ვინმე უძრავ ქონებას, მას საქმე ექნება მართლზომიერ მფლობელთან.

მოკლედ, **შეძენის აღიარების მომენტიდან ასპარეზიდან ქრება ამ შეძენის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება.**

5. მეუღლეთა თანასაკუთრება და კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობა

სასამართლო პრაქტიკა ერთობ მდიდარია მეუღლეთა თანასაკუთრების კეთილსინდისიერი შეძენის შემთხვევებით. საკასაციო სასამართლომ 2005 წლის ერთ-ერთ განჩინებაში (№3ა/932-02) დააფიქსირა პოზიცია, რომელიც ვფიქრობთ, რომ სწორად წარმოაჩენს მეუღლეთა საერთო ქონებაზე საკუთრების წარმოშობის მომენტს.

საკასაციო პალატამ ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და ამის ძირითადი მიზანია შემძენის ინტერესების დაცვა. კერძოდ, მეუღლეთა თანასაკუთრებასთან მიმართებით აღნიშნა: „... შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად“.

აქედან უკვე ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ის დებულება, რომ „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)“ არ უნდა განიმარტოს მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრით. **ასეთი ქონება საერთო საკუთრებად იქცევა, მხოლოდ ორივე მეუღლის უფლებას საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.** ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორმა მისივე ნებით ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, საჯარო რეესტრში აღრიცხულიყო, როგორც თანამესაკუთრე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პალატამ განსაზღვრა სამოქალაქო კოდექსის 158-ე და 1160-ე მუხლების ადგილი სამოქალაქო ნორმების ურთიერთმიმართების მექანიზმში. კერძოდ, თუ დოქტრინასა და ნაწილობრივ - პრაქტიკაში გავრცელებული იყო აზრი, რომ 158-ე მუხლი 1160-ესთან მიმართებით ზოგად ნორმას წარმოადგენდა, პალატის აზრით, ორივე შემთხვევაში სპეციალურ ნორმებთან გვაქვს საქმე. ეს უნდა მეტყველებდეს მოწესრიგების საგნობრივ განსხვავებაზე. კერძოდ, განჩინების თანახმად „სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იძლევა კეთილსინდისიერ შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, ხოლო 1160-ე მუხლი აწესებს თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვის იურიდიულ მექანიზმს“. პალატა თვლის, რომ ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, ვინაიდან თანამესაკუთრე მეუღლემ არაფერი იღონა, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რომ დაერეგისტრირებინა.

ბუნებრივია, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის საკითხი მაშინაც დადგება, როცა თანამესაკუთრე მეუღლისაგან მალულად მოხდება ერთ-ერთი მეუღლის სახელზე მთელი საკუთრების რეგისტრაცია. მიგვაჩნია, რომ ვერც ეს შემთხვევა ვერ გახდება კეთილსინდისიერი შემძენის უფლების უარყოფის საფუძველი.

